

## საქართველო

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების  
კონვენციის შესრულების თაობაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე  
პირთა ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების  
ყოველწლიური ჩრდილოეთი ანგარიში

აგვისტო, 2017



ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center



SACHKHERE'S REGISTERED UNION OF PEOPLE WITH DISABILITIES



ყველა ყველასთვის



კავშირი "ჩვენი ბავშვები"



ჩრდილოვანი ანგარიშის წარმდგენი ორგანიზაციები:

1. ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის (AEE);
2. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC);
3. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR);
4. ფონდი “ღია საზოგადოება - საქართველო”;
5. ააიპ „ყველა ყველასთვის“;
6. ააიპ „საქართველოს პორტიჯის ასოციაცია“;
7. ააიპ „საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირი“;
8. ააიპ „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია“;
9. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრი;
10. ფონდი გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში;
11. ააიპ „მარიანი“;
12. საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია;
13. კავშირი „თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისათვის“;
14. ოჯახები დისკრიმინაციის წინააღმდეგ;
15. კავშირი „ჩვენი ბავშვები“;
16. საერთაშორისო დემოკრატიული განვითარების ცენტრი;
17. პლათფორმა ახალი შესაძლებლობებისათვის (PNO);

## მოკლე აღწერა

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, ქვეყანაში არაერთი მწვავე პრობლემა არსებობს, რომელიც სრულად გამორიცხავს სხვების თანასწორად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა სფეროდან. ანგარიშში გაანალიზებულია კონვენციის ყველა მუხლი და ძირითადი აქცენტი გაკეთებულია იმ სისტემურ პრობლემებზე, რომლებიც ყოველდღიურად არღვევს ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცალკეული პოზიტიური ცვლილებები ვერ ჩაითვლება საკმარისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. ხშირად, საკანონმდებლო ცვლილებები არის ფრაგმენტული და გამორიცხავს სახელმწიფოს სტრატეგიულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისკენ მიმართულ სისტემურ ხედვას. არ მომხდარა კანონმდებლობის ჰარმონიზაცია კონვენციის მოთხოვნებთან. დისკრიმინაციასთან ბრძოლის არსებული, ხშირად არაეფექტური მექანიზმების პირობებში, კვლავ მწვავედ დგას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორუფლებიანობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხი. მართლმსაჯულების, ფიზიკური გარემოსა და ინფორმაციის მისაწვდომობის, დამოუკიდებელი ცხოვრების, განათლებისა და დასაქმების პრობლემები კიდევ უფრო ართულებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. ქვეყანაში მოქმედი ადამიანის უფლებათა დაცვაზე მიმართული სამოქმედო გეგმები, თავისი ზოგადი და არაგაზომვადი ინდიკატორების პირობებში, არ წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

კანონმდებლობა და პრაქტიკა არ არის მიმართული შეზღუდული შესაძლებლობის ცალკეული ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებაზე, რაც გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების, ბავშვების, ფსიქოსოციალური საჭიროებისა და ინტელექტუალური განვითარების შეფერხების მქონე პირების უფლებების ეფექტურ დაცვას. ამ კუთხით განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საცხოვრებლის უფლების დაცვის, რეაბილიტაცია/აბილიტაციის მიმართულებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დიდი ნაწილი კვლავ განაგრძობს დიდი ზომის ინსტიტუციებში ცხოვრებას, არ გადადგმულა ეფექტური ნაბიჯები სოციალური მოდელის შემოღებისა და პრაქტიკაში იმპლემენტაციის კუთხით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია სახელმწიფომ ჩამოაყალიბოს ერთიანი, სისტემური ხედვა ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით, რომელშიც ეფექტური მექანიზმის საშუალებით ჩაერთვებიან თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და მოთხოვნების შესაბამისად კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რეალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე მიმართული პოლიტიკის და პრაქტიკის დანერგვა, რისთვისაც გადაამწყვეტი მნიშვნელობა ექნება აღსრულებისა და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების დამკვიდრებას.

## Contents

შესავალი .....	6
მუხლი 2-3. ტერმინთა განმარტება -ზოგადი პრინციპები .....	7
მუხლი 4. ზოგადი ვალდებულებები .....	9
მუხლი 5. თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა .....	12
მუხლი 6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები .....	15
მუხლი 7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები.....	19
მუხლი 9. მისაწვდომობა .....	24
მუხლი 12. თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლება.....	27
მუხლი 13. მართლმსაჯულების მისაწვდომობა .....	31
მუხლი 14. პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება.....	33
მუხლი 19. დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა .....	37
მუხლი 20. ინდივიდუალური მობილობა.....	40
მუხლი 21. აზრის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციაზე მისაწვდომობა.....	42
მუხლი 23. საცხოვრებლისა და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა .....	45
მუხლი 24. განათლება.....	47
მუხლი 25. ჯანმრთელობა.....	52
მუხლი 26. აბილიტაცია და რეაბილიტაცია .....	55
მუხლი 27. შრომა და დასაქმება .....	59
მუხლი 28. ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი და სოციალური დაცვა .....	62
მუხლი 29. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა .....	66
მუხლი 30. მონაწილეობა კულტურულ, სპორტულ, გასართობ და რეკრეაციულ ღონისძიებებში	69
მუხლი 31. სტატისტიკა და მონაცემთა შეგროვება.....	70
მუხლი 33. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის აღსრულების მექანიზმი .....	72
References.....	74

## შესავალი

წინამდებარე ჩრდილოვანი ანგარიში მომზადებულია მისი წარმდგენი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით. ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობდნენ როგორც DPO ორგანიზაციები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე CSOs. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია რაფიტიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 26 დეკემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 2014 წლის 12 აპრილს. წარმოდგენილი ჩრდილოვანი ანგარიშის საანგარიშო პერიოდი მოიცავს საქართველოს მიერ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რაფიტიცირებიდან 2 წლიან პერიოდს, კერძოდ, აფასებს დასახელებულ საანგარიშო პერიოდში საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ამ დროისთვის არსებულ მთავარ გამოწვევებსა და პრობლემებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით.

ანგარიშის მომზადებისას წარმდგენი ორგანიზაციების მხრიდან გამოყენებულ იქნა საერთო მეთოდოლოგია და მიდგომები, რომელიც მოიცავდა როგორც საჯარო დაწესებულებების მხრიდან მიღებულ ოფიციალურ ინფორმაციის, ორგანიზაციების კვლევით დოკუმენტებს, ამ საკითხთან დაკავშირებულ მეორედ წყაროებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემთან/მათ მშობლებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებსა და ინდივიდუალურ შეხვედრებს.

კერძოდ, ანგარიშის მომზადებისას (1) ორგანიზაციები აქტიურად იყენებდნენ საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის გამოთხოვის მეთოდს/საჯაროდ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ინფორმაციას, რაც მოიცავდა მონაცემებს ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული ბაზის, სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების იმპლემენტაციის, სხვადასხვა მიმართულებით არსებული კვლევითი და სტატისტიკური მონაცემების შესახებ; (2) წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა ანგარიშის წარმდგენი ორგანიზაციების მიერ მომზადებულ კვლევებს, პოლიტიკის დოკუმენტებს, შეფასების დოკუმენტებსა და სხვადასხვა სახის ანალიტიკურ ინფორმაციას. გარდა ამისა, ორგანიზაციები ასევე ეყრდნობიან არსებულ მეორად წყაროებს, როგორცაა საქართველოს სახალხო დამცველის (ამავდროულად, კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის ორგანოს) წლიურ და სპეციალურ ანგარიშებს, რომელიც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობას ქვეყანაში, სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებსა და შეფასებებს ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებული უფლებრივი მდგომარეობის შესახებ; (3) ანგარიშის წარმდგენი ორგანიზაციების უმეტესობა თავად წარმოადგენს DPOs, ამასთან, ანგარიშის შემუშავების დროს ორგანიზაციები აქტიურად ხვდებოდნენ სხვა სათემო ორგანიზაციებს/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემს/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მშობლებს ფოკუს ჯგუფებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების გზით უფლებათა მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით (დამატებით იხ. წყაროებში/references). ანგარიშის პირველადი ვერსია ასევე გაზიარებული იქნა სათემო ორგანიზაციების ფართო ჯგუფში დამატებითი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების მიღების და ანგარიშის ტექსტში ასახვის მიზნით.

შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა როგორც სათემო ორგანიზაციების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი მშრობლებისაგან მიღებულ ინფორმაციას, ასევე არსებულ კვლევებს, ექსპერტულ ცოდნასა და სახელმწიფოს მხრიდან მიღებულ საჯარო ინფორმაციას.

### მუხლი 2-3. ტერმინთა განმარტება -ზოგადი პრინციპები

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირების შემდგომ ქვეყნის კანონმდებლობაში მხოლოდ ნაწილობრივ და ფრაგმენტულად აისახა კონვენციით გათვლისწინებული ცნებები და პრინციპები. ამ მხრივ მოქმედი კანონმდებლობა არ არის სრულად ჰარმონიზებული კონვენციის მოთხოვნებთან და მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მას.
2. ქვეყნის შიდა კანონმდებლობა არ ფარავს კონვენციის მიერ მოცემული ცნებების სრულ შინაარსს და ვერ ახდენს კონვენციის სულისკვეთების სრულ იმპლემენტაციას. ქართული კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს კონვენციის ზოგიერთ ცნებას ან არასრულად ასახავს მათ.
3. ქვეყანაში დღემდე შენარჩუნებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შეფასების სამედიცინო მოდელი. ამასთან, ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა უმეტესად ეფუძნება სამედიცინო მიდგომას, რაც გამორიცხავს სოციალურ მოდელზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას.
4. კონვენციის რატიფიცირების შემდგომ, მართალია კანონმდებლობაში აისახა სოციალური მოდელის შინაარსთან თანხვედრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცნება, თუმცა, თავად ტერმინის „შესაძლებლობის შეზღუდვის“ შინაარსი კვლავ სამედიცინო მოდელთანაა თანხვედრაში, რამდენადაც ის ფორმულირდება როგორც „ისეთი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევები, რომლებიც განაპირობებს ქმედობაუნარიანობის დროებით ან სამუდამო შეზღუდვას.“<sup>i</sup>
5. „გონივრული მისადაგებისა“ და „უნივერსალური დიზაინის“ ცნებებს არ იცნობს საქართველოს კანონმდებლობა. გამონაკლისს წარმოადგენს ფიზიკური მისაწვდომობის სტანდარტის დამდგენი ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც ფიზიკურ გარემოსთან კავშირში ახსენებს „უნივერსალური დიზაინის“ ცნებას, მისი განმარტების გარეშე.<sup>ii</sup>
6. საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.<sup>iii</sup> ცნების „ჟესტების ენის“ გაჩენა მოქმედ კანონმდებლობაში არ უკავშირდება კონვენციის რატიფიცირების პროცესს. ცნება „ჟესტების ენა“ 1997 წელს მიღებულ კანონში განმარტებულია როგორც საკომუნიკაციო საშუალება და მას არ აქვს ენის სტატუსი.<sup>iv</sup> ეს უკანასკნელი კი ბარიერს წარმოადგენს საჯარო სექტორში თუ სხვადასხვა პოლიტიკურ თანამდებობაზე სმენის არმქონე პირების დასაქმების კუთხით, რამდენადაც საჯარო სამსახურში დასაქმების ცენზად სახელმწიფოს ენის ცოდნაა განსაზღვრული, რაც თავის მხრივ წარმოადგენს როგორც პასიური საარჩევნო უფლების, ისე შრომის უფლების შეზღუდვას.<sup>v</sup>
7. კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პრინციპები ნაწილობრივ არის ასახული შიდა კანონმდებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა უმეტესად პირდაპირ არ გამორიცხავს მისი მოქმედების ადრესატებიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ის ძირითადად არასენსიტიურია ამ ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანების საჭიროებების მიმართ და არ ითვალისწინებს მათი მხარდაჭერისა და წახალისების სპეციალურ მიდგომებს. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის პრინციპების რეალიზების კუთხით უნდა აღინიშნოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელმაც დისკრიმინაციის ცნების და შესაბამისი

ნიშნების განსაზღვრისას, ხაზი გაუსვა შეზღუდულ შესაძლებლობას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს.<sup>vi</sup>

8. ამდენად, კონვენციის რატიფიცირების შემდგომ კონვენციით განსაზღვრული ცნებებისა და პრინციპების ასახვა მხოლოდ ნაწილობრივ და ფრაგმენტულად მოხდა ეროვნულ კანონმდებლობასა და სახელმწიფო პოლიტიკაში და ის უმეტესად წინააღმდეგობაშია კონვენციის ძირითად არსთან.

#### რეკომენდაციები:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით დადგენილი ცნებები ამავე შინაარსით აისახოს ეროვნულ კანონმდებლობაში;
- შეიცვალოს „შესაძლებლობის შეზღუდვის“ ცნება და მისი შინაარსი დაეფუძნოს შეზღუდული შესაძლებლობის კონვენციისეულ გაგებას;
- კანონმდებლობით განისაზღვროს „გონივრული მისადაგებისა“ და „უნივერსალური დიზაინის“ ცნებები, რაც შესაბამისობაში იქნება კონვენციის მიერ განსაზღვრულ შინაარსთან;
- „ჟესტურ ენას“ მიენიჭოს შესაბამისი სტატუსი, რაც გამორიცხავს სმენის არმქონე პირების უფლებების დარღვევას. შეიქმნას „ჟესტური ენის“ გავრცელებისა და გამოყენებისათვის სათანადო პირობები;



#### მუხლი 4. ზოგადი ვალდებულებები

9. სახელმწიფო პოლიტიკურ დოკუმენტთა უმრავლესობა ძირითადად იმეორებს კონვენციის რატიფიცირებამდე დასახულ მიზნებს და არ გვთავაზობს სიახლეებს, რომლებიც ხელშესახებად გააუმჯობესებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ მდომარეობას. არადა, ამგვარი დოკუმენტების შემუშავება და აღსრულება მნიშვნელოვანია შშმ პირთა მიმართ ხელისუფლების ხედვის შეფასების პროცესში.
10. კონვენციის რატიფიცირების მიუხედავად, 2014 წლიდან დღემდე, ქვეყანაში მიღებული დოკუმენტები უმეტესწილად არ მოიაზრებენ ნაკისრი ვალდებულებების სრულფასოვან შესრულებას და მანამდე დამკვიდრებულ პრაქტიკასა თუ მიდგომებს, ძირითად შემთხვევაში, არ ცვლიან. გარდა ამისა, ჯერ კიდევ არ მომხდარა ფაკულტატური ოქმზე მიერთება, ეს კი შშმ პირებისთვის, მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, გაეროს შესაბამის კომიტეტისთვის მიმართვის საშუალებას არ იძლევა.
11. ერთ-ერთი პირველი მიღებული დოკუმენტი UNCRPD-ის რატიფიცირების შემდგომ, სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი აქტივობების განსაზღვრის მიზნით, მთავრობის ორწლიანი, 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა.<sup>vii</sup> მიუხედავად იმისა, რომ გეგმა პრინციპულად ემყარება და იზიარებს კონვენციის ღირებულებებს, არსებითი ხარვეზები უკავშირდება ზოგად ფორმულირებებს, რაც ნათლად ვერ აყალიბებს მთავრობის მიერ საანგარიშო პერიოდში გასაწევი საქმიანობის მოცულობას. ამასთანავე, გეგმა არაერთ საკითხს ტოვებს მის მიღმა, ისეთებს, როგორცაა: სკოლამდელი განათლება, პერსონალური მონაცემების დაცვა, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი და სხვა.
12. მიუხედავად იმისა, რომ შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო გეგმა ითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებასა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირებას, შშმ პირთა საჭიროებების შეფასების სოციალური მოდელის დანერგვა ამ დრომდე არ მომხდარა და მათი შეფასება კვლავ სამედიცინო მოდელს ეფუძნება, რაც წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის მიზანთან და ფუნდამენტურ პრინციპებთან. გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის განსაზღვრა ამ დრომდე ემყარება მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზს და არ იძლევა ისეთი ინდივიდუალური სარეაბილიტაციო გეგმის შედგენის საშუალებას, რომელიც ხელს შეუწყობდა პირის ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.<sup>viii</sup>
13. ამასთანავე, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიღებული დოკუმენტები<sup>ix</sup> და განხორციელებული ქმედუნარიანობის რეფორმა მართალია ძირითად ეფუძნება სოციალურ მოდელს, თუმცა არ ითვალისწინებს შშმ პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც მათ დისკრიმინაციულ პირობებში აყენებთ. რაც შეეხება ზავზე ზრუნვის მოქმედ სისტემას, იგი ვერ პასუხობს მათი საუკეთესო ინტერესების დაცვას. ჯანდაცვის სფეროში კვლავ პრობლემად რჩება არასაკმარისი დაფინანსება, ისევე როგორც სერვისებზე ტერიტორიული მისაწვდომობა, კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა და არასათანადო მკურნალობა.<sup>x</sup>

14. აქვე უნდა აღინიშნოს ადამიანის უფლებების სფეროში საქართველოს მთავრობის ძირითადი დოკუმენტი „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა“<sup>xi</sup>, რომელიც ზოგადი ხასიათის ჩანაწერებსა და მოცემულ რეალობასთან შეუსაბამო გეგმებს გვთავაზობს, ეს კი განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობასა და ხარისხის შეფასებას მეტად ართულებს. გარდა ამისა, გეგმა დიდ წილად იმეორებს შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით არსებულ, სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ამოცანებს და არ გვთავაზობს განსაკუთრებულ სიახლეებს.
15. შშმ პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წელს მიღებული 41-ე დადგენილება<sup>xii</sup>. მიუხედავად იმისა, რომ იგი ადგენს გარემოზე მისაწვდომობის სტანდარტებს, დოკუმენტი არაეფექტურია და ტექნიკური რეგლამენტის პრაქტიკაში განხორციელების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.
16. აღსანიშნავია ისიც, რომ მიღებული პოლიტიკური დოკუმენტების უმრავლესობა არ ითვალისწინებს ბიუჯეტის ნაწილს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ განსაზღვრავენ კონკრეტული მოქმედების განხორციელებისათვის საჭირო ოდენობის დაფინანსებას, რაც თავის მხრივ, გარკვეულწილად აბრკოლებს აქტივობების რეალიზების საკითხს.
17. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე კვლავ დეფიციტურია შშმ პირთა უწყვეტი ჩართულობა კანონებისა თუ პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავების პროცესში. ხშირ შემთხვევაში ამგვარ ჩართულობას ფორმალური ხასიათი აქვს, რაც პროცესებში მათ სრულფასოვან მონაწილეობას ვერ უზრუნველყოფს.<sup>xiii</sup>ამასთან, კონვენციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პრინციპებისა და სპეციფიკების სრულად არასახვა მოქმედ კანონმდებლობაში, თავის მხრივ კვლავ პრობლემად ტოვებს შშმ პირთა ჩართულობასა და ინფორმირებას, განსაკუთრებით კი რეგიონებში. შესაბამისად, მათი უმრავლესობა მოკლებულია ინფორმაციას სახელმწიფო პროგრამებისა თუ სერვისების მიღების შესაძლებლობებსა და მიმართვისთვის საჭირო პროცედურებზე, რაც მათი უფლებების სრულფასოვანი რეალიზაციის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.<sup>xiv</sup>

#### რეკომენდაციები:

- საქართველოს სახელმწიფომ მოახდინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება;
- ქმედუნარიანობის სისტემის შინაარსისა და მიზნის კონვენციასთან შესაბამისი გააზრების/დანერგვის მიზნით შემუშავდეს სახელმძღვანელოები მოსამართლეთათვის, მულტიდისციპლინური გუნდის წევრებისათვის, სოციალური მუშაკებისა და მხარდაჭერებისათვის;

- განხორციელდეს ინტენსიური საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანია და მიზნობრივი ინფორმირების ღონისძიებები ქმედუნაროდ აღიარებული პირების, მეურვეების, სპეციალიზებული და ფსიქიატრიული დაწესებულებებისათვის;
- განხორციელდეს ინტენსიური საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანია და ინფორმირება შშმ პირთათვის განკუთვნილ სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე;
- მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილი სოციალური მომსახურებების მიწოდება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და გადაიჭრას გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა;
- ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების დროს უზრუნველყონ შშმ პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების მხარდამჭერი პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვაში ამ პირთა ან/და მათ წარმომადგენელთა მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა;
- შშმ პირებს დროულად და მათთვის მისაწვდომი ფორმით ეცნობით ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული პროგრამების/ღონისძიებების შესახებ;
- სახელმწიფოს მიერ მიღებულ სამართლებრივ დოკუმენტებში განისაზღვროს ეფექტური აღსრულებისა და კონტროლის მექანიზმები.

## მუხლი 5. თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა

18. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაცია მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რამდენადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ცხოვრების ყველა სფეროში ექვემდებარებიან დისკრიმინაციულ მოპყრობას. ამის საპირწონედ, მოქმედი კანონმდებლობა და მისი აღსრულების მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ უფლებათა სარგებლობას სხვებთან თანასწორ პირობებში.<sup>xv</sup>
19. კონვენციის იმპლემენტაციის შემდეგ მოხდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღება, რამაც დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები შექმნა და შესაბამისი მატერიალური გარანტიები დაადგინა, რაც ასევე გავრცელდა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებზე. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით კანონის მიღება მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუმცა, მის საფუძველზე შექმნილი მექანიზმების შეზღუდული მანდატი ვერ უზრუნველყოფს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესის ეფექტიანობას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სათანადო დაცვას უთანასწორო მოპყრობისაგან.

### დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო სტანდარტი

20. საქართველოს კონსტიტუციის თანასწორობის შესახებ ჩანაწერი მადისკრიმინირებელ ნიშნებს შორის არ ჩამოთვლის „შეზღუდულ შესაძლებლობას“,<sup>xvi</sup> თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა კონსტიტუციის შესაბამის მუხლს ფართოდ ხედავს და მისით დაცულ სფეროში მოიაზრებს ნებისმიერი ნიშნით განსხვავებას მიუხედავად იმისა კონკრეტულ ნიშანს პირდაპირ უთითებს თუ არა კონსტიტუციის ტექსტი. ამასთან, სასამართლომ მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში შეზღუდული შესაძლებლობა სოციალური კუთვნილების ნიშნად მოიაზრა და მაღალი სტანდარტით ე.წ. „მკაცრი ტესტით“ განიხილა შესაბამისი საქმე.<sup>xvii</sup>
21. კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მადისკრიმინირებელ ნიშნებს შორის მოიხსენიებს „შეზღუდულ შესაძლებლობას“, თუმცა კანონმდებლობა არ იცნობს „გონივრული მისადაგების“ ცნებას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას. გონივრული მისადაგების, როგორც დისკრიმინაციის ფორმის არ აღიარება არათავსებადია კონვენციის სტანდარტებთან, ასუსტებს დისკრიმინაციის შემთხვევების მტკიცებისა და დადგენის შესაძლებლობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით. შრომის კანონმდებლობა, როგორც სახელშეკრულებო, ისე წინასახელშეკრულებო ეტაპზე ასევე კრძალავს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.<sup>xviii</sup>

### დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები

22. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღებით 2014 წლიდან ეროვნულ კანონმდებლობაში გაჩნდა ახალი მექანიზმი სახალხო დამცველის სახით, რომელიც პასუხისმგებელია დისკრიმინაციას შემთხვევების გამოვლენასა და დადგენაზე. თუმცა, სახალხო დამცველი მისთვის მინიჭებული მანდატის, უფლებამოსილებებისა და

რეაგირების ფორმების გათვალისწინებით ვერ მიიჩნევა დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეფექტიან მექანიზმად. მექანიზმი მნიშვნელოვნად სუსტია იმის გათვალისწინებით, რომ სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტს არ გააჩნია სანქციების უფლებამოსილება და იგი მხოლოდ რეკომენდაციების გაცემით შემოიფარგლება. კანონი ასევე არ ითვალისწინებს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მხრიდან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, არ აკონკრეტებს საქმის განხილვის ვადებს და სხვა.<sup>xxix</sup>

23. პრობლემურია სახალხო დამცველის მიერ გამოცემული რეკომენდაციების აღსრულების საკითხი, განსაკუთრებით, კერძო პირების მიმართ გამოცემული რეკომენდაციების ნაწილში,<sup>xxx</sup> რასაც შესაბამისი აღსრულებითი მექანიზმის სისუსტე იწვევს.<sup>xxxi</sup> არსებული რეგულაციით, რეკომენდაცია თავისი არსით შესასრულებლად არასავალდებულო დოკუმენტია. თუმცა, რეკომენდაციათა შესრულების უზრუნველყოფის პრობლემა განსაკუთრებულად კერძო პირების მიმართ იკვეთება, რამდენადაც სახალხო დამცველს კერძო პირის მიმართ დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევაში არ აქვს მისი აღსრულების უზრუნველყოფის მექანიზმი. ორგანო პრაქტიკულად მოკლებულია შესაძლებლობას ზემოქმედება მოახდინოს დისკრიმინაციის განმახორციელებელზე და რაიმე გავლენა იქონიოს რეკომენდაციის შესრულების მიზნით, განსხვავებით საჯარო სექტორის მიმართ, სადაც სახალხო დამცველს საჯარო დაწესებულების მიერ რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონით აქვს გარანტირებული სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.<sup>xxiii</sup> საქართველოს სახალხო დამცველს ასევე არ აქვს გაცემული რეკომენდაციების შესრულება/შეუსრულებლობის შესახებ მხარისადმი ინფორმაციის მისთვის მიწოდების დავალდებულების მექანიზმიც კი. გამონაკლისია საჯარო სექტორი, სადაც სახალხო დამცველის რეკომენდაციის განხილვის 20 დღიანი ვადა არსებობს.<sup>xxiii</sup> პრობლემის არსებობაზე და ამგვარი სტანდარტის კერძო სექტორზე გავრცელების აუცილებლობაზე უთითებს საქართველოს სახალხო დამცველი.<sup>xxiv</sup>
24. საპროცესო კანონმდებლობა დამატებით ბარიერებს ქმნის დისკრიმინაციის დადგენისათვის. არსებული რეგულაციით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა დადგენილი სამი თვე დისკრიმინაციის ფაქტის არსებობიდან, რაც სიმცირის გამო პრაქტიკაში პრობლემებს ქმნის განმცხადებლებისათვის.<sup>xxv</sup> გარდა ამისა, პრობლემურია, რომ დისკრიმინაციის საქმისწარმოება სასამართლოში იწვევს საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტში საქმისწარმოების შეჩერებას.<sup>xxvi</sup> იმ პირობებში, როდესაც სახალხო დამცველისა და სასამართლოს მექანიზმები დისკრიმინაციასთან ბრძოლის ალტერნატიულ გზებს წარმოადგენს, დისკრიმინაციის მსხვერპლს უწევს არჩევანის გაკეთება სახალხო დამცველის მექანიზმსა და სასამართლოს შორის, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დეპარტამენტის ეფექტურობის ხარისხს დისკრიმინაციის ფაქტებზე რეაგირების კუთხით.<sup>xxvii</sup> მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო და სახალხო დამცველის აპარატი თავიანთი არსით, ორი ერთმანეთისგან განსხვავებული მექანიზმია და ისინი ვერ ჩაანაცვლებენ ერთმანეთს.
25. შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმად ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომელსაც დებულების თანახმად, დასაქმების ადგილებზე დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირების უფლებამოსილების გააჩნია, თუმცა, მთავარი პრობლემა ამ მანდატის პრაქტიკაში განუხორციელებლობაა. ორგანო არსებობის დღიდან

ამ მიმართულებით არ ფუნქციონირებს. შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის ფაქტებზე ასევე ვრცელდება სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტის მანდატი.<sup>xxviii</sup>

26. პრაქტიკა აჩვენებს, რომ დაბალია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებზე მიმართვიანობა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევები, როგორც სახალხო დამცველის აპარატში,<sup>xxix</sup> ისე რაიონულ სასამართლოებში.<sup>xxx</sup> სტატისტიკის მიხედვით, 2015 წლის სექტემბრიდან 2016 წლის სექტემბრამდე პერიოდში, მიმართვიანობა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის თაობაზე სახალხო დამცველის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში განაცხადების მხოლოდ 7%-ს აღწევს.<sup>xxxi</sup> ამავე პერიოდში განხილული 115 საქმიდან 7% შეეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციას. განხილული საქმეებიდან მხოლოდ ორ შემთხვევაში სახალხო დამცველის აპარატმა გამოსცა რეკომენდაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის დავასთან დაკავშირებით.<sup>xxxii</sup> რაც შეეხება ერთიანი სასამართლოების სისტემას, 2014 წლის მაისიდან 2016 წლის მარტამდე, სასამართლოებში 18 სასარჩელო განცხადება შევიდა სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით. შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენა მხოლოდ 2 შემთხვევაში მოხდა.<sup>xxxiii</sup>

#### რეკომენდაციები:

- ეროვნულმა კანონმდებლობამ გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის ფორმად „გონივრულ მისადაგებაზე“ უარი;
- გაფართოვდეს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური მექანიზმების მანდატი და უფლებამოსილება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გზით, მათ შორის საქართველოს სახალხო დამცველის მექანიზმი გაძლიერდეს მისთვის სანქცირების უფლებამოსილების მინიჭებითა და სხვა სათანადო ბერკეტებით აღჭურვის გზით, მათ შორის კერძო სექტორთან მიმართებით.
- დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების გაძლიერებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, დაიხვეწოს საპროცესო კანონმდებლობა, მათ შორის გაიზარდოს სასამართლოსათვის მიმართვის ხანდაზმულობის სამთვიანი ვადა.
- სახელმწიფოს მხრიდან შემუშავდეს და განხორციელდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და პროგრამები, რაც შესაძლებელს გახდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებით სარგებლობას სხვათა თანასწორად.

## მუხლი 6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები

27. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიერ ყველა ფუნდამენტური უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფის კუთხით საქართველოში არსებობს მთელი რიგი გამოწვევები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების/გოგონების ინფორმაციის ნაკლებობა ადამიანის უფლებების შესახებ, ნაკლები ჩართვა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანდაცვაზე, განათლებაზე და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო მომსახურების არარსებობა, რეგიონებში სამედიცინო დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა და ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო მედიკამენტების უზრუნველყოფის დეფიციტი<sup>xxxiv</sup>.
28. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ არ მოიცავს კანონის მოთხოვნების აღსრულების მექანიზმს. არც ერთი სხვა საკანონმდებლო აქტით არ ხდება გენდერული თანასწორობის კანონში დადგენილი ნორმების დარღვევის სანქცირება. კანონს ასევე აქვს ხარვეზები ქალთა თანასწორობის განმსაზღვრელი დანაწესების ფორმულირებაშიც. კანონი გენდერულ თანასწორობას განმარტავს როგორც „უფლებათა ნაწილს“<sup>xxxv</sup>. აღნიშნული განმარტება შეუსაბამოა გენდერული თანასწორობის არსთან, ვინაიდან არ არსებობს უფლებების რაიმე ჯგუფი, რომელშიც გენდერული თანასწორობა არ უნდა იყოს წარმოდგენილი.
29. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონი არ მოიცავს ჩანაწერს საზოგადოებაში ქალთა უთანასწორობასთან დაკავშირებული სტერეოტიპებისა და განწყობის შეცვლასთან დაკავშირებით. კანონი არ განიხილავს ინტერსექციული დისკრიმინაციის მოვლენას- ქალების დისკრიმინაციას რამდენიმე ნიშნით. შესაბამისად, გამოტოვებულია ჩანაწერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიმართ სისტემური ჩაგვრის პრაქტიკის აღმოფხვრის აუცილებლობის შესახებ<sup>xxxvi</sup>.
30. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი<sup>xxxvii</sup> შეეხება დისკრიმინაციის აკრძალვას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. თუმცა, ჩამოთვლილი ნიშნები არ მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას. ასევე, დისკრიმინაციის მხოლოდ ნეგატიური აკრძალვა, არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ეფექტური მექანიზმი და აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ღონისძიებების გატარებას.
31. საქართველოს პარლამენტში მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ აღსრულებაზე<sup>xxxviii</sup>. საბჭოს უფლებამოსილებაში შედის როგორც რეკომენდაციების შემუშავება ქვეყანაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, ისე ინდივიდუალური განცხადებების განხილვა. უნდა აღინიშნოს, რომ 2014-2015 წლებში საბჭოს მუშაობა არ მოიცავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა საკითხებს და მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მხოლოდ ერთ შემთხვევაში მონაწილეობდა საბჭოს წარმომადგენელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების თემაზე გამართულ კონფერენციაზე<sup>xxxix</sup>.
32. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ჩანაწერი პოლიტიკური პარტიებისთვის დაწესებული 30%-იანი დანამატი შეეხება მხოლოდ შემთხვევებს, როდესაც პარტიული სიის პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში ერთმანეთისგან განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 30%-ით<sup>xl</sup>.

- კანონის მოთხოვნა არაფერს ამბობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ჩართვის შემთხვევებზე, რაც სპეციალური ღონისძიებების გატარების გარეშე, გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ეფექტურ ჩართვას პარტიულ სიაში.
33. კონვენციის რატიფიცირების შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან არ მომხდარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა საჭიროებების კვლევა, რომლის მიზანიც იქნებოდა სხვადასხვა სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების/გოგონების კონკრეტული ბარიერების გამოვლენა. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე და ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული პოლიტიკის დოკუმენტები არ მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომელიც მიმართული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა/გოგონათა საჭიროებების დაკმაყოფილებაზე<sup>xii</sup>.
34. პოლიტიკის დოკუმენტების ნაწილი ზოგადი პრინციპების დონეზე აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობას, თუმცა აღნიშნული მხოლოდ ზოგადი პრინციპის დონეზე რჩება, რადგან მას არ მოჰყვება კონკრეტული ღონისძიებები და ინდიკატორები, რომელიც მიმართული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების/გოგონების წინაშე არსებული ბარიერების აღმოფხვრისაკენ. ჩანაწერები, რომლებიც ირიბად შეიძლება ითვალისწინებდეს ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა წინაშე არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრას, გაზომვადი ინდიკატორების მითითების გარეშე, ეფექტური მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას სრულად გამორიცხავს. ქვეყანაში მოქმედი სამოქმედო გეგმების შესრულებადობას ეჭვქვეშ აყენებს ის, რომ არცერთი მათგანი არ მოიცავს კონკრეტული თანხის მითითებას, რომელიც უნდა დაიხარჯოს მიზნის მისაღწევად<sup>xiii</sup>.
35. საქართველოში არცერთ სამინისტროს არა აქვს სტრატეგიული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელი იქნება გენდერული თანასწორობის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების ასახვას სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ პოლიტიკის დოკუმენტებში: სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში<sup>xiii</sup>.
36. ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამები სენსიტიური არ არის გენდერული ნიშნით, არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სპეციალურ საჭიროებებს და არ ეფუძნება პრობლემების ანალიზს. სამედიცინო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა ფაქტობრივად გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიერ ჯანმრთელობის სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობას. პრობლემა არის როგორც უშუალოდ სამედიცინო დაწესებულებების შენობების მისაწვდომობის კუთხით, ისე სამედიცინო მანიპულაციების ჩატარების პროცესში. აღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს პერსონალის კვალიფიკაცია. სომატური ჯანმრთელობის ექიმები არ ფლობენ საკმარის უნარებს, მოემსახურონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს/გოგონებს. ქვეყანაში სრულად უგულვებელყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების/გოგონების უფლება რეპროდუქციული ჯანმრთელობაზე, არ ხდება მათი ჩართვა მათ ჯანმრთელობაზე მიღებულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში<sup>xiv</sup>.
37. საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალთა/გოგონათა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა არაერთი სამართლებრივი დოკუმენტით არის აკრძალული. თუმცა, ამის მიუხედავად მუდმივად ფიქსირდება



ძალადობისა და დისკრიმინაციული მოპყრობის მრავალი ფაქტი ქალის შეზღუდული შესაძლებლობის გამოყენების გამო. სახელმწიფო ხშირად არაეფექტურად იყენებს ქვეყანაში მოქმედ სამართლებრივ ინსტრუმენტებს და ვერ აფასებს საკითხის მნიშვნელობას<sup>xlvi</sup>.

38. ფიზიკური ბარიერებისა და შესაბამისი ადამიანური რესურსების არყოლის გამო ქვეყანაში მოქმედი ძალადობის თავშესაფრები სრულად მიუწვდომელია სენსორული, ინტელექტუალური და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალებისათვის<sup>xlvi</sup>.
39. დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციას განიცდიან როგორც სქესის, ისე შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია, ყველაზე ხშირად ხდება წინასახელშეკრულებო ურთიერთობების დროს.<sup>xlvii</sup>
40. კანდიდატის შერჩევის და გასაუბრების ეტაპზე დამსაქმებელს კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მიღების შეუზღუდავი უფლება აქვს<sup>xlviii</sup>. მუხლი არ აზუსტებს, თუ რომელი ინფორმაცია ჩაითვლება დისკრიმინაციულად, ან რომელი ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის უფლება აქვს კანდიდატს, ამიტომ კვლავაც შეგვიძლია, აღნიშნული მუხლი ქალებისათვის არათანასწორ და დისკრიმინაციული შედეგის მომტანად განვიხილოთ<sup>xlix</sup>.

#### რეკომენდაციები:

- სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა/გოგონათა დისკრიმინაციისა და საზოგადოების ყველა სფეროში ჩართვის წინაშე არსებული ბარიერების ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც საფუძვლად დაედება მომავალში ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმების შემუშავებას;
- სახელმწიფომ განხორციელოს საკუთარი უფლებების შესახებ შესაძლებლობის მქონე ქალების/გოგონების ინფორმირება, რაც კონკრეტული ღონისძიებების სახით უნდა აისახოს ადამიანის უფლებათა დაცვის შესაბამის სამოქმედო გეგმებში;
- სახელმწიფომ შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ყველა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონების/ქალების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობისა და პოლიტიკის სფეროებში;
- სახელმწიფოს მხრიდან შემუშავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების სტრატეგიული გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა საჭიროებები;
- „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატოს აღსრულების ეფექტური მექანიზმი, განისაზღვროს ინტერსექტორული დისკრიმინაციის ფორმები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონათა/ქალთა უფლებების ეფექტური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გენდერული თანასწორობის საბჭომ შეიმუშაოს ეფექტური გეგმა, როგორც კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების/ბარიერების აღმოფხვრის მიზნით, ისე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართვიანობის გაზრდის მიმართულებით, შესაბამისი პროცედურების განსაზღვრის საშუალებით;
- სახელმწიფო დაწესებულებებში შექმნას გენდერული თანასწორობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სტრუქტურული ერთეულები, რომელთა მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა წინაშე არსებული ბარიერების აღმოფხვრაზე მუშაობა;
- მნიშვნელოვანია, რომ მომავალ სამოქმედო გეგმების შემუშავების დროს საქმიანობების/ღონისძიებების შესრულების ინდიკატორები იმგვარად განისაზღვროს,

რომ შესაძლებელი გახდეს მისი შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა/გოგონათა უფლების დაცვის პერსპექტივიდან;

- აუცილებელია, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამაში და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები ისე შემუშავდეს, რომ გათვალისწინებული იყოს კონკრეტულად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა საჭიროებები;

## მუხლი 7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

41. საქართველოში 2004 წლიდან დაწყებული ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მიუხედავად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ვერ სარგებლობენ ადამიანის ყველა ფუნდამენტური უფლებით სხვა ბავშვების თანასწორად, ქვეყანაში მოქმედი ბავშვზე ზრუნვის სისტემა ვერ პასუხობს მათი საუკეთესო ინტერესების დაცვას. საქართველოში ბავშვების 28 პროცენტი სიღარიბეში ცხოვრობს, აქედან ბავშვთა 6% უკიდურეს სიღატაკეს განიცდის და დღეში 2 ლარზე ნაკლებს (1.25 აშშ დოლარზე ნაკლები) მოიხმარს<sup>i</sup>. სიღარიბის გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მდგომარეობაზე. პრობლემის ერთ-ერთი მიზეზია არასწორად ნაწარმოები სტატისტიკა<sup>ii</sup>, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების მოძველებული, სამედიცინო მოდელი, ნაცვლად სოციალურისა<sup>iii</sup>.
42. ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკის დოკუმენტი ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით არის ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმები<sup>iiii</sup>. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს ცალკე თავებს ბავშვის უფლებების თემაზე. თუმცა, გეგმით დასახული მიზნები საკმაოდ არარეალისტურია. გეგმა არ მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ ინდიკატორებს, რომელიც საშუალებას მისცემს ბავშვის უფლებების თემაზე მომუშავე ორგანიზაციებს შეაფასონ გეგმით დასახული ამოცანებისა და მიზნების შესრულების ეფექტურობა.
43. ბავშვთა სოციალური დაცვის პროგრამების პროცედურები არ იძლევა შესაძლებლობას, მომსახურების მიღების მსურველმა განსაზღვროს დრო, როდესაც შესაძლებელი იქნება, მოთხოვნილი სოციალური დახმარების/პროგრამის მიღება. პროგრამებში ჩართვას კანონმდებლობა უმეტეს შემთხვევაში უკავშირებს რეგიონული საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. თუმცა, არ არის დაკონკრეტებული ვადა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს რეგიონული საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება. ქვეპროგრამები ვერ ფარავენ სამიზნე ჯგუფის მოთხოვნას. ყველა პროგრამასთან მიმართებით არსებობს მომლოდინეთა სიები, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლებელია ბავშვი საერთოდ ვერ ჩაერთოს პროგრამაში<sup>iv</sup>.
44. ქვეყანაში მწვავედ დგას რეაბილიტაციის/აბილიტაციის პროგრამების დისკრიმინაციული რეგულირების საკითხი და ამ მიმართულებით ბოლო ორი წლის განმავლობაში სახელმწიფოს ხელშესახები ცვლილებები არ განუხორციელებია. აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვები დღემდე ვერ ახერხებენ სერვისებით თანაბარ სარგებლობას იმ მიზეზით, რომ შემოთავაზებული სერვისები არ არის ტერიტორიულად ხელმისაწვდომი ყველა ბავშვისთვის (პროგრამა ფუნქციონირებს მხოლოდ თბილისისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში). პროგრამით სარგებლობას ვერ ახერხებენ საქართველოში მუდმივად მაცხოვრები სხვა ქვეყნის მოქალაქე ბავშვები<sup>v</sup>. საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს ეზღუდებათ ასევე 1-დან 6 წლამდე ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენციისა და ეპილეფსიის დიაგნოსტიკისა და ზედამხედველობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობა<sup>vi</sup>.
45. სერვისების ტერიტორიული მისაწვდომობის პრობლემის გამო, ფაქტობრივად გამორიცხულები არიან რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისებიდან მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები. ერთადერთი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების რეაბილიტაცია/აბილიტაციის შესაძლებლობას, ფუნქციონირებს მხოლოდ ქ. თბილისში

და ამასთან, პროგრამით სარგებლობა შეუძლია ერთდროულად არაუმეტეს 40 ბავშვს<sup>lvii</sup>. ამასთან, სახელმწიფოს მიერ შესაბამისი პოზიტიური ღონისძიებების განუხორციელებლობის პირობებში მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები ვერ იღებენ თემზე დაფუძნებულ სხვა სერვისებს, მაგალითად, დღის ცენტრის მომსახურებას, რის გამოც არ ხდება მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართვის უზრუნველყოფა.

46. 2013 წელს საქართველოში დაიწყო დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, 442 ბავშვი ჩაერთო რეინტეგრაციის პროცესში, 2124 მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩაერთო, შეიქმნა 47 მცირე საოჯახო ტიპის სახლი. 46 ბავშვთა დიდი რეზიდენტული დაწესებულება დაიხურა, თუმცა პროცესი არ შეხებია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს და ისინი კვლავ დიდი ზომის ინსტიტუციებში განაგრძობენ ცხოვრებას (თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი და კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლი). 2016 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა<sup>lviii</sup>, რომელიც ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად 2016-2017 წლებში ასახელებს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის გაგრძელებას<sup>lix</sup>. კერძოდ, 2016 წელს იგეგმებოდა ერთი საპილოტე მცირე საოჯახო ტიპის სახლის შექმნა, სადაც განთავსდებოდა ჩვილ ბავშვთა სახლში მცხოვრები ბავშვების ნაწილი. თუმცა, სამთავრობო გეგმით განსაზღვრული აღნიშნული მიზანი დღემდე არ შესრულებულა. ამასთან, სამთავრობო გეგმით დასახული მიზნის განხორციელების შემთხვევაში, რეზიდენტულ დაწესებულებას დატოვებს მხოლოდ ბავშვების მცირე ნაწილი, რაც გულისხმობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უმეტესობა კვლავ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გააგრძელებს დიდი ზომის ინსტიტუციებში ცხოვრებას. სახელმწიფოს არა აქვს კონკრეტული გეგმა, რომელიც უახლოესი პერიოდის განმავლობაში მიმართული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლების დახურვისაკენ.
47. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების თავისუფლებასთან მიმართებით გადაუჭრელ პრობლემად რჩება საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფი არასრულწლოვანთა პანსიონატები. იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნულ პანსიონატებზე არ ხორციელდება სახელმწიფო ზრუნვა, განსაკუთრებულ პრობლემებს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებების დაცვის მიმართულებით, არ ხდება მათი შეფასება, შესაბამისად არა აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობა, რაც აუცილებელია მათი სახელმწიფოს შესაბამის სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისთვის<sup>lx</sup>. საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფი არასრულწლოვანთა პანსიონატების ადმინისტრაცია, აღმზრდელები და მედპერსონალი არ არის ინფორმირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების შესახებ<sup>lxi</sup>. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არ არიან ჩართულები ზოგად საგანმანათლებლო სისტემაში.
48. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ასევე ქვეყანაში ოჯახის დამხმარე პრევენციული სერვისების მცირე რაოდენობა და მათი გეოგრაფიული მისაწვდომობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალტერნატიული ზრუნვის სერვისების სიმცირე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მნიშვნელოვან საფრთხეს. რეფორმის განხორციელება ძირითადად შეეხო ცენტრალურ ქალაქებს და ნაკლებად რეგიონებს.

მაგალითად, ადრეული განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამები, დღის ცენტრები, წარმოდგენილია მხოლოდ ცენტრალურ ქალაქებში.

49. სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვები მოკლებულნი არიან ხარისხიან, მრავალმხრივ და ადეკვატური ფსიქოლოგიურ მომსახურებას. სოციალური მომსახურების სააგენტოს მხოლოდ 11 ფსიქოლოგი ჰყავს მთელი ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნულის გამო შეუძლებელი ხდება ყველა ბავშვისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევა. მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრები ბავშვები ვერ იღებენ ფსიქოლოგიურ დახმარებას, მაშინ როცა ბავშვებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ<sup>lxi</sup>.
50. განსაკუთრებულად პრობლემურია მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მდგომარეობა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ახორციელებს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლებებს. კერძოდ, პრობლემურია სტატუსის მინიჭების საკითხი, რაც განპირობებულია ბავშვების კანონიერი წარმომადგენლების დაბალი ინფორმირებულობით, სოციალური მუშაკების დაბალი კვალიფიკაციითა და მუშაობის სტრატეგიით. დაბალია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვის ხარისხი ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც განპირობებულია სპეციალური პედაგოგების არასაკმარისი რაოდენობითა და არაადაპტირებული ინფრასტრუქტურით<sup>lxii</sup>.
51. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ფსიქიკური ჯანმრთელობის დიაგნოზის მქონე ბავშვები, ვინაიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით ფსიქიკური ჯანმრთელობის დიაგნოზის მქონე 15 წლამდე ბავშვების სტაციონარული მომსახურებისათვის გამოყოფილია მხოლოდ 10 საწოლი. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვთა სუიციდთან დაკავშირებით, ვინაიდან ბავშვები ვერ იღებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სათანადო მომსახურებას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახეზეა სუიციდის აშკარა რისკი, ბავშვისთვის სახელმწიფოს მიერ მიწოდებული/დაფინანსებული მომსახურების მიღების შესაძლებლობა ფაქტობრივად არ არსებობს. ზოგიერთი მომსახურების მიწოდებას არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ, თუმცა მათ მწირი შესაძლებლობები აქვთ<sup>lxiii</sup>.
52. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში დაიწყო ინკლუზიური განათლების განვითარება, პრაქტიკაში ის მხოლოდ დიდ ქალაქებში ხორციელდება. სკოლები პატარა რაიონებსა და სოფლებში არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი ადამიანური და სხვა რესურსებით, რომელიც საჭიროა ინკლუზიური განათლების ეფექტური განხორციელებისთვის. აღნიშნულის გამო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, რომლებიც უნდა იღებდნენ ინკლუზიურ განათლებას, რეალურად ვერ იღებენ მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ განათლებას<sup>lxiv</sup>.
53. განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში და იწვევს მათი ფუნდამენტური უფლებების დარღვევას. ყოველდღიურად ირღვევა მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჯანმრთელობის უფლება<sup>lxv</sup>, განათლების მიღების უფლება. არის შემთხვევები, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები საერთოდ არ არიან ჩართულები არც ფორმალურ და არც არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხოლოდ 60%-ია ჩართული სკოლამდელ/ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში<sup>lxvi</sup>. მაშინ როცა ქვეყანაში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები განაგრძობენ დიდი ზომის ინსტიტუციებში ცხოვრებას, მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართული

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების რაოდენობა არის მინიმალური<sup>lxviii</sup>. ქვეყანაში არ არსებობს მინდობით აღმზრდელი ოჯახების ლიცენზირების სტანდარტი, მინდობით აღმზრდელი ოჯახები არ გადიან გადამზადებას, რაც განსაკუთრებულ პრობლემას ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში, რადგან მიმღები ოჯახები არ ფლობენ სათანადო უნარებს ბავშვის მოვლის, აღზრდის, ქცევის მართვის მიმართულებით. სისტემური პრობლემა არსებობს მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის განხორციელების დროს ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის კუთხით. ბავშვების 35%-ს მიმღებ ოჯახებში შეზღუდული აქვთ გამოხატვის თავისუფლება, განსაკუთრებით კი აღნიშნული პრობლემა დგას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში.

54. მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის მსგავსად რთულია რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს აღნიშნული მიმართულებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების უფლება. ბავშვების ნაწილი საერთოდ არ არის შეფასებული მულტიდისციპლინური გუნდის მიერ<sup>lix</sup>, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების 40%-ს არა აქვთ ჩატარებული სათანადო სამედიცინო გამოკვლევები და არ მიუწვდებათ ხელი მედიკამენტებზე<sup>lx</sup>.

#### რეკომენდაციები:

- დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსის მიღების სოციალური მოდელი;
- სამოქმედო გეგმებში განისაზღვროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები გაზომვადი რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების, ბიუჯეტის მითითებით;
- სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამებით ყველა ქვეპროგრამასთან მიმართებით განისაზღვროს მომსახურებაში ჩართვის კონკრეტული ვადა;
- გაიზარდოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ადრეული განვითარების, რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამების ბიუჯეტი ბავშვების რეალური რაოდენობისა და მოთხოვნის მიხედვით;
- უზრუნველყოფილი იყოს ადრეული განვითარების, რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამების მიღება ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;
- ყველა სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამაში აღმოიფხვრას დისკრიმინაციული ჩანაწერები, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეობის ნიშანთან;
- განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამების მიმართულებით, რომელიც მიმართული იქნება მათი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდასა და შესაბამისი რაოდენობის ადამიანური რესურსების გამოყოფაზე;
- ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამების შემუშავების დროს მთავარი ყურადღება გამახვილდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საზოგადოებაში, თანატოლებთან ერთად მომსახურების მიღებაზე;
- დაიხუროს თბილისის ჩვილ ბავშვთა და კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლები და იქ მცხოვრები ბავშვების გადანაწილება მოხდეს ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ სერვისებში;

- გაიზარდოს სოციალური მომსახურების სააგენტოში კვალიფიციური ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების რაოდენობა;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ხარისხიანი ჯანმრთელობისა და განათლების უფლების მიღების საკითხს;
- სპეციალური ღონისძიებები დაიგეგმოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლების ინფორმირებულობის გაზრდის მიმართულებით;
- დაიწყოს ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემური რეფორმა, რომელიც დაეფუძნება მყარ ემპირიულ მონაცემებსა და საჭიროებებს;
- განისაზღვროს მინდობით აღზრდის ლიცენზირების სტანდარტი, სადაც გათვალისწინებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურების მიწოდება;

## მუხლი 9. მისაწვდომობა

55. საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არა აქვთ სხვების თანასწორად ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციაზე, კომუნიკაციის საშუალებებზე, ტექნოლოგიურ სისტემებსა და მომსახურებებზე მისაწვდომობა.
56. საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ეფექტური მექანიზმი ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის კუთხით. გარდა იმისა, რომ კანონი ინფრასტრუქტურის მისაწვდომობაზე პასუხისმგებელი უწყებების უფლებად და არა ვალდებულებად განიხილავს შესაბამისი მოწყობილობების შექმნასა და შენახვას<sup>lxxi</sup>, ის საერთოდ არ საუბროს აღსრულების მექანიზმზე.
57. არაეფექტურია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 178<sup>1</sup> და 178<sup>2</sup> მუხლები, რომლებიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შექმნისგან თავის არიდების დროს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, რომელიც ვალდებულია აღნიშნული სამართალდარღვევის ადმინისტრირებაზე, უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო არ არის განსაზღვრული. ინფორმაციას, აღნიშნული მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, არ ფლობს ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<sup>lxxii</sup>.
58. მისაწვდომობის უზრუნველყოფა უმეტეს შემთხვევაში აღქმულია მობილობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფად, რაც გამორიცხავს სენსორული დარღვევების, კომუნიკაციის პრობლემების, ინტელექტუალური და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებისათვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობას და სხვებთან თანასწორად სხვადასხვა მომსახურების მიღებას<sup>lxxiii</sup>.
59. საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს. საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ცვლილებების პაკეტების შესახებ. თუმცა, კანონპროექტების ჩანაწერიდან ნათელი ხდება, რომ 1. სახელმწიფო საავტომობილო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მისაწვდომობას განიხილავს როგორც მობილობის შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებას; 2. კანონპროექტში პირდაპირ არის მითითებული, რომ ჩანაწერის ამოქმედება და აღსრულება არ ითვალისწინებს კონკრეტული ვადის მითითებას, რის გამოც შეუძლებელია მისი ეფექტურად მუშაობის შემოწმება<sup>lxxiv</sup>. საკანონმდებლო ცვლილებები არ ითვალისწინებს კონკრეტულ სამოქმედო გეგმას, აღსრულების მექანიზმს, რაც გამორიცხავს ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას.
60. გარკვეული პოზიტიური ცვლილებებია განხორციელებული საჰაერო გადაზიდვა-გადაყვანის პროცედურებთან მიმართებით. თუმცა, თავად სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, რომელიც ვალდებულია მომსახურების მიწოდების მონიტორინგსა და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე, არ არის მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ასევე, არ მომხდარა სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდისა და ელექტრონული სისტემის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.<sup>lxxv</sup>
61. სარკინიგზო ტრანსპორტი ფაქტობრივად არ არის მისაწვდომი ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის. დღეისათვის ქვეყანაში მოქმედი 15 რეგიონული მატარებლიდან მხოლოდ 2 არის მისაწვდომი მობილობის შეზღუდვის მქონე



პირებისათვის. თუმცა, მომსახურების ცენტრებში მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ სამი სერვის-ცენტრის სამ ბაქანზე. აღნიშნული გამორიცხავს თუნდაც მობილობის შეზღუდვის მქონე პირების მიერ ყველა მიმართულებით დამოუკიდებლად მგზავრობის შესაძლებლობას.<sup>lxxvi</sup>

62. ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის პრობლემა ხშირად გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ აქტიური საარჩევნო ხმის უფლების პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობას. გარემოს სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურულ-გეგმარებითი ელემენტების შესახებ სტანდარტების დაუცველობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მიუწვდომელს ხდის როგორც უშუალოდ საარჩევნო უბნებს, ისე არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა უფლებებს. სათანადო ნორმების დაცვით არ არის ადაპტირებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი, რის გამოც მისი მოხმარება სათანადო პროგრამის გამოყენების გარეშე, არ შეუძლიათ უსინათლო და მცირედ მხედველ ადამიანებს. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არა აქვს კონკრეტული ინსტრუქციები გაწერილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის მხარდაჭერის მიმღები პირების მიერ აქტიური საარჩევნო ხმის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით<sup>lxxvii</sup>. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომზადებული სატრენინგო მოდული არ ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღები და ინტელექტუალური განვითარების შეფერხების მქონე ამომრჩევლებისათვის ინფორმაციის მიწოდებას ალტერნატიული ფორმით<sup>lxxviii</sup>.
63. საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის გადაულახავ ბარიერს წარმოადგენს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სარგებლობა. დიდ ქალაქებში არსებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი (მეტრო, ავტობუსი, მიკროავტობუსი) სრულად მიუწვდომელია ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის. 2016 წელს ქ. თბილისში მოხდა ადაპტირებული ავტობუსების შემოყვანა. თუმცა, ადაპტირებულია მხოლოდ ავტობუსის რამდენიმე ხაზი. ამასთან, ავტობუსების გაჩერებების არაადაპტირების გამო, ფაქტობრივად შეუძლებელია მისი გამოყენება ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს სახელმწიფოს არასისტემურ მიდგომაზე. ამას ადასტურებს ახალი მეტროსადგურის მშენებლობის პროცესი, რომლის სატენდერო პირობები ისე შემუშავდა და ისე ხორციელდება, რომ კვლავ არ არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები.
64. მისაწვდომობის კუთხით ყველაზე დიდ გამოწვევას საქართველოში წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტექნიკურ რეგლამენტს, რომელიც არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი სივრცისა და შენობა-ნაგებობების დეტალებს, არ ახლავს აღსრულების მექანიზმი. აღნიშნულის გამო ფაქტობრივად გამორიცხულია მიმდინარე სამშენებლო და სივრცის მოწყობის საკითხების შესრულების მონიტორინგი. ამასთან, ტექნიკური რეგლამენტი არ მოიცავს შუალედურ ვადებს პროცესის კონტროლისათვის. რეგლამენტი არ ითვალისწინებს მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სანქციის მექანიზმს. ტექნიკური რეგლამენტით არ ხდება საკითხების პრიორიტეტიზაცია ანუ იმ შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განსაზღვრა, რომლებიც დაუყოვნებლივ საჭიროებენ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლას და პირდაპირ უკავშირდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობას. დოკუმენტი მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად განსაზღვრულ აუცილებელ ყველა კომპონენტს, მაგალითად საერთოდ არ ეხება სერვისებისა და ინფორმაციის მისაწვდომობის საკითხებს.

65. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია ინფორმაციის მისაწვდომობის უფლება<sup>lxix</sup>. თუმცა, ინფორმაციის მისაწვდომობის ზოგადი სტანდარტის არსებობის მიუხედავად, ქვეყანაში არ მოქმედებს ინფორმაციის მიღების დროს სპეციალური რეგულაციები, სტანდარტები, რომელიც დაეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მიიღონ მათთვის სახელმწიფო ორგანოებში არსებული ინფორმაცია. ინფორმაციის მისაწვდომობიდან გამომდინარე, ხშირად შეუძლებელი ხდება ისეთი უფლებების განხორციელება, როგორცაა: მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლება, განათლების უფლება, ჯანმრთელობის უფლება. ფაქტობრივად სრულად მიუწვდომელია სახელმწიფო უწყებების ოფიციალური გვერდები. აღნიშნული გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების შესაძლებლობას.
66. ინფორმაციის მისაწვდომობასთან მიმართებით გადაუჭრელი რჩება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მისაწვდომობის საკითხი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში არ ითვალისწინებს სურდო თარგმანის, სუბტიტრების, ბრალის შრიფტით, გამაძლიერებელი და სხვა სპეციალური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნული არ რეგულირდება საკანონმდებლო დონეზე<sup>lxx</sup>.

#### რეკომენდაციები:

- ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ყველა სამშენებლო ნებართვების დროს გათვალისწინებული იყოს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები;
- ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფის დროს გათვალისწინებული იყოს როგორც მობილობის შეზღუდვის მქონე, ისე სენსორული დარღვევების, კომუნიკაციის პრობლემების, ინტელექტუალური და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთა საჭიროებები;
- საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის მოქმედ კანონმდებლობაში განისაზღვროს კონკრეტული ვადა ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ საავტომობილო ინფრასტრუქტურით სარგებლობის უზრუნველყოფის შესახებ;
- მოხდეს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდისა და ელექტრონული სისტემის მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ყველა სახის სატრანსპორტო საშუალების მისაწვდომობის მიზნით როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე განისაზღვროს კონკრეტული სამოქმედო გეგმა, შესაბამისი ვადების, ბიუჯეტისა და ინდიკატორების მითითებით, რომლის ფარგლებშიც მოხდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრული მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- კანონმდებლობით განისაზღვროს და შექმნას სპეციალური ორგანო, რომელიც ვალდებული იქნება ტექნიკური რეგლამენტის იმპლემენტაციაზე, დარღვევების გამოვლენასა და შესაბამის სანქცირებაზე;
- კანონმდებლობით განისაზღვროს ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებების მისაწვდომობისათვის საჭირო სტანდარტები;
- ყველა სახელმწიფო ორგანოს ოფიციალური ვებ-გვერდი მისაწვდომი გახდეს ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის;
- ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ დაინერგოს ინფორმაციის მიწოდების სტანდარტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის;

## მუხლი 12. თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლება

67. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირების პროცესში საქართველოს პარლამენტმა კონვენციის მხოლოდ მე-12 მუხლზე გააკეთა დეკლარაცია, რაც აჩვენებდა სახელმწიფოს მხრიდან მისი სრულ იმპლემენტაციაზე არასაკმარის მზაობას.<sup>lxxxii</sup> თუმცა, მოგვიანებით, 2015 წელს ქვეყანამ გაატარა საკანონმდებლო რეფორმა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად მიიჩნია და გააუქმა ქვეყანაში არსებული ქმედუნარიანობის მოდელთან კავშირში არსებული ძირითადი საკანონმდებლო ნორმები.<sup>lxxxiii</sup>
68. ახალი მოდელი არსებითად დაეფუძნა კონვენციის ხედვას, რომელიც თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლების რეალიზებას უკავშირებს პირის ინდივიდუალური შეფასების პროცესს, პირის მონაწილეობის უზრუნველყოფით და შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. შედეგად, გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელით შეიცვალა მეურვის მხრიდან ნების ჩანაცვლების მანამდე არსებული მოდელი. თუმცა მიუხედავად ამისა, ეროვნული კანონმდებლობა სრულ თანხვედრაში არ არის კონვენციის მე-12 მუხლთან, ამასთან, მნიშვნელოვან პრობლემად იკვეთება ქმედუნარიანობის ახალი სისტემის სათანადო იმპლემენტაციის საკითხი.

### საკანონმდებლო ხარვეზები

69. მოქმედი კანონმდებლობით, პირისათვის მხარდაჭერის მიმღების სტატუსის მინიჭება (შრომის უფლების ნაწილში მხარდაჭერის საჭიროების დადგენის გარეშე) არის მისი საჯარო სამსახურში დასაქმების ბლანკეტური შეზღუდვის, ასევე მაღალი თანამდებობის პირების თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი, რაც ერთის მხრივ დისკრიმინაციულია კერძო სექტორში დასაქმებულ მხარდაჭერის მიმღებ პირებთან შედარებით რომლებზეც მსგავსი შეზღუდვა არ ვრცელდება, ხოლო მეორეს მხრივ სტატუსზე დაფუძნებულ, ინდივიდუალური შეფასების გარეშე უფლების შეზღუდვის საფუძველს ქმნის.<sup>lxxxiii</sup> ამასთან, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებული მხარდაჭერის მიმღები ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ პოლიტიკურ პროცესებში, რეფერენდუმსა და პლემბისციტის გზით მონაწილეობის შეზღუდვას,<sup>lxxxiv</sup> რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მოთხოვნებს.<sup>lxxxv</sup> კანონმდებლობა ასევე პირდაპირ კრძალავს მხარდაჭერის მიმღები პირისათვის დედობილად/მამობილად ყოფნას და ამ რეგულაციით ბლანკეტურად ზღუდავს პირისათვის ბავშვის მინდობით აღზრდის შესაძლებლობას.<sup>lxxxvi</sup>
70. ახალი მოდელი არათანაზომიერ ტვირთს ადგენს მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის ქორწინების უფლების რეალიზებისას,<sup>lxxxvii</sup> რამდენადაც ითვალისწინებს ბლანკეტურ ვალდებულებას ყველა მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ სავალდებულო წესით საქორწინო კონტრაქტის დადების თაობაზე, იმის მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილებით არის თუ არა აღნიშნულის საჭიროება.<sup>lxxxviii</sup> ახალი მოდელი ასევე დამატებით რეგულაციებს ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ გარიგების დადებისას, რითაც ქმნის მხარდაჭერის მიმღები პირების ინტერესების შელახვის საფრთხეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.<sup>lxxxix</sup>

71. ხარვეზულია პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცედურა. მოქმედი კანონმდებლობა მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის ნების არარსებობის პირობებში ტოვებს შესაძლებლობას, რომ მხარდაჭერის მიმღები პირის სრულყოფილი მონაწილეობისა და მისი ინტერესების სრულფასოვანი წარმოდგენის გარეშე განხორციელდეს სასამართლო პროცესი. ამის საფუძველს ქმნის საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც შეუძლებელს ხდის სასარჩელო დავის წარმოებას და სასამართლოში შეჯიბრებითი გარემოს შექმნას.<sup>xc</sup> ბუნდოვანია პროცესის მონაწილე პირების, მათ შორის, მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სტატუსი. მნიშვნელოვანია, მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სასამართლო პროცესის „მხარედ“ აღიარება რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მონაწილე პირებისათვის საპროცესო უფლებების - მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევის, საპროცესო მოქმედებების გასაჩივრებისა და სხვა საპროცესო უფლებების სრულყოფილი რეალიზებისათვის, რამდენადაც არსებული კანონმდებლობა უშვებს ამგვარი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობა.<sup>xcii</sup> მხარდაჭერის მიმღები პირის სტატუსის ბუნდოვანება პრაქტიკაში მისთვის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების შეზღუდვის საფუძველიც არაერთხელ გამხდარა.<sup>xciii</sup> კანონმდებლობა არაიძულებით ექსპერტიზაზე გამოუცხადებლობის გარდა, არ ითვალისწინებს ამ პროცესისგან თავის არიდების საფუძველს, იმ შემთხვევაში თუ პირს საერთოდ არ სურს მხარდამჭერის დანიშვნა.<sup>xciii</sup> ამასთან, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, იძულებითი ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევებს<sup>xciv</sup> და ნათლად არ ადგენს იძულებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას.<sup>xcv</sup>

### რეფორმის აღსრულება

72. განსაკუთრებით პრობლემურია საქმისწარმოების პროცესი სასამართლოში განვითარებული პრაქტიკა. სასამართლო პრაქტიკის კვლევა აჩვენებს, რომ რეფორმის ინტერპრეტაცია სასამართლო სისტემის მიერ იმთავითვე ეწინააღმდეგება მის არსს.<sup>xcvi</sup> სასამართლოსათვის მიმართვის ეტაპზე არ ხდება შესაფასებელი სფეროების დაკონკრეტება, შესაბამისად, მოთხოვნის გაუმართავობა და ბუნდოვანება ხშირად ხდება დავის საგნის სასამართლოს მხრიდან გაფართოების წინაპირობა.<sup>xcvii</sup> ექსპერტიზა უმეტეს შემთხვევაში გამოსცემს დასკვნას პირისათვის „სრული მხარდაჭერის“ დანიშვნის თაობაზე, ყველა სფეროში მისი დამოუკიდებლად შეფასების გარეშე,<sup>xcviii</sup> რაც შეუძლებელს ხდის მხარდაჭერის მიმღები პირების შეფასებისას ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებას და მის საფუძველზე მხარდაჭერის დანიშვნის იდეის რეალიზებას.

73. მიუხედავად ჩანაცვლების სისტემის გაუქმებისა, პრაქტიკაში, სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კვლავაც ჩანაცვლების მოდელს ემყარება. პრობლემურია თავის მხრივ სასამართლოს გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილი, რომელიც ხშირ შემთხვევაში, მხარდაჭერის მექანიზმის გამოყენების ნაცვლად სხვადასხვა ფორმით რეალურად ადგენს პირის ნების ჩანაცვლებას, მათ შორის სრული ნების ჩანაცვლებით ყველა სფეროში,<sup>xcix</sup> რაც ახალ სისტემას ქმედუნარიანობის ძველ მოდელში აბრუნებს და ხელს უშლის ახალი მოდელის ამოქმედებას.<sup>c</sup>

74. სასამართლოს გადაწყვეტილებების უმეტესი ნაწილი დაუსაბუთებელია,<sup>ci</sup> გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილები ბლანკეტურად, კონკრეტული უფლებებისა და სფეროების მითითების გარეშე, ინდივიდუალური მიდგომის გამორიცხვით ითვალისწინებენ უფლებების შეზღუდვას, რაც ასევე მნიშვნელოვნად აბრკოლებს გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტიანი მონიტორინგის პროცესს.<sup>cii</sup>
75. ასევე, მნიშვნელოვანი დაბრკოლებებია რეფორმის პრაქტიკული იმპლემენტაციის თვალსაზრისით სხვადასხვა მიმართულებებით. საკანონმდებლო ცვლილებებს არ მოჰყოლია შესაბამისი ადმინისტრაციული ცვლილებები, როგორც ინსტიტუციური, ისე ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყოფის თვალსაზრისით, რაც შეუძლებელს ხდის ამ მასშტაბის რეფორმის სათანადო იმპლემენტაციას.<sup>ciii</sup> უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომ საკანონმდებლო პროცესის პარალელურად არ მომხდარა მხარდაჭერითი სისტემის შექმნა. ამასთან, რეფორმის განხორციელებას თან არ ახლდა სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუციების მომზადება. ამასთან, გარდამავალ პერიოდში ქმედუუნაროდ აღიარებული პირების ინდივიდუალური შეფასება, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფოს წინასწარი გეგმისა და მხარდაჭერითი სისტემის შექმნის გარეშე, მინიმალური პროგრესით მიმდინარეობს.<sup>civ</sup>
76. პრობლემას წარმოადგენს პრაქტიკული თვალსაზრისით მხარდაჭერის განხორციელება იმ პირობებში, როდესაც მხარდამჭერი სახელმწიფოა. ამ შემთხვევაში უშუალოდ მხარდამჭერის მოვალეობას ასრულებს სოციალური მუშაკი, თუმცა ქვეყანაში მათი საერთო რაოდენობისა და დაკისრებული ფუნქციების მასშტაბების გათვალისწინებით, არ შეიძლება მივიჩნიოთ ეფექტურ გადაწყვეტად.<sup>cv</sup> გარდა ამისა, ზედამხედველობის განხორციელების პროცესში თავს იჩენს ინტერესთა კონფლიქტის პრობლემა, რამდენადაც სოციალური მომსახურების სააგენტოს თავად უწევს ორივე ფუნქციის - მხარდაჭერის გაწევისა და მისი კონტროლის ფუნქციების შეთავსება.<sup>cvi</sup> ამასთან, ხშირ შემთხვევაში პრობლემურია თავად მხარდამჭერთა ვალდებულებების ბუნდოვანი რეგულირება.<sup>cvii</sup>
77. არსებული პროგრესი აჩვენებს, რომ სისტემა ვერ უზრუნველყოფს რეფორმის ნორმალური ტემპებით განხორციელებას, რაც განაპირობებს ასეულობით პირის ქმედუუნაროდ აღიარების მდგომარეობის შენარჩუნებას და კითხვებს აჩენს შემდგომში მის სათანადოდ წარმართვაზე.

#### რეკომენდაციები:

- ეროვნულმა საპროცესო კანონმდებლობამ ნათლად განსაზღვროს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმისწარმოების პროცედურა იმგვარად, რაც გაითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სრულ მონაწილეობს პროცესში.
- ეროვნულმა კანონმდებლობამ გაითვალისწინოს პირის მხრიდან მხარდაჭერის მიღებასა და ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმის უფლება; ასევე, მხარდაჭერის მიმღები პირის უფლება იძულებითი ექსპერტიზის დანიშვნისა და საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე;
- ეროვნულ კანონმდებლობაში განხორციელდეს ცვლილებები, რომელიც მხარდაჭერის მიმღები პირის შრომის, ქორწინების, საარჩევნო, პირადი და ოჯახური ცხოვრების

უფლების, ჯამრთელობის უფლებისა და სამოქალაქო გარიგებებში მონაწილეობის უფლებების შეზღუდვას არ დაუქვემდებარებს პირის სტატუსს, უფლებაში ჩარევა განხორციელდება მხოლოდ პირის ინდივიდუალურ შეფასების საფუძველზე და მხარდაჭერის გზით.

- დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსამართლეთა, მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრთა და მხარდამჭერთა/მომავალ მხარდამჭერთა მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებები, შემუშავდეს და გავრცელდეს სახელმძღვანელოები მხარდაჭერის სისტემის სათანადო იმპლემენტაციისათვის;
- შეიქმნას და დაინერგოს მხარდაჭერის სერვისი, შეიქმნას მხარდაჭერის განხორციელებაზე (განსაკუთრებით სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ მხარდაჭერაზე) მონიტორინგის გამართული მექანიზმი, რომელიც დააზღვევს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხეს;
- რეფორმის სათანადო დანერგვის მიზნით სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს შესაბამისი ფინანსური, ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსების გამოყოფა;
- სახელმწიფოს მხრიდან დაიგეგმოს და განხორციელდეს ინტენსიური საინფორმაციო კამპანია ქმედუუნაროდ აღიარებული პირების, მეურვეების, მხარდამჭერების, ფსიქიატრიული და სპეციალიზებული დაწესებულებებისათვის;

### მუხლი 13. მართლმსაჯულების მისაწვდომობა

78. საქართველოს მთავრობას მართლმსაჯულების მისაწვდომობის კუთხით ეფექტური, სისტემური ცვლილებები ბოლო ორი წლის განმავლობაში არ განუხორციელებელია. გამოწვევები არსებობს როგორც ფიზიკური მისაწვდომობის<sup>cviii</sup>, ისე მართლმსაჯულების სისტემაში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის კუთხით.
79. მართლმსაჯულების მისაწვდომობასთან მიმართებით განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემაში დასაქმებული პირების კომპეტენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე. არ არსებობს სტრატეგია ან ერთიანი მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფდა მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. გამონაკლისის სახით ჩატარებული ერთჯერადი ტრენინგები არ შეიძლება შეფასდეს ეფექტურად<sup>cix</sup>.
80. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის დროს მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებები და შესაბამისი დასაბუთებები არის შაბლონური. მოსამართლეები თითქმის ყველა შემთხვევაში აკმაყოფილებენ ფსიქიატრიული დაწესებულების შუამდგომლობას, ეთანხმებიან ექიმის მოსაზრებას და არ ინტერესდებიან პაციენტის მოსმენით. მსგავსი მიდგომა არღვევს პაციენტის უფლებას პაციენტის უფლებას დაცვაზე<sup>cx</sup>. გასაჩივრების უფლება ფაქტობრივად არ არსებობს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. პაციენტების უმეტესობამ არ იცის საკუთარი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ<sup>cxii</sup>. დახურული ტიპის დაწესებულებაში მოხვედრის შემთხვევაში, სრულად ეზღუდებათ გასაჩივრების მექანიზმებზე ხელმისაწვდომობა, ადვოკატის მომსახურების მიღების შესაძლებლობა<sup>cxiii</sup>.
81. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით ქვეყანაში არსებობს შემდეგი ბარიერები: ტრანსპორტის მისაწვდომობა, პოლიციისა და სასამართლოს არაადაპტირებული შენობები<sup>cxiii</sup>, ინფორმაციის ნაკლებობა საკუთარი უფლებებისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, არასაკმარისი ფინანსები სასამართლოს ხარჯებისათვის, საკანონმდებლო აქტებზე მიუწვდომლობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებისათვის გასაჩივრების მექანიზმის არარსებობა დახურული ტიპის დაწესებულებებში<sup>cxiv</sup>.
82. სასამართლოს შენობებში ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის დროს არც ერთ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული სველი წერტილების ადაპტირება, ასევე უსინათლო და მცირედმხედველი ადამიანების საჭიროებები. სასამართლოს შენობის გარდა, ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის პრობლემა დგას იურიდიული დახმარების სამსახურისა და პოლიციის შემთხვევაშიც<sup>cxv</sup>.
83. ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო აქტების ერთადერთი რესურსი - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“<sup>cxvi</sup> სრულად მიუწვდომელია უსინათლო და მცირედმხედველი ადამიანებისთვის. მართლმსაჯულების უფლებასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ უსინათლო და მცირედმხედველი ადამიანები ვერ სარგებლობენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სარჩელის ფორმით.

#### რეკომენდაციები:

- განხორციელდეს მოსამართლეთა სპეციალიზაცია და მათთვის უწყვეტი პროფესიული გადამზადების სატრენინგო მოდულების შეთავაზება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებში;

- აღმოიფხვრას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს დაცვის უფლების შეზღუდვა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირისთვის, რისთვისაც აუცილებელია მოსამართლეების გადამზადება;
- განხორციელდეს ყველა პოლიციის, სასამართლოსა და უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის შენობების ადაპტირება ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის. მართლმსაჯულების მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებული იყოს უსინათლო და მცირედ მხედველი ადამიანების საჭიროებები როგორც ფიზიკური გარემოს, ისე ინფორმაციის მოძიებისა და გასაჩივრების პროცედურების მიმართულებით;
- დაინერგოს ეფექტური გასაჩივრების მექანიზმი დახურული ტიპის დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის;
- ფსიქიატრიულ დაწესებულებებში შემუშავდეს გამარტივებული პროცედურები გასაჩივრებისათვის, პაციენტებისათვის კი მათთვის გასაგები და გამარტივებული ფორმით მიეწოდოთ ინფორმაცია აღნიშნული პროცედურების შესახებ;



## მუხლი 14. პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება

84. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პიროვნების თავისუფლებების მიმართულებით საქართველოში არსებული მდგომარეობა ვერ პასუხობს კონვენციის მოთხოვნებს. კიდევ უფრო რთულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში და სტაციონარული ფსიქიატრიული მკურნალობის მიღების ადგილებში.
85. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ არის დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა იდენტიფიკაციის კრიტერიუმები, რის გამოც არ ხდება სრულფასოვანი სტატისტიკის წარმოება<sup>cxvii</sup>.
86. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ არსებობს პატიმრის პირველადი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შემოწმებისა და გამოვლენის სტანდარტი, არ ხდება პატიმრების მულტიდისციპლინური შეფასება, სომატური, ფსიქოლოგიური/ფსიქიკური, სოციალური, სამართლებრივი საჭიროებების განსაზღვრა<sup>cxviii</sup>. საერთოდ არ ხდება პატიმრების პირველადი ფსიქიატრიული შეფასება. გადაუჭრელ პრობლემად რჩება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა. დაწესებულებები არც იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ ფლობენ ინფორმაციას, რომელთაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრამდე ჰქონდათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი<sup>cxix</sup>.
87. არცერთ დაწესებულებაში არ არის დანერგილი სპეციალური მომსახურებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. არ არის უზრუნველყოფილი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებებში და უშუალოდ პატიმრობის მოხდის ადგილებში დამხმარე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დაეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს. აღნიშნული ფუნქციის შესრულება უწყვეტ სართულის მორიგეებს, რომლებიც არ ფლობს საკმარის უნარ-ჩვევებს მათ დახმარების აღმოსაჩენად. ხშირად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ მიეწოდებათ ჰიგიენის ნივთები, რომელიც მათი მდგომარეობიდან გამომდინარე ესაჭიროებათ (მაგალითად, სველი ხელსახოცები)<sup>cxx</sup>.
88. მოუგვარებელია ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის საკითხი. იმ დაწესებულებებშიც კი, სადაც მოხდა გარემოს ადაპტირება, არ არის დაცული შესაბამისი ნორმები. ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ცხოვრობენ სრულიად არაადაპტირებულ პალატებში. არ არის ადაპტირებული სველი წერტილები, რის გამოც სხვადასხვა დამხმარე საშუალებებით, ეტლის გარეშე უწყვეტ საპირფარეოში შესვლა, რაც ძალიან დიდ ტკივილთან არის დაკავშირებული. არის შემთხვევები, როდესაც ეტლის საჭიროების მქონე პირს, არა აქვს ეტლი. ხშირად საკანში ეტლით გადასაადგილებლად ადგილიც არ არის<sup>cxxi</sup>.
89. დაწესებულებები სრულად მიუწვდომელია უსინათლო ადამიანებისთვის. არ არსებობს ადამიანი, რომელიც მსგავს გარემოში მათ დახმარებაზე იქნება პასუხისმგებელი და ასეთ ფუნქციებს ხშირად ადმინისტრაციის თანამშრომლები ითავსებენ<sup>cxxii</sup>.
90. სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან არანებაყოფილობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტებთან საერთოდ არ მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. როგორც პენიტენციური დაწესებულებიდან, ისე იძულებით მკურნალობაზე გადმოყვანილი პაციენტები მკურნალობას გადიან ერთნაირი, მკაცრი რეჟიმის პირობებში და ფსიქიატრიული დახმარება მოიცავს მხოლოდ ფარმაკოთერაპიას<sup>cxxiii</sup>.
91. ცალკე უნდა გამოიყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სასამართლო ფსიქიატრიულ განყოფილებაში არსებული მდგომარეობა. აღნიშნულ დაწესებულებაში

- არ ხდება ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება პაციენტების მიმართ, ინდივიდუალური საჭიროებების გამოკვლევა, მულტიდისციპლინური მუშაობა. პაციენტთა აგრესიის სამართავად კი გამოიყენება დაშინება და ინექცია<sup>xxxiv</sup>.
92. გადაუჭრელ პრობლემად რჩება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. ფიქსირდება არაერთი შემთხვევა პაციენტების მიმართ ფიზიკური ძალადობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ<sup>xxxv</sup>. პაციენტების მიმართ გამოიყენება ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვები, ფიზიკური შებოჭვის მეთოდები და ინექციის სხვა პაციენტების თანდასწრებით გამოიყენება<sup>xxxvi</sup>. ხშირია სომატური დაავადებების დროული და ადეკვატური მკურნალობის ხელმიუწვდომლობა, რის გამოც გახშირებულია სიკვდილიანობა<sup>xxxvii</sup>.
93. საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ არ შეიცავს ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების მაქსიმალურ ვადას, რაც საფრთხის შემცველი სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი პირებისათვის. ასევე არ არსებობს ქიმიური შეზღუდვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩანაწერი. საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ არ იძლევა კონკრეტულ და განჭვრეტად ჩამონათვალს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიღებასთან დაკავშირებით, რაც წარმოშობს პრაქტიკაში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების უფლებების დარღვევის სერიოზულ რისკს<sup>xxxviii</sup>.
94. პაციენტები საიზოლაციო პალატებში რამდენიმე დღით თავსდებიან. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია იმ სიტუაციაში, როდესაც საიზოლაციო პალატები არ არის სპეციალურად, სათანადოდ აღჭურვილი და მაღალია პაციენტთა თვითდაზიანების რისკი. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური გარემო ხშირ შემთხვევაში ისეთ მდგომარეობაშია, რომ ეს შესაძლებელია გაუტოლდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას<sup>xxxix</sup>.
95. დღემდე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში იმყოფებიან ე.წ. „უვადო“ პაციენტები. ისინი წლების განმავლობაში გაუსვლელად იმყოფებიან სტაციონარი, მაშინ როდესაც არ საჭიროებენ აქტიურ მკურნალობას. მიზეზი, რის გამოც მათ უწევთ მუდმივად ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ყოფნა არის ის, რომ არსად აქვთ წასასვლელი. ასეთი პაციენტების რაოდენობა 30-40%-ია. ქვეყანაში არ არსებობს სტრატეგია, როგორ უნდა მოხდეს ამ ადამიანების სათემო ზრუნვის სერვისებში ჩართვა, არ არსებობს მხარდამჭერი სისტემა, საცხოვრისის/ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებები, ამბულატორიული ფსიქიატრიული სერვისების გეოგრაფიული მისაწვდომობა და თემზე დაფუძნებული ფსიქიატრიული სერვისები<sup>xxx</sup>.
96. საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მოზრდილები კვლავ განაგრძობენ დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში ცხოვრებას, რომელიც სრულად გამორიცხავს მათი თავისუფალი განვითარების უფლებას. დღეისათვის ქვეყანაში მოქმედებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ორი და მოზრდილთა 3 რეზიდენტული დაწესებულება, სადაც ყოველდღიურად ხდება მათი უფლებების სისტემური დარღვევა. ინსტიტუციებში არსებული გარემო სრულად გამორიცხავს იქ მცხოვრები ადამიანების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას.
97. ძირითადი პრობლემები, რომლებიც განაპირობებს ინსტიტუციებში მცხოვრები პირების უფლებების დარღვევას, არის შემდეგი: არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, პროფესიული და დამხმარე კადრების სიმწირე, რეაბილიტაციის სერვისების არარსებობა, გარე სამყაროსთან კონტაქტის სიმწირე, საზოგადოებისგან იზოლაცია, სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებული პრობლემები. არსებული გამოწვევები ხშირად იწვევს ინსტიტუციებში მცხოვრები პირების სიცოცხლის ხელყოფას და სრულად გამორიცხავს

ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურების შეთავაზებას. ძალიან დაბალია ბენეფიციარების ინფორმირებულობა საკუთარი უფლებების შესახებ. მათ ფაქტობრივად არ მიუწვდებათ ხელი უფლების დაცვისა და გასაჩივრების მექანიზმებზე<sup>xxxxi</sup>.

98. ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების შემდეგ დიდი ზომის ინსტიტუციებში მცხოვრებ, ქმედუნაროდ აღიარებულ პირებს მხარდამჭერებად დაენიშნათ უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფო სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები, რაც სრულად ეწინააღმდეგება რეფორმის არსს, მონიტორინგისა და ხარისხი შემოწმებას. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომელი, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს მხარდამჭერებზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მონიტორინგზე, თავად წარმომადგენს მხარდამჭერ პირს. ამასთან, მხარდამჭერი პირები გეოგრაფიულად დაშორებულები არიან მხარდამჭერის მიმღებ პირებთან, რაც კიდევ უფრო ართულებს ინსტიტუციაში მცხოვრები პირების უფლებრივ მდგომარეობასა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას.

#### რეკომენდაციები:

- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა იდენტიფიკაციის კრიტერიუმები და სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია;
- შემუშავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა პირველადი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შემოწმებისა და გამოვლენის სტანდარტი, დაინერგოს შეფასების მულტიდისციპლინური მიდგომა;
- განისაზღვროს სტანდარტი, რომლითაც მოხდება საჭიროების შემთხვევაში პატიმრების შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაინერგოს სარეაბილიტაციო სერვისები;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გამოიყონ შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დახმარებას აღმოუჩენენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებს;
- ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდეს ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა სტანდარტების შესაბამისად;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სასამართლო ფსიქიატრიულ განყოფილებაში დაინერგოს მულტიდისციპლინური მუშაობა, რომელიც მიმართული იქნება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენაზე;
- საქართველოს კანონში „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ განისაზღვროს ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის მაქსიმალური ვადა; ასევე, მოხდეს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული მკურნალობის მიღების კონკრეტული და განჭვრეტადი კრიტერიუმების განსაზღვრა;
- დაუყოვნებლივ შემუშავდეს გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მუდმივად მყოფი პაციენტების სათემო სერვისებში ჩართვას;
- სააღმზრდელო დაწესებულებების ლიცენზირების შესახებ“ კანონში შევიდეს ცვლილებები და გამოირიცხოს დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების ფუნქციონირებას კანონით გათვალისწინებული ლიცენზირების პირობების დაცვის გარეშე;
- ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების მონაწილეობით დაუყოვნებლივ შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად დაისახავს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ

პანსიონატებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ყველა ფუნდამენტური უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფას;

- დაუყოვნებლივ დაიწყოს დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებაში მცხოვრები პირებისათვის თემზე დაფუძნებული მომსახურებების შექმნა და მიწოდება, მათო დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;
- შემუშავდეს მხარდამჭერთა ერთიანი სისტემა, რომელიც ჩაანაცვლებს სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის მხარდამჭერად სოციალური მუშაკის დანიშვნის შესაძლებლობას, რაც ასევე აისახება კანონმდებლობაში;

## მუხლი 19. დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა

99. სტრატეგია, რომელიც სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსულ შშმ პირებს ცხოვრების ადეკვატური სტანდარტებით უზრუნველყოფს, სახელმწიფოს შემუშავებული არ აქვს. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის საკითხზე, სახელმწიფო ქმედითი და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელებას ვერ ახერხებს.
100. საანგარიშო პერიოდში, ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის განხორციელების მიუხედავად, არ მომხდარა შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართვა. თემზე დაფუძნებული სერვისების არასათანადო მიწოდებამ და სახელმწიფო პროგრამებისთვის ბიუჯეტის შემცირებამ<sup>cxviii</sup> კი მათთვის დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობის დაკარგვას კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი.
101. კონვენციის მე-19 მუხლით აღიარებული უფლების რეალიზება განსაკუთრებით შეზღუდულია სახელმწიფო ზრუნვის პერიოდის ამოწურვის შემდეგ იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, რომლებიც ბავშვობიდან ინსტიტუციებში იმყოფებიან და სრულწლოვანობის მიღწევის შემდეგ იძულებულნი ხდებიან, დაწესებულება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოუმზადებლად დატოვონ. სახელმწიფო, თავის მხრივ, მათ არავითარ მხარდაჭერას არ სთავაზობს, რის გამოც, სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, ისინი საცხოვრებლისა და შესაბამისი სერვისების გარეშე რჩებიან.<sup>cxviii</sup>
102. 2009 წელს დაწყებულმა ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესმა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და მოზარდები, დისკრიმინაციული გამორიცხვით, მისი განხორციელების ყველა ეტაპზე უგულვებელყო, რის შედეგადაც, ისინი სახელმწიფო დაწესებულებებში დღემდე რჩებიან.<sup>cxviii</sup> შესაბამისად, აღნიშნულ პროცესში შშმ ბავშვების უფლების რეალიზაცია დამოუკიდებელ ცხოვრებაზე, სხვებთან თანასწორად, არ მომხდარა.<sup>cxv</sup>
103. ეროვნული სტანდარტის<sup>cxvii</sup> მიხედვით, სადღეღამისო სპეციალიზებული მომსახურების მიმწოდებელმა ხელი უნდა შეუწყოს ბენეფიციარის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას. თუმცა, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების ინკლუზიურ განათლებასა და სოციალურ განვითარებაზე ზრუნვის საკმარისი რესურსი დაწესებულებებს არ გააჩნიათ, რაც შედეგად მათი პიროვნული განვითარების შეფერხებას და სრულწლოვანების ასაკის მიღწევისას დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობის დაკარგვას იწვევს, რის გამოც, ერთადერთ პერსპექტივად მათი ზრდასრულ შშმ პანსიონატში გადაყვანა განიხილება.<sup>cxvii</sup>
104. მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა კი მოსარგებლეთა წრეს მხოლოდ მზრუნველობამოკლებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებით განსაზღვრავს. ამასთან იგი, ლიმიტირებული არამატერიალიზებული ვაუჩერის გაცემის საშუალებით მომსახურების გაწევას საქართველოს რეგიონების მიხედვით გულისხმობს,

თუმცა, პროგრამა სრულად არ ფარავს ქვეყნის ყველა რეგიონს, რაც მის მისაწვდომობას დამაბრკოლებელს ხდის.<sup>cxviii</sup>

105. საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმა 2011 წლიდან დაიწყო, რის შედეგადაც დიდი ზომის ინსტიტუციები დაიხურა და მის ნაცვლად, რამდენიმე ახალი, მცირე ზომის დაწესებულება ამოქმედდა.<sup>cxix</sup> მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა პროცესმა არ მოიგვა ყველა დიდი ზომის ინსტიტუცია და შედეგად, ზოგიერთი დაწესებულება ჯერ კიდევ აგრძელებს ფუნქციონირებას.
106. დიდი ზომის ინსტიტუციების ფუნქციონირება, ხშირად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური იზოლაციისა და საზოგადოებიდან გარიყვის წინაპირობაა. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშები უთითებენ ისეთ სისტემურ პრობლემებზე, როგორებიცაა, დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის შემთხვევები, ბენეფიციართა ფიზიკური შეზღუდვის ფაქტები, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მომსახურების შეზღუდვა, სამედიცინო მომსახურების მისაწვდომობის პრობლემები და სხვა.<sup>cxl</sup>
107. ზრდასრულ შშმ პირთა პანსიონატის ბენეფიციართა უმრავლესობას ხანგრძლივი ინსტიტუციური გამოცდილება აქვს. მათ უმრავლესობას ასევე გაწყვეტილი აქვს კავშირი ბიოლოგიურ ოჯახთან. ინსტიტუციური აღზრდა, ინკლუზიური განათლების, სოციალური და პროფესიული უნარ-ჩვევების არქონა კი მათ საზოგადოებისაგან იზოლაციასა და ინსტიტუციაზე დამოკიდებულებას იწვევს, რაც თავის მხრივ, რეინტეგრაციის პროცესსა და დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ამცირებს.<sup>cxli</sup>
108. ასევე პრობლემატურია ფსიქიკურ დაწესებულებებში, ნებაყოფლობითი სტაციონირებისას, ბენეფიციარების მიერ სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების სტატუსით ფორმალურად სარგებლობის საკითხი. სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, რიგ შემთხვევაში ბენეფიციართა უმრავლესობა თავად ბენეფიციარის ან/და მისი ოჯახის მძიმე სოციალური პრობლემებიდან გამომდინარე, ფსიქიატრიულ მკურნალობას ინსტიტუციებში გადის. უმრავლეს შემთხვევაში, ამგვარ დაწესებულებებს არა ფსიქიატრიული მკურნალობისა და რეაბილიტაციის, არამედ სოციალური საცხოვრისის დატვირთვა გააჩნიათ, ეს კი სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის უუნარობაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ბენეფიციარების უმრავლესობას რეალურად შესწევს უნარი სხვათა მხარდაჭერის გარეშე იცხოვრონ, საცხოვრებლის არქონის გამო არჩევანს კვლავ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ცხოვრებაზე აკეთებენ.<sup>cxlii</sup>
109. რაც შეეხება თემზე დაფუძნებულ სერვისებს, მათი გაძლიერებისთვის მოქმედებს მცირე სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა.<sup>cxliii</sup> აღსანიშნავია ის, რომ სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს უფროსი ასაკის შშმ პირები წარმოადგენენ,<sup>cxliv</sup> თუმცა ბენეფიციარებისათვის პერსონალური დამხმარის სერვისი მიუწვდომელია, რამდენადაც ქვეპროგრამა მსგავსი სერვისის მიწოდებას არ მოიაზრებს. გარდა ამისა, აღნიშნული ქვეპროგრამა ლიმიტირებული არამატერიალიზებული ვაუჩერის გაცემასა და მისი საშუალებით მომსახურების გაწევას გულისხმობს, თუმცა გეოგრაფიული დაფარვის

შესახებ ინფორმაციას არ იძლევა, ინფორმაციის ნაკლებობა კი კიდევ უფრო მეტად აბრკოლებს სამიზნე ჯგუფის წევრებისთვის მომსახურების მიღებას.<sup>cxlv</sup>

#### რეკომენდაციები:

- სახელმწიფომ უზრუნველყოს ზრუნვიდან გამოსული შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობი ღონისძიებების საკანონმდებლო რეგულირება, სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შედგენა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციით (UNCRPD) ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად;
- დაიგეგმოს დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა პირთა ინტერესი;
- შეიქმნას ალტერნატიული, მცირე ზომის მომსახურებები;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, შინ მოვლისა და ინდივიდუალური მხარდაჭერის სხვადასხვა სქემის მეშვეობით;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის მიზნით, დაინერგოს და განვითარდეს თემზე დაფუძნებული სერვისები და უზრუნველყოს მომსახურების გეოგრაფიული მისაწვდომობა.

## მუხლი 20. ინდივიდუალური მობილობა

110. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის კვლავ პრობლემად რჩება როგორც ინდივიდუალური მობილობის, ასევე ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის მისაწვდომობის უზრუნველყოფა. ეს ყოველივე კი საზოგადოებისაგან მათ იზოლაციას კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს.
111. 2014 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამა“ არ ცვლის დამკვიდრებულ პრაქტიკას და, დამხმარე სერვისების მიწოდების თვალსაზრისით, წლიდან წლამდე იმეორებს ერთი და იმავე მიდგომას. დაფინანსების საკითხი კი ყოველწლიურად განსხვავებულია.<sup>cxlvi</sup>
112. შშმ პირთა ინდივიდუალური მობილობის ხელშეწყობისათვის დამატებითი ზომების არსებობა განსაზღვრულია დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით,<sup>cxlvii</sup> რომლის მოსარგებლეთა წრესაც შშმ პირები და ხანდაზმულები (ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან) წარმოადგენენ.<sup>cxlviii</sup> მოუხედავად ამისა, ინფორმაციის ნაკლებობის გამო ხშირია არასწორი ადრესატის მიმართ გაკეთებული წერილობითი მიმართვიანობა, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები პირების მიერ, რის შედეგადაც, შშმ პირები ან მათი წარმომადგენლები დამხმარე საშუალებების მიღებაზე უარს იღებენ, რაც თავის მხრივ ხელს უშლის მათი უფლებების სრულფასოვან რეალიზაციას.<sup>cxlix</sup> ქვეპროგრამით გათვალისწინებული დამხმარე საშუალებებით, შესაბამისი პირების, სრული უზრუნველყოფა ჯერ კიდევ პრობლემად დგას. სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებები დღემდე არ არის აღჭურვილი საკმარისი ტექნიკური რესურსით, რასაც საქართველოს სახალხო დამცველი მის მიერ მომზადებულ ანგარიშებში არაერთხელ აღნიშნავს.<sup>cl</sup>
113. გარდა ამისა, ფაქტობრივად არ არსებობს პერსონალური ასისტენტის პროგრამა უსინათლო პირებისთვის. ამგვარი სერვისით სარგებლობა მხოლოდ დედაქალაქშია შესაძლებელი, ისიც არასათანადოდ.<sup>cli</sup> ამჟამად გამცილებელთა რაოდენობა შეადგენს სულ 3 ადამიანს, რომელთაზეც ხელშეკრულების გაფორმება 10 თვის ვადით არის შესაძლებელი, რაც დანარჩენ პერიოდში უსინათლო პირების იზოლაციაში ყოფნას განაპირობებს.<sup>clii</sup> პერსონალური დამხმარის სერვისის უზრუნველყოფა ასევე შეუძლებელია საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რამდენადაც ისინი არ აწვდიან, შესაბამის პირებს, პირადი წამკითხველის სერვისს.<sup>cliii</sup> უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მცირე დაფინანსებისა და სერვისის არასათანადო მიწოდების პირობებში, ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობას კიდევ უფრო მცირდება.<sup>cliv</sup>
114. ამასთანავე, რაიმე სახის სწავლება, რომელიც დაეხმარება შშმ პირებსა თუ მათთან შემხებლობაში მყოფ პირებს ინდივიდუალური მობილობის განხორციელებაში, სახელმწიფოს მიერ დადგენილი პროგრამით გათვალისწინებული არ არის. ნაცვლად ამისა, იგი მხოლოდ დამხმარე საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევით შემოიფარგლება, ისიც მხოლოდ ზოგიერთ დამხმარე საშუალებაზე.<sup>clv</sup>



115. შესაბამისად, არასათანადოდ მიწოდებული სერვისები, კადრების არასაკმარისი რაოდენობა და დამხმარე საშუალებებით არასრულად აღჭურვა ჯერ კიდევ პრობლემურად იკვეთება. აღნიშნული პროცესი კი შშმ პირების ინდივიდუალური მობილობის ხელშეწყობას მნიშვნელოვნად აფერხებს.

**რეკომენდაციები:**

- შემუშავდეს მისაწვდომობის სტანდარტების აღსრულებისა და ზედამხედველობის ეფექტური პოლიტიკა;
- მოხდეს შშმ პირების შესაბამისი დამხმარე საშუალებებით სრული უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების სისტემის განვითარების შესახებ წინადადებების შემუშავების პროცესში მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებული პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება;
- მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სივრცის მოწყობის პროცესში ეფექტური ზესამხედველობის მექანიზმის დანერგვა;

## მუხლი 21. აზრის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციაზე მისაწვდომობა

116. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სტანდარტი და მისი შესრულების ხარისხი არ შეესაბამება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის მოთხოვნებს.
117. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არასათანადოობა და სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი ღონისძიებები უფლების რეალიზების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტურობაზე მიუთითებს. დაბალია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის მისაწვდომ ფორმატში მიწოდებისა და ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი.<sup>clvi</sup> კონვენციის რატიფიცირების შემდგომ სახელმწიფომ ვერ მოახერხა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაედგა კონვენციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად. შედეგად, სახელმწიფო ძირითადად ვერ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინფორმაციის თავისუფალ ხელმისაწვდომობას, მათ შორის, სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის თაობაზე როგორც პროაქტიულად, ისე შესაბამისი განცხადების საფუძველზე.
118. სახელმწიფოს ანგარიში კონვენციის იმპლემენტაციის თაობაზე, დიდ წილად ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო გარანტიებს, თუმცა იგი ყურადღებას არ ამახვილებს იმ სპეციფიკაზე, რასაც უნდა ითვალისწინებდეს კანონმდებლობა ამ ჯგუფთან მიმართებით. ასევე, ანგარიში არ საუბრობს იმ პრაქტიკულ ბარიერებზე, რასაც აწყდებიან სპეციალური საკომუნიკაციო საშუალებების საჭიროების მქონე პირები. ანგარიში არ მოიცავს სხვადასხვა გავრცელების წყაროებიდან (მედია, ინტერნეტი და სხვა) ინფორმაციაზე წვდომის შესახებ არსებულ მდგომარეობას და გამოწვევებს, რის გამოც ვერ აჩვენებს სრულ სურათს ქვეყანაში უფლებით სარგებლობის მდგომარეობის კუთხით.
119. მოქმედი კანონმდებლობით ინფორმაციაზე მისაწვდომობის გარანტიებს ქმნის საქართველოს კონსტიტუცია<sup>clvii</sup> და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.<sup>clviii</sup> კანონმდებლობა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ჭრილში ნეიტრალურია და არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის სპეციალურ (ადაპტირებულ) ფორმატში მიწოდების ვალდებულებას და სპეციალური მხარდაჭერის შესაძლებლობას ინფორმაციის მოპოვების პროცესში.<sup>clix</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინფორმაციაზე წვდომის უფლებას ადაპტირებული ფორმით საერთოდ არ ითვალისწინებს.<sup>clx</sup>
120. ასევე, არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ინფორმაციასა და სერვისებზე მისაწვდომობის სტანდარტი.<sup>clxi</sup> ქვეყანაში მოქმედი მისაწვდომობის სტანდარტი მხოლოდ ფიზიკურ გარემოს მიემართება და არ მოიცავს ინფორმაციასა და სერვისებზე წვდომის საკითხებს.<sup>clxii</sup>

121. ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მედიის, ინტერნეტ-სივრცისა და ინფორმაციის სხვა წყაროებისათვის ინფორმაციის მისაწვდომობის სტანდარტს და მისი განხორციელების სავალდებულობას, რომელიც ეტაპობრივად შეძლებდა უზრუნველყოფის მისი აღსრულების ვალდებულება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მედია ხელმისაწვდომობისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებებს ითვალისწინებდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამთავრობო-სამოქმედო გეგმა“ (2014-2016 წლებისათვის).<sup>clxiii</sup> თუმცა, პასუხისმგებელი უწყების მხრიდან ამ მიმართულებით მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოები არის ჩატარებული.<sup>clxiv</sup> აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველმა 2015 წელს წინადადებით მიმართა შესაბამის უწყებას.<sup>clxv</sup>
122. სპეციალური კომუნიკაციის საჭიროების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, გარდა სმენის არმქონე პირებისა, არ არსებობს ინფორმაციის მისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამები. სახელმწიფოში ინფორმაციაზე წვდომის უფლების რეალიზებისათვის მოქმედებს მხოლოდ ერთი - „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა“, რომელიც მხოლოდ სმენის არმქონე პირებისათვის ინფორმაციის მისაწვდომობას ეხება და სამიზნე ჯგუფად არ მოიაზრებს სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთაც ინფორმაციის მოდიფიცირებული ფორმით მიწოდება ესაჭიროებათ.<sup>clxvi</sup> არსებული პროგრამა ლიმიტირებულად ემსახურება ბენეფიციარებს და შეზღუდულია მისი გეოგრაფიული მისაწვდომობა.<sup>clxvii</sup> პროგრამით მოსარგებლეთა მაჩვენებელი არ არის მაღალი,<sup>clxviii</sup> რის გამოც არ შეიძლება მიჩვეულ იქნას საკმარის და ეფექტურ საშუალებად,<sup>clxix</sup> განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა მის განსახორციელებლად ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 10 სურდოთარჯიმანია გათვალისწინებული.<sup>clxx</sup>
123. პრაქტიკაში, ასევე დაბალია საჯარო უწყებების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხარისხი. საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდები და მათზე განთავსებული ინფორმაცია უმეტესად არ არის მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ან მათი ადაპტირების ხარისხი არ არის შესაბამისი კონვენციის სტანდარტებთან.<sup>clxxi</sup>
124. სახელმწიფო უწყებების მნიშვნელოვანი ნაწილი, აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი უწყებების<sup>clxxii</sup> - სახელმწიფო მინისტრის აპარატების, სამინისტროებისა და მათ მმართველობაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ვებ-გვერდების უდიდესი უმრავლესობა არ არის მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, მხოლოდ მათი მცირე ნაწილია ნაწილობრივ ადაპტირებული იმ ბენეფიციარებისათვის, რომლებიც თავად ფლობენ ამ მიზნით სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას.<sup>clxxiii</sup>
125. სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში მხედველობის არმქონე პირებისათვის არ არის ადაპტირებული სასარჩელო განცხადების ფორმა, რომლის გამოყენება სავალდებულოა სასამართლოსათვის მიმართვის ეტაპზე.<sup>clxxiv</sup> არაადაპტირებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს,<sup>clxxv</sup> ასევე, საჯარო სამსახურში დასაქმების მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის არსებული ვებ-გვერდი, რომელიც

ერთადერთი და სავალდებულო გზაა საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთა კონკურსში მონაწილეობისათვის. clxxvi

126. ასევე, დაბალია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით უწყებებისადმი მიმართვიანობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხრიდან. ოფიციალური მონაცემებით არ ფიქსირდება ადაპტირებული ფორმით საჯარო ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა. clxxvii ეს მაჩვენებელი, თემისა და სახალხო დამცველის მხრიდან წლების მანძილზე აიხსნება საჯარო ინფორმაციის წვდომაზე არსებული ბარიერებით. clxxviii
127. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტელე-მედით გადაცემული ინფორმაცია ასევე არ არის მისაწვდომი და მხოლოდ მინიმალურად ხდება საზოგადოებრივი მაუწყებლების მხრიდან კომუნიკაციის გამაძლიერებელი სპეციალური საშუალებების გამოყენება. clxxix

### რეკომენდაციები:

- მოქმედი კანონმდებლობით განისაზღვროს სპეციალური საკომუნიკაციო საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციასა და სერვისებზე მისაწვდომობის სტანდარტი, მათ შორის სახელმწიფო სერვისების, მედიის, პრესისა და სხვა საინფორმაციო საშუალებებზე, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორისათვის;
- სახელმწიფოს მხრიდან შეიქმნას გეგმა ინფორმაციისა და სერვისების ეტაპობრივი ადაპტირების მიზნით და განისაზღვროს გეგმის აღსრულების ეფექტური ბერკეტები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მოხდეს ინფორმაციის მიწოდება მათთვის მისაღები ფორმატითა და ტექნოლოგიების გამოყენებით (ბრაილის შრიფტი, მსხვილი შრიფტი), როგორც პროაქტიულად, ისე მოთხოვნის შემთხვევაში;
- დაუყოვნებლივ მოხდეს საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, გაეროს კონვენციის სტანდარტის შესაბამისად, ეტაპობრივად დაიგეგმოს და აღსრულდეს კერძო დაწესებულებების ვებ-გვერდების ადაპტირების პროცესი;
- სახელმწიფო უწყებების მხრიდან სპეციალური საკომუნიკაციო საჭიროებების მქონე პირებთან ურთიერთობისას უზრუნველყოფილ იქნას ალტერნატიული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება და დანერგვა;
- მოხდეს საჯარო დაწესებულებების თანამშრომლეთა გადამზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციისა და სერვისის სათანადო მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

### მუხლი 23. საცხოვრებლისა და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა

128. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება შესაბამისი სახელმწიფო სერვისებისა და საკანონმდებლო რეგულაციების არქონის პირობებში სრულად უგულვებელყოფილია. საცხოვრებლისა და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება განსაკუთრებით პრობლემურია სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი პირების შემთხვევაში.
129. პანსიონური ტიპის დაწესებულებებში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება არა აქვთ საკუთარი შვილები იყოლიონ დაწესებულებაში და ყველა შემთხვევაში ხდება ზრუნვის ალტერნატიულ ფორმებში ბავშვების ჩართვა. სახელმწიფოში არ არსებობს ოჯახის დამხმარე პროგრამები და ხშირად უპირატესობა ენიჭება ოჯახის ჩამნაცვლებელ პროგრამებს, რის გამოც ბავშვი ფაქტობრივად მუდმივად წყვეტს ბიოლოგიურ მშობლებთან კონტაქტს<sup>clxxx</sup>. ამის მიზეზი ხშირად ისიც არის, რომ ბავშვის განთავსება სახელმწიფო ზრუნვის ამა თუ იმ ფორმაში ხდება ტერიტორიულად დაშორებულ ადგილებში, რაც კიდევ ერთ დამაბრკოლებელ გარემოებს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვის კუთხით<sup>clxxxi</sup>. ქვეყანაში მოქმედი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სათემო ორგანიზაციების შემთხვევაში არსებობს განსხვავებული მიდგომა, რომელიც უშვებს შესაძლებლობას, რომ სათემო სერვისის მიმღებმა პირებმა თავად აღზარდონ 18 წლამდე ასაკის შვილები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს<sup>clxxxii</sup>. თუმცა, კანონში არსებული აღნიშნული შესაძლებლობის განსაზღვრის მიუხედავად, შესაბამისი პოზიტიური ღონისძიებების არარსებობის პირობებში, არცერთი მსგავსი შემთხვევა არ ფიქსირდება.
130. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის შემდეგ გაუქმდა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული მიდგომა, რომელიც სრულად გამორიცხავდა ქმედუნაროდ აღიარებული პირების მიერ ოჯახური ცხოვრების უფლების განხორციელებას. თუმცა, განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, კვლავ არსებობს საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც საჭიროებენ მოწესრიგებას. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ არ ადგენს შეზღუდვას მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანასთან მიმართებით, თუმცა კრძალავს მხარდაჭერის მიმღები პირის დედობილ/მამობილად ყოფნას ანუ მინდობით აღზრდელად ყოფნას<sup>clxxxiii</sup>.
131. ბლანკეტურ შეზღუდვას ითვალისწინებს მამობის დადგენის მარეგულირებელი ნორმები<sup>clxxxiv</sup>. მამობის დადგენის რეგისტრაცია იმ პირისთვის, რომელიც მხარდაჭერის მიმღებად არის აღიარებული, ასევე მამობის დადგენა იმ ბავშვისათვის, რომლის მამაც აღიარებულია მხარდაჭერის მიმღებ პირად, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, მხარდაჭერის მიმღები პირი რა სფეროებში იქნება მიჩნეული ამგვარი საჭიროების მქონე პირად<sup>clxxxv</sup>.
132. მხარდაჭერის მიმღები პირების მიერ, მიუხედავად იმისა, მხარდამჭერი პირი მას დანიშნული ჰყავს თუ არა გარიგებების დადების ნაწილში, ქორწინების შემთხვევაში საქორწინო კონტრაქტის გაფორმების ვალდებულება<sup>clxxxvi</sup>, არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს, რადგან ის სრულად გამორიცხავს ინდივიდუალურ მიდგომაზე დაფუძნებულ მოდელს<sup>clxxxvii</sup>.
133. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალების შემთხვევაში განსაკუთრებით ხშირად ხდება დედობის უფლების ხელყოფა, რაც განპირობებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის

პრობლემის მქონე ქალების შეფასების დროს სოციალური მუშაკების მხრიდან სამედიცინო მიდგომის გამოყენებით, ნაცვლად სოციალური მოდელისა<sup>chxxxviii</sup>.

134. ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან მიმართებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ბევრად უფრო რთულ მდგომარეობაში არიან, განსაკუთრებით ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალები. ოჯახური დავების შემთხვევაში, თუ ქალი ფსიქოსოციალური საჭიროების მქონეა, ბავშვის ბედი, ფაქტობრივად გადაწყვეტილია და სასამართლო ბავშვს მამას აკუთვნებს. გადაწყვეტილების მიღებისას მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება ქალის დიაგნოზი და არა მისი უნარები<sup>chxxxix</sup>.

#### რეკომენდაციები:

- სოციალური მომსახურების სააგენტომ შეაფასოს სახელმწიფო მზრუნველობაში მცხოვრები ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, რომელსაც ჰყავს შვილი და ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე განახორციელოს აღნიშნული ოჯახების დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართით, განახორციელოს დამხმარე ღონისძიებები ყველა ინდივიდუალური შემთხვევიდან გამომდინარე, რომ ბავშვი იზრდებოდეს ბიოლოგიურ მშობლებთან;
- ცვლილებები შევიდეს საქართველოს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ და მოიხსნას შეზღუდვა, რომელიც მხარდაჭერის მიმღებ პირს, მიუხედავად სასამართლოს მიერ განსაზღვრული სფეროსი, ეკრძალება მინდობით აღმზრდელ მშობლად რეგისტრაცია;
- ცვლილებები განხორციელდეს საქართველოს კანონში „სამოქალაქო აქტების შესახებ“ და მოიხსნას შეზღუდვა, რომელიც სავალდებულო წესად განსაზღვრავს სასამართლოს გადაწყვეტილებას მამობის დადგენასთან დაკავშირებით, თუ პირი მხარდაჭერის მიმღებია;
- საქორწინო კონტრაქტის დადების ვალდებულება დაეფუძნოს ინდივიდუალურ მიდგომას და არ იყოს სავალდებულო ყველა მხარდაჭერის მიმღები პირისთვის;
- მოხდეს სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, რომელიც გამორიცხავს დიაგნოზზე დაფუძნებულ მიდგომას მათი მხრიდან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის მომენტში;

## მუხლი 24. განათლება

135. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განათლების მიღებასთან დაკავშირებით პრობლემას წარმოადგენს განათლების დაბალი ხარისხი, პედაგოგთა არასაკმარისი კვალიფიკაცია, ინკლუზიური განათლების არასათანადო დანერგვა და ფიზიკური გარემოს უხარისხო ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის<sup>cxv</sup>
136. საქართველოში სკოლამდელი განათლების მიწოდება ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებას წარმოადგენს<sup>cxvi</sup>, რაც გულისხმობს რომ ყველა მუნიციპალიტეტი თავად წყვეტს სკოლამდელი განათლების მიწოდებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ და შინაარსობრივ საკითხებს. ქვეყანაში არ არსებობდა ერთიანი სტანდარტი, როგორც ზოგადად სკოლამდელი განათლების მიწოდებასთან, ისე ინკლუზიური სკოლამდელი განათლებასთან მიმართებით. 2016 წელს მოხდა ახალი კანონის მიღება, რომლის მიზანიც სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის ერთიანი სტანდარტის დანერგვა უნდა იყოს<sup>cxvii</sup>. მიუხედავად, სკოლამდელი განათლების მიღების ერთიან საკანონმდებლო სივრცეში მოქცევის დადებითი მხარისა, არ შეიძლება ის ჩაითვალოს ეფექტურად. კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების უმეტესობის ამოქმედება ვერ მოხდება შემდეგი რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც გამოწვეულია გარდამავალ დეპარტამენტებში მისი ცალკეული მუხლის ამოქმედებისათვის დაწესებული ვადებისა. დღეისათვის მხოლოდ სამი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით<sup>cxviii</sup> არის განსაზღვრული ინკლუზიური სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ვალდებულება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ შემთხვევაშიც არ ხდება დაკონკრეტება, კონკრეტულად რა ღონისძიებებს მოიცავს ინკლუზიური სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა.
137. ხშირად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართვა სკოლამდელ დაწესებულებაში ატარებს ფორმალურ ხასიათს, არ ხდება ბავშვების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში<sup>cxix</sup>. არის შემთხვევები, როდესაც საბავშვო ბაღის ადმინისტრაცია მშობელს სთხოვს უშუალოდ ის იყოს ბავშვის გვერდით ან აიყვანოს დამხმარე. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით სახეზეა აუტისტური სპექტრის, განვითარებისა და ქცევის დარღვევების მქონე ბავშვების შემთხვევაში. იმ შემთხვევაში თუ, მშობელი ვერ აიყვანს დამხმარეს ან თავად არ იქნება ბავშვთან, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ბავშვს უარს ეუბნებიან საბავშვო ბაღში მიღებაზე. პრობლემას ართულებს ამ შემთხვევაში მშობლების დაბალი ინფორმირებულობა. მათმა უმეტესობამ, განსაკუთრებით რეგიონებში, არ იციან რა უფლებები აქვთ და როგორ მოახდინონ მათი დაცვა. სკოლამდელ აღზრდასთან მიმართებით მთელი ქვეყნის მასშტაბით დგას ასევე გადატვირთული ჯგუფების პრობლემა, რაც გამორიცხავს ხარისხიანი ინკლუზიური განათლების მიწოდების შესაძლებლობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის.
138. ფიზიკური გარემო ძირითადად არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში<sup>cxv</sup>. შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების სკოლამდელი განათლების უფლებასთან მიმართებით, განსაკუთრებით პრობლემურია შემდეგი საკითხები: ბავშვებისათვის ადაპტირებული სასწავლო-შემეცნებითი გარემოს მიწოდება, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ბავშვთა საჭიროებების არარეგულარული და არასისტემური შეფასება, მეთოდისტის, ლოგოპედის, ფსიქოლოგისა და სპეციალური პედაგოგის შტატის არარსებობა. ხშირია

- საბავშვო ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობის აღსაზრდელების მიმართ ძალადობის შემთხვევები<sup>xcvi</sup>.
139. საქართველოს სკოლებში ინკლუზიური ზოგადი განათლება უმეტეს შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს თავისი ფუნქციის შესრულებას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უდიდესი ნაწილი ვერ იღებს ინდივიდუალურ მიდგომაზე დაფუძნებულ მომსახურებას. აღნიშნული გამოწვეული საკმარისი, შესაბამისი სპეციალისტების ნაკლებობით. დღეს მოქმედი ინკლუზიური განათლების პროგრამა ვერ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ისეთი უნარებით აღჭურვას, რომელიც მომავალში მათი დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას გაზრდის<sup>xcvii</sup>.
140. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ განათლების მისაწვდომობის კუთხით კვლავ გადაულახავ ბარიერად რჩება ზოგად საგანმანათლებლო სკოლების, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა<sup>xcviii</sup>. საჯარო სკოლების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა არ ეფუძნება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს და მხოლოდ მობილობის შეზღუდვის მქონე პირების საჭიროებებს ხედავს. თუმცა, აღნიშნული მიმართულებითაც არ არის გათვალისწინებული ყველა საჭირო სტანდარტი. საქართველოში მხოლოდ 9 საჯარო სკოლაში გვხვდება ფიზიკური გარემოს სრული ადაპტირება (0.39%). საქართველოში დღეისათვის ფუნქციონირებს 84 საზოგადოებრივი და პროფესიული კოლეჯი<sup>xcix</sup>. აქედან მხოლოდ 19-ის შემთხვევაშია (22.6%) განხორციელებული ფიზიკური გარემოს ადაპტირება და მიმდინარეობს 6 პროფესიული კოლეჯის (7.1%) ადაპტირება<sup>c</sup>.
141. საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა აჩვენებს, რომ დღემდე ზოგადი, სავალდებულო განათლების მიღმა არიან დარჩენილები შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები. კერძოდ, 2015 წლისათვის საქართველოში რეგისტრირებული იყო 9274 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, მაშინ როცა 2014-2015 წლების სასწავლო წლებში ზოგად საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 5196 ბავშვი. შესაბამისად სავალდებულო ზოგად განათლებას არ იღებს 4078 ბავშვი<sup>cci</sup>.
142. ინკლუზიური ზოგადი განათლების ერთ-ერთი კომპონენტი, ინტეგრირებული კლასი, ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის ხარისხიანი ინკლუზიური განათლების მიწოდებას. აღნიშნული გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით: სკოლებში არ არიან საკმარისი რაოდენობის სპეციალური მასწავლებლები; ინდივიდუალური დამხმარეები, რომლებიც გამოკვეთილი საჭიროების შემთხვევაში იმუშავენ ბავშვის ეფექტურ ჩართვაზე ზოგად საგაკვეთილო პროცესში; მშობლები იძულებულნი არიან საკუთარი სახსრებით დაიქირაონ ინდივიდუალური დამხმარეები. თუმცა, ეკონომიკური პრობლემების გამო, მშობლების უმეტესობა აღნიშნულს ვერ ახერხებს; სკოლაში არ არის განსაზღვრული ინტეგრირებულ კლასში ჩარიცხული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესრულებაზე და ზოგად საგაკვეთილო პროცესში ჩართვაზე პასუხისმგებელი პირი, რის გამოც არაეფექტურად ხორციელდება ინდივიდუალური განვითარების გეგმით დასახული მიზნები<sup>ccii</sup>; ზოგად საგანმანათლებლო პროცესის დროს გარდა მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებისა, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევისთან, არ ხდება მისი სხვა უნარების შეფასება და შესაბამისი, ინდივიდუალური დამხმარეების გამოყოფა, რაც ხშირად იწვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დისკრიმინაციასა და ღირსების შელახვას<sup>cciii</sup>. არ არის უზრუნველყოფილი ტერიტორიული და გეოგრაფიული მისაწვდომობა



- ინტეგრირებული კლასების შემთხვევაში. ყველაზე დიდ პრობლემად მშობლები ასახელებენ ქცევის მართვის სირთულეებს, რომელზეც ფაქტობრივად არ ხდება სკოლაში მუშაობა.
143. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების უფლებასთან მიმართებით განსაკუთრებული პრობლემები არსებობს მაღალმთიან რეგიონებში, რაც გამოიხატება, ინკლუზიური განათლების პროგრამების არასათანადო განხორციელებაში, სპეციალური განათლების პედაგოგთა არასაკმარის რაოდენობასა და სასწავლო-ინფრასტრუქტურული გარემოს არაადაპტირებულობაში<sup>civ</sup>.
144. საქართველოში ინკლუზიური ზოგადი განათლების მიწოდების პროცესში წამყვანი როლი აკისრია სპეციალურ მასწავლებელს, რომლის ვალდებულებაშიც შედის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლება დაწყებით საფეხურზე და საგანმანათლებლო პროცესში მისი ჩართვის ხელშეწყობა<sup>cv</sup>. ინკლუზიური განათლების მიწოდებასა და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში სპეციალური პედაგოგის განსაკუთრებული როლის მიუხედავად, დღემდე სპეციალური პედაგოგის სტატუსი არ არის გათანაბრებული მასწავლებლის სტატუსთან, რაც პირდაპირ აისახება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მიერ ხარისხიანი ინკლუზიური განათლების მიღების პროცესზე<sup>cvi</sup>. გარდა იმისა, რომ სრულიად დაურეგულირებელია სპეციალური პედაგოგის საქმიანობა, კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული მათი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება, მათ მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლი, მათი პროფესიული განვითარების სისტემის გამართვა და დაკავშირება პროფესიულ საქმიანობასთან.
145. საქართველოში დღეს მოქმედი სისტემით, მოსწავლისათვის სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლის სტატუსის მისანიჭებლად, საჭიროა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა<sup>cvi</sup>. იმ შემთხვევაში, თუ მშობელი უარს ამბობს ბავშვისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის განსაზღვრაზე, არ ხდება მოსწავლისათვის იმ ბენეფიტებით სარგებლობის შესაძლებლობის მინიჭება, რომელიც აუცილებელია მის მიერ სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი ორგანოების მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ შემთხვევაში მშობლის ინფორმირებას. აღნიშნულის გამო, შეიძლება ითქვას, რომ ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ინტერესების უგულვებელყოფა და განათლების უფლების მიღების უფლების დარღვევა.
146. საქართველოში კვლავ ხდება ზოგადი განათლების მიღება სპეციალური პროფილის, პანსიონური მომსახურების სკოლებში. დღეისათვის მოქმედებს 8 ასეთი დაწესებულება<sup>cvi</sup>, რომელიც ემსახურება მრავალმხრივი და ინტელექტის დარღვევის მქონე მოსწავლეებს, მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებს, ყრუ და სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეებსა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს. გარდა იმისა, რომ აღნიშნული მიდგომა სრულად გამორიცხავს ინკლუზიური განათლების პრინციპს, ტერიტორიული მისაწვდომობიდან გამომდინარე, სრულად უგულვებელყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდისა და განვითარების უფლებას.
147. პროფესიული ინკლუზიური განათლება, გარკვეული პოზიტიური ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. 2013-2015 წლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შეწყვეტილი სტატუსის მქონე

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა 15%-ს აჭარბებს. არ არსებობს ინკლუზიური პროფესიული განათლების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ არ მოიცავს კონკრეტულ ჩანაწერს ინკლუზიური განათლების შესახებ, არ ხდება ყველა მოთხოვნილი პროგრამის მიწოდება სტუდენტებისთვის, ცვლილებების მიუხედავად არ არის უზრუნველყოფილი ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა, არადაამაკმაყოფილებელია მასწავლებელთა კვალიფიკაცია, საგანმანათლებლო რესურსები<sup>ccix</sup>.

148. კიდევ უფრო რთული მდგომარეობა ქვეყანაში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობასთან მიმართებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერის მექანიზმი<sup>ccx</sup>, მათი უმრავლესობა არ არის ფიზიკურად ადაპტირებული, სასწავლებლები არ უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ადაპტაციას საგანმანათლებლო რესურსებისა და დამხმარე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის კუთხით. არ არსებობს მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ამ პროცესს გააკონტროლებს<sup>ccxi</sup>.

#### რეკომენდაციები:

- საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ განსაზღვრული რეგულაციების ამოქმედებამდე ყველა მუნიციპალიტეტში განისაზღვროს ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მიღებისათვის საჭირო პროცედურები, გამოიყოს შესაბამისი რესურსები ბიუჯეტიდან;
- დაინერგოს მუნიციპალურ დონეზე ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მონიტორინგის სისტემა;
- სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს ინდივიდუალური დამხმარის შტატი და გამოირიცხოს მშობლების დამხმარედ აყვანის პრაქტიკა;
- განხორციელდეს ძველი საბავშვო ბაღების ადაპტირების ეტაპობრივი გეგმა შესაბამისი ბიუჯეტის გამოყოფით ყველა მუნიციპალიტეტში;
- საბავშვო ბაღში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ყოლის შემთხვევაში განისაზღვროს დამხმარე სპეციალისტების შტატები;
- შეიქმნას კონკრეტული სამოქმედო გეგმა საჯარო სკოლების, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც დაეფუძნება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს;
- სკოლებში ინტეგრირებული კლასის არსებობის შემთხვევაში განისაზღვროს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმაზე მომუშავე კონკრეტული ადამიანი;
- მაქსიმალურად შემცირდეს ბავშვის ინტეგრირებულ კლასში ჩარიცხვის პრაქტიკა;
- სპეციალური მასწავლებელი გაუთანაბრდეს მასწავლებლის კატეგორიას და მოხდეს მისი ჩასმა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში;
- კანონმდებლობით განისაზღვროს ორგანო, რომლის ვალდებულებაც იქნება ზოგად საგანმანათლებლო სისტემაში მშობელთან მუშაობა, რომელიც უარს ამბობს ბავშვისთვის საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მინიჭებაზე;
- მოხდეს სპეციალური, პანსიონური პროფილის სკოლების გაუქმება;
- კანონმდებლობით დარეგულირდეს ინკლუზიური პროფესიული და უმაღლესი განათლების ძირითადი საკითხები, განისაზღვროს ეტაპობრივი გეგმა ინკლუზიური

განათლების დანერგვისათვის აღნიშნული მიმართულებით და შექმნას პროცესის მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყება.

## მუხლი 25. ჯანმრთელობა

149. ქვეყანაში მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.
150. ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა მხოლოდ ფრაგმენტულად მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრას. დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის პროგრამა<sup>ccxi</sup> ეხება მხოლოდ 1-დან 6 წლამდე მსუბუქი და საშუალო გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების მომსახურებაში ჩართვას და ეპილეფსიის დიაგნოსტიკასა და კვლევას. პროგრამა არ ითვალისწინებს სხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის ადრეულ გამოვლენასა და სკრინინგს და არ ავრცელებს მას 6 წლის ზემოთ მყოფ ბავშვებზე/პირებზე.
151. საქართველოში 2013 წლიდან მოქმედებს საყოველთაო დაზღვევის პროგრამა<sup>ccxiii</sup>. პროგრამის ანალიზიდან იკვეთება, რომ მასში გარდა სხვა შემთხვევების მსგავსი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებების დაფინანსებისა, არ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და დღეს საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სარგებლობენ სხვების თანასწორი ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტით, რაც მათ მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას წარმოადგენს<sup>ccxiv</sup>. პროგრამაში ცალკეა გამოყოფილი 18 წლამდე ბავშვებისა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის პირობები, თუმცა, მათშიც არ გვხვდება ჩანაწერი პრევენციულ, სარეაბილიტაციო, ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე<sup>ccv</sup>. ამასთან, განსხვავებული პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა არა აქვთ მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.
152. სამედიცინო დაწესებულებების ფიზიკური გარემოსა და არსებულ სერვისებზე მისაწვდომობა სახელმწიფოს მხრიდან აღქმულია როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რაც გამორიცხავს მათ მიერ ჯანდაცვის სერვისების სრულ და ეფექტურ სარგებლობას. ჯანმრთელობის სერვისების მისაწვდომობის მარეგულირებელი დოკუმენტები ყველა სამედიცინო სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციას ვალდებულებად განუსაზღვრავენ მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უსაფრთხო გადაადგილებისათვის საჭირო პირობების შექმნას<sup>ccxvi</sup>. ამბულატორიული მომსახურების ლიცენზირების პირობები პირდაპირ მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სამედიცინო სერვისების მისაწვდომობაში და უსაფრთხო გადაადგილებაში იგულისხმება მხოლოდ პანდუსი<sup>ccxvii</sup>.
153. საქართველოში მოქმედი პროტოკოლები და გაიდლაინების, რომლებიც გამიზნულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების/პირების საჭიროებებზე, ეფექტური კონტროლის გარეშე და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შესაბამისი სპეციალისტების ინფორმირებულობის ნაკლებობის გამო, პრაქტიკაში ეფექტურად ვერ ფუნქციონირებს<sup>ccxviii</sup>.

## ფსიქიკური ჯანმრთელობა

154. ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლების დაცვის კუთხით საქართველოში გადაუჭრელ პრობლემად რჩება ფსიქიკური ჯანმრთელობის არასაკმარისი დაფინანსება, რაც პირდაპირ აისახება ფსიქიატრიული მომსახურების ხარისხზე. კვლავ უპირატესობით სარგებლობს სტაციონარული მომსახურების დაფინანსება.

155. ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დაწყების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოს სახელმწიფოს მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო კონცეფციისა<sup>ccxix</sup> და ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტისა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის<sup>ccxx</sup> შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტებით მომავლის ხედვად განისაზღვრა-მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა თვითგამორკვევა და საზოგადოებაში ინტეგრაცია, რაც, გულისხმობს, ჰოსპიტალურ მკურნალობას ზოგადი პროფილის საავადმყოფოებში და თემზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარებას.
156. სტრატეგიული დოკუმენტებით განსაზღვრული პროგრესული მიდგომის მიუხედავად, 2017 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ<sup>ccxxi</sup> ფსიქიკური ჯანმრთელობის დაფინანსებასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გაართულა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მდგომარეობა და შექმნა პაციენტთა ინსტიტუციონალიზაციის გაზრდის რეალური საფრთხე. დაფინანსების სქემის ცვლილების შედეგად, შემცირდა მწვავე შემთხვევების სტაციონარული დაფინანსება, რამაც მრავალპროფილური კერძო საავადმყოფოების ფარგლებში მოქმედი ფსიქიატრიული განყოფილებების ფუნქციონირების შეწყვეტა გამოიწვია.
157. ფსიქიატრიული მომსახურება განიცდის კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობას, არ არის სათანადო, თერაპიული გარემო, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები ხშირად ხანგრძლივი დროით რჩებიან სტაციონარულ მკურნალობაზე, არ არსებობს თემზე დაფუძნებული სერვისები. ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლების დაცვის კუთხით, ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დაწესებულებებში როგორც ადმინისტრაციული პერსონალის, ისე ექიმების მხრიდან, მკურნალობა გაგებულია მხოლოდ ფარმაკოლოგიურ თერაპიად, რაც სრულად გამორიცხავს ბიოფსიქოსოციალურ მიდგომას. იქედან გამომდინარე, რომ ამბულატორიულ მომსახურებას აქვს ძალიან მცირე დაფინანსება, ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება მყარი რემისიის ფაზის შენარჩუნება. ამას ემატება ჰოსპიტალ-გარეშე სამსახურების სიმცირე, რის გამოც არსებობს მდგომარეობის ხელახალი გამწვავებისა და განმეორებითი ჰოსპიტალიზაციის მაღალი რისკი. ფარმაკოლოგიური პრობლემებიდან განსაკუთრებით მწვავედ დგას დაბალი ხარისხის მედიკამენტების შეძენა<sup>ccxxii</sup>.
158. სტაციონარში ხანგრძლივი დაყოვნება ხდება ბავშვების შემთხვევაშიც, რაც უკავშირდება სოციალური მუშაკების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებას. არის შემთხვევები, როდესაც არ მიმდინარეობს ბავშვთან მულტიდისციპლინური მუშაობა, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შედგენა, რომელიც მოიცავს როგორც ფარმაკოლოგიურ მუშაობას, ისე ფსიქოლოგიურ და ქცევით პრობლემებზე მუშაობას. არსებობს შემთხვევები, როდესაც ხდება არასრულწლოვანი პაციენტის მოთავსება მოზრდილთა სტაციონარში<sup>ccxxiii</sup>.
159. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებულ მძიმე მდგომარეობას განაპირობებს ის, რომ არ არსებობს სახელმწიფო ზედამხედველობისა და პაციენტთა უფლებების დაცვის მონიტორინგზე მიმართული პროცედურები.
160. საქართველოში ფსიქიატრიული პაციენტებისათვის განკუთვნილი საწოლების რაოდენობა ზოგადი პროფილის საავადმყოფოებში არის 2.31 10000 მოსახლეზე, ხოლო ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში 32.32, ხოლო სათემო დაწესებულებების შემთხვევაში 0, მაშინ როდესაც მსოფლიო მასშტაბით საშუალო მაჩვენებელი არის 17.5<sup>ccxxiv</sup>. ქვეყანაში მოქმედებს მხოლოდ 18 ამბულატორიული დაწესებულება, რომლის 48% დედაქალაქში

მდებარეობს და უმეტეს შემთხვევებში ფაქტობრივად არ გვხდება მოშორებულ რეგიონებში<sup>ccxxv</sup>.

#### რეკომენდაციები:

- ჯანმრთელობის დაცვის ყველა სახელმწიფო პროგრამებში განისაზღვროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებები;
- სახელმწიფო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალურ საჭიროებებს დაეფუძნოს, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება ასაკობრივი და გენდერული სპეციფიკები;
- უზრუნველყოფილი იყოს ყველა სამედიცინო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა, რომელიც არ დაეფუძნება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უსაფრთხო გადაადგილების მოთხოვნას და მიმართული იქნება უნივერსალური დიზაინის შექმნისკენ;
- დაინერგოს პროტოკოლებისა და გაიდლაინების შესრულების მონიტორინგის ეფექტური სისტემა;
- დაინერგოს სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლების სისტემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების სტანდარტებისა და კომუნიკაციის მიმართულებით;
- შექმნას გეგმა, რომელიც მიმართული იქნება ფსიქიკური ჯანმრთელობის ამბულატორიული სერვისების გეოგრაფიული მისაწვდომობის გაზრდისკენ;
- სახელმწიფომ განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება, რომლის მიზანიც იქნება ეფექტური და დროული დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელება ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში;
- შესაბამისი ბიუჯეტის მითითებით შემუშავდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო სერვისების შექმნისა და გეოგრაფიული მისაწვდომობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;
- ცვლილებები განხორციელდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის მედიკამენტების შესყიდვის პროცედურებში და უზრუნველყოფილი იყოს შედარებით მაღალი ხარისხის მედიკამენტების შეძენა;
- სახელმწიფომ განახორციელოს ყველა საჭირო ფინანსური და ინსტიტუციური ღონისძიება, რათა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებს სტაციონარული მკურნალობა მიეწოდოთ მრავალპროფილურ საავადმყოფოებში.

## მუხლი 26. აბილიტაცია და რეაბილიტაცია

161. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით და კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს შშმ პირთა სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ინდივიდუალური მიდგომითა და სამეცნიერო კვლევების დაფინანსებით/სპეციალისტების მომზადებით.<sup>ccxxvi</sup> კანონის ყველა ეს მუხლი რჩება დარღვეულად, ამოცანები - შეუსრულებლად ან ნაწილობრივ/მცირედ შესრულებულად. ყველა ეს სერვისი მიუწვდომელია, ან მხოლოდ ნაწილობრივ/მცირედ მისაწვდომი შშმ პირთა თემისთვის. არ არსებობს ერთიანი, თანმიმდევრული, ურთიერთშეთანხმებული პოლიტიკა და სისტემა შშმ პირთა სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციისათვის. არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა ამ მიმართულებებით სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისათვის და სპეციალისტების მომზადებისათვის, რაც დააკმაყოფილებდა თემის საჭიროებებს. არ არსებობს შშმ პირთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების შეფასების ინდივიდუალური სისტემა, შეფასების/სტატუსის მინიჭების არსებული მოდელი<sup>ccxxvii</sup> და სახელმწიფო პროგრამები ეყრდნობა მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზებს და არა ინდივიდუალურ საჭიროებებს. შესაბამისად, არ არსებობს შშმ პირებისათვის ინდივიდუალურად შედგენილი სარეაბილიტაციო (სხვადასხვა მიმართულებით) პროგრამა, რომელიც სავალდებულო იქნებოდა შესასრულებლად. სარეაბილიტაციო მიზნების მქონე ცალკეული ფრაგმენტული პროგრამები და სერვისები პრაქტიკულად მთლიანად მიუწვდომელია ზრდასრული შშმ პირებისათვის და ნაწილობრივ მისაწვდომი - არასრულწლოვანი (18 წლამდე) შშმ პირებისთვის. ამასთან, თითქმის უგულვებელყოფილია შშმ ქალებისა და გოგონების სპეციფიკური საჭიროებები.<sup>ccxxviii</sup>
162. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა,<sup>ccxxix</sup> ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014-2015)<sup>ccxxx</sup> სახელმწიფოს, შესრულების კონკრეტული ინდიკატორების გაწერით, მიზნად უსახავენ აბილიტაციის და რეაბილიტაციის არსებული სერვისებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდას და მათ განვითარებას. ამ გეგმების შესრულების ანგარიშში,<sup>ccxxxi</sup> თავადვე მთავრობა საუბრობს მხოლოდ საერთო მიზნის ნაწილობრივ შესრულებაზე, თუმცა, მხოლოდ ცალკეული ქვეჯგუფების წარმომადგენელი შშმ ბავშვებისათვის განკუთვნილი ქვეპროგრამებისა და სერვისების ხარჯზე. ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, ბავშვთა ადრეული განვითარებისა და დღის ცენტრების ქვეპროგრამები და მათზე წვდომის ნაწილობრივი ზრდა. ანგარიში არაფერს ამბობს და შესაბამისად, არ აღიარებს, მაგალითად, საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების ინდივიდუალური შეფასების სისტემის არარსებობას; სოციალური რეაბილიტაციის მიზნით, საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებში

ჩართულობის შეუძლებლობას ყველა გეოგრაფიულ არეალში; ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრებისა და მობილური ჯგუფებით მომსახურების არარსებობას; ზრდასრული შშმ პირებისათვის რეაბილიტაციის სერვისების არარსებობას და სრულ მიუწვდომლობას.

163. „ბავშვთარეაბილიტაცია/აბილიტაციის“ ქვეპროგრამით სარგებლობა არ შეუძლია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ყველა კატეგორიას. ქვეპროგრამა დაგეგმილია არა ისე, რომ ისარგებლოს ინდივიდუალური საჭიროებების მქონე ყველა შშმ ბავშვმა, არამედ იგი პასუხობს დიაგნოზთა გარკვეულ კატეგორიას. არსებული სერვისების, ფიზიკური და სოციალური რეაბილიტაციის საშუალების გარეშე ტოვებს პროგრამა შშმ ბავშვებს, რომელთაც, რეაბილიტაციის საჭიროებისდა მიუხედავად, არ აქვთ ეს დიაგნოზები, რაც პროგრამაში ჩართვის აუცილებელი პირობაა. სპეციალისტთა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ხდება უკვე პროგრამაში მოხვედრილი ბავშვების ინდივიდუალური რეაბილიტაცია/აბილიტაციის წლიური გეგმის შემუშავება. თუმცა, გეგმა, დამოუკიდებლად იმისგან, რა რეალური საჭიროება შეიძლება ჰქონდეს ბავშვს, აუცილებლად უნდა ჩაჯდეს კურსების რაოდენობის, ფინანსური ხარჯის დადგენილი (როგორც ხშირად საუბრობენ მშობლები, არასაკმარისი) ლიმიტის ფარგლებში.<sup>ccxxxii</sup> სერვისის მიმწოდებლების რაოდენობის ზრდის მიუხედავად, იმისათვის, რომ დავინახოთ, რამდენი ბავშვის უფლება რჩება დარღვეული, რომ მიიღოს სრულფასოვანი ფიზიკური და სოციალური რეაბილიტაცია, საკმარისია შევხედოთ რიცხვებს - ქვეყანაში სულ აღირიცხება 9696 შშმ ბავშვი. აქედან მხოლოდ 859 ბავშვი სარგებლობს რეაბილიტაცია-აბილიტაციის ქვეპროგრამით.<sup>ccxxxiii</sup>

164. „ბავშვთა ადრეული განვითარების“ ქვეპროგრამის<sup>ccxxxiv</sup> უალტერნატივოდ დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, იგი არ არის მისაწვდომი ყველასთვის და მისაწვდომია მხოლოდ ცალკეულ გეოგრაფიულ ერთეულებში, ლიმიტირებული ფინანსების ფარგლებში (წელიწადში 495 ლარი). მომსახურებას აწვდის სულ 15 ორგანიზაცია<sup>ccxxxv</sup> - მხოლოდ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში. სერვისის გარეშე რჩებიან უმრავლეს გეოგრაფიულ ერთეულში მცხოვრები ოჯახები. იმ ერთეულებში კი, სადაც სერვისის მიწოდება ხდება, ბავშვები და მათი ოჯახები დგებიან მომლოდინეთა რიგში, როდის გამოთავისუფლდება ადგილი და მიეცემათ სერვისის მიღების საშუალება. პროგრამა ემსახურება თვეში არაუმეტეს 480 ბავშვს საქართველოს მასშტაბით. მომლოდინეთა სიაში პრიორიტეტი ენიჭებათ რეინტეგრაციის პროგრამის მონაწილე ოჯახებს, მინდობით აღზრდაში მყოფ ბავშვებს, სოციალურად დაუცველ ოჯახებს ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულებით. შესაბამისად, ის ბავშვები, რომელთაც აქვთ სერვისის თუნდაც გადაუდებელი საჭიროება, მაგრამ არ ხვდებიან ამ კატეგორიებში, მაღალი ალბათობით რჩებიან სერვისის გარეშე.

165. „დღის ცენტრების“ ქვეპროგრამის<sup>ccxxxvi</sup> სამიზნე ჯგუფს შშმ პირთა თემიდან განეკუთვნებიან 6-18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვები (საქართველოს მასშტაბით ერთდროულად არაუმეტეს 618 ბავშვისა), შშმ პირები (საქართველოს მასშტაბით ერთდროულად არაუმეტეს 446 ადამიანისა), 6-დან 18 წლამდე ასაკის მძიმე და ღრმა



გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ პირის სტატუსის მქონე ბავშვები (საქართველოს მასშტაბით ერთდროულად არაუმეტეს 66 ბავშვისა). მომსახურება ხორციელდება საქართველოს 27 ადმინისტრაციულ ერთეულში 69 ერთეულიდან. ამ 27 ადმინისტრაციულ ერთეულში ჯამში 71 სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციაა.<sup>ccxxxvii</sup> განსაკუთრებით არასაკმარისია სერვისი 18 წლის ასაკს ზემოთ ამ საჭიროების მქონე პირების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, სერვისის გარეშე არის დარჩენილი მთელი რეგიონები და მუნიციპალიტეტები. სერვისის ლიმიტირებულ რაოდენობაზე მიწოდების გამო, სერვისის გარეშე რჩებიან ის ბავშვები და ზრდასრულებიც, რომელთაც სერვისის საჭიროება აქვთ, მაგრამ ამა თუ იმ სტატუსის არქონის გამო პრიორიტეტულ მთხოვნელთა რიგებში ვერ ხვდებიან. დღის ცენტრებს გაწეული მომსახურება უფინანსდებათ თითოეულ ადამიანზე 18 ლარის ოდენობით. გამოყოფილი თანხა სრულებით არ არის საკმარისი შესაბამისი მომსახურების გასაწევად და იმ მიზნების დასაკმაყოფილებლად რაც აქვს (უნდა ჰქონდეს) დღის ცენტრს გაწერილი სტანდარტით. შესაბამისად, ცენტრები, იმისათვის, რომ საშუალო და სრულფასოვანი სერვისი მიაწოდონ მომხმარებელს, დამოკიდებულები არიან დონორი ორგანიზაციების მსხვილ დაფინანსებაზე. ხოლო ისინი, ვინც ამ დაფინანსების წყაროებს მოკლებულნი არიან, დახურვის რისკის ქვეშ დაგანან და/ან ვერ აწვდიან სათანადოსთან მიახლოებულ სერვისსაც კი თავის ბენეფიციარებს.

166. ქალაქ თბილისის მერია 2015 წლის 1 ივლისიდან ახორციელებს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამას<sup>ccxxxviii</sup>. პროგრამის სამიზნე ჯგუფია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 2-დან 15 წლის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც ძირითად დიაგნოზად დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0-F84.9) ჯგუფი დაუდგინდათ. პროგრამის ბენეფიციარების რაოდენობა 1 თვის განმავლობაში საშუალოდ, შეადგენს 400-მდე ბავშვს. სერვისს 4 ორგანიზაცია აწვდის. პრობლემად რჩება აუტიზმის სპექტრის დარღვევების დიაგნოსტიკა და ოჯახების არაინფორმირებულობა/პასიურობა პრობლემის დროული იდენტიფიცირების თვალსაზრისით. არ არსებობს ზუსტი მონაცემი, თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებიდან რამდენს აქვს მსგავსი დარღვევა. შესაბამისად არ შეგვიძლია შედარება, რამდენ ბავშვს აქვს საჭიროება და მათგან რამდენი იღებს სერვისს. თუმცა, თავად სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების ინფორმაციით და მათი გამოცდილებით, მოთხოვნა გაცილებით მაღალია იმ რაოდენობაზე, რა რაოდენობის ბავშვსაც ემსახურებიან. ასეთი სერვისების არსებობა მხოლოდ თბილისში და ისიც მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტში ოფიციალურად რეგისტრირებული ბავშვებისათვის, დისკრიმინირებულ მდგომარეობაში აყენებს ბავშვებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ვისაც აქვს საჭიროება და მათ ოჯახებს.

**რეკომენდაციები:**

- სახელმწიფომ უნდა შექმნას და ამოქმედოს შესაძლებლობებისა და საჭიროებების ინდივიდუალური შეფასების სისტემა, რომელსაც შესასრულებლად სავალდებულო რეაბილიტაცია-აბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამადაეყრდნობა;
- ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების შეფასებას დაეყრდნოს და მათი გათვალისწინებით დაიგეგმოს, შემუშავდეს სახელმწიფო სარეაბილიტაციო პროგრამები და სერვისები;
- კოორდინირებულად დაიგეგმოს და აღსრულდეს, ფიზიკური, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის კომპონენტები;
- შემუშავდეს და დაიგეგმოს ზრდასრულთა რეაბილიტაციის პროგრამები და სათანადო ყურადღება დაეთმოს შშმ ქალთა და გოგონათა სპეციფიკურ საჭიროებებს.
- ხელი შეეწყოს რეაბილიტაცია-აბილიტაციის მიმართულებით კვლევით საქმიანობას და საჭირო პროფესიონალების მომზადება/გადამზადებას;
- ხელი შეეწყოს სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების განვითარებასა და გაფართოებას, მათ წინაშე არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო დაფინანსებას;
- რეაბილიტაციისა და აბილიტაციის სერვისები დროულად მისაწვდომი გახდეს ყველა საჭიროების მქონე ადამიანისთვის, მიუხედავად დიაგნოზისა, სოციალური სტატუსისა და საცხოვრებელ ადგილთან ახლოს;
- შეიქმნას და ხელი შეეწყოს მრავალპროფილური, შერეული ტიპის სარეაბილიტაციო ცენტრების ამოქმედებას რეგიონულ ცენტრებში;
- წარმოებდეს მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის, პროგრამებისა და სერვისების საჭიროებებთან შესაბამისობის, სერვისების ხარისხიანად მიწოდების პერმანენტული შეფასება და მონიტორინგი.

## მუხლი 27. შრომა და დასაქმება

167. სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობის პრიორიტეტიზაციის მიუხედავად, სახელმწიფომ ვერ შეძლო პრობლემის გადაჭრისათვის ერთიანი ეფექტიანი პოლიტიკის შექმნა და გატარება. შედეგად, არსებული პოლიტიკა ამ მიმართულებით არ შეიძლება შეფასდეს როგორც ქმედითი და ეფექტიანი ღონისძიებების ერთობლიობა. არსებული საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფო პროგრამები ვერ პასუხობს კონვენციის მოთხოვნებს და ძირითად პრინციპებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების იმგვარი გაძლიერებისათვის, რათა მათ შეძლონ დასაქმება, მათ შორის, ღია და ინკლუზიურ ბაზარზე.
168. არსებული საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის, ასევე სამუშაო ადგილებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერის მიზანს.<sup>ccxxxix</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ კანონი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების საკითხებს არეგულირებს, არ არის ქმედითი, რამდენადაც არ მოიცავს მისი აღსრულებისათვის აუცილებელ საკანონმდებლო გარანტიებს და მექანიზმებს.<sup>ccxi</sup>
169. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დამსაქმებლებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობ და წამახალისებელ საშეღავათო მექანიზმებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით არ არსებობს სპეციალური საკანონმდებლო მექანიზმები, კვოტირების და სხვა წამახალისებელი სისტემების სახით, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.<sup>ccxli</sup>
170. მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ მინიმალურ საგადასახადო საშეღავათო რეგულაციებს ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხოლოდ კონკრეტული კატეგორიების მიმართ,<sup>ccxlii</sup> რომელიც არ შეიძლება შეფასდეს საკმარის ღონისძიებად მისი შეზღუდული შინაარსისა და ვიწრო სამიზნე ჯგუფის გათვალისწინებით. ამასთან, მინიმალურია აღნიშნული შეღავათით მოსარგებლეთა რაოდენობა.<sup>ccxliii</sup>
171. სახელმწიფოს მხრიდან სახელფასო სუბსიდირების პროგრამა ეხება მხოლოდ კერძო სექტორს, მოკლევადიანია და ვერ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გრძელვადიან დასაქმებას.<sup>ccxliv</sup>
172. გარდა, პოზიტიური მექანიზმების არარსებობისა, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს უფლებაშემზღუდავ რეგულაციას საჯარო სამსახურში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ზოგიერთი კატეგორიის მიმართ, რომლებსაც უწყდებათ სოციალური პაკეტის მიღება, საჯარო სამსახურში დასაქმების შემთხვევაში.<sup>ccxlv</sup> ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა - კერძოდ მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის საჯარო სამსახურში დასაქმებისათვის კანონმდებლობა გაუმართლებელ ბარიერებს ითვალისწინებს,<sup>ccxlvii</sup> იგი ასევე მოიცავს მხარდაჭერის მიმღების სტატუსის საფუძველზე პირის გათავისუფლების უფლებადამდგენ რეგულაციას, რაც წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის მიზნებთან და პრინციპებთან.<sup>ccxlvii</sup>
173. კონვენციის იმპლემენტაციის პერიოდში არსებითად მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის

პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით.<sup>cxxlviii</sup> ქვეყანაში 2016 წლის ივლისიდან მოქმედებს „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამა“<sup>cxxlix</sup> და „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“.<sup>ccl</sup> აღნიშნული პროგრამები მინიმალურად ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტს, ლიმიტირებულია და არ ეფუძნება საჭიროებების კვლევით მონაცემებს. კერძოდ: დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს არაუმეტეს 40 ბენეფიციარის დასაქმებასა და დასაქმებულის ხელფასის 50%-ის ოდენობით სახელმწიფოს თანამონაწილეობით სუბსიდირებას. ამასთან, პროგრამის მოქმედების ვადა 4-თვიანი ლიმიტით არის დასაზღვრული.<sup>ccli</sup>

174. „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ცალკეული სტატისტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დაბალი ხარისხით ჩართულობას აჩვენებს.<sup>cclii</sup> პროგრამის განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის ანგარიშის თანახმად, ტერიტორიული ცენტრების მიერ ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწია 15 309 სამუშაოს მაძიებელს. ჯგუფურ კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო 1 939 სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იყო 117 პირი. პროგრამა ორი წელია ფუნქციონირებს, თუმცა 2015 წლის მანძილზე პროგრამაში მხოლოდ 31 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იყო ჩართული,<sup>ccliii</sup> რაც არ შეიძლება შეფასდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის გაზრდის ეფექტურ ღონისძიებად.
175. სახელმწიფოს არ გააჩნია ზუსტი სტატისტიკური მონაცემი კერძო სექტორში დასაქმებული და თვითდასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ოდენობის შესახებ.<sup>ccliv</sup> დაბალია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მაჩვენებელი საჯარო სექტორში, კერძოდ, საჯარო რეკტორში დასაქმებული 59 103 პირიდან მხოლოდ 112 არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.<sup>cclv</sup>
176. სოციალური მომსახურების სააგენტომ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით, 2015 წელს განახორციელა პროექტი, რომელიც თბილისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონსულტირებას გულისხმობდა. თავისთავად მცირე იყო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის/ჩართულობის სტატისტიკა.<sup>cclvi</sup> ასევე დაბალია თავად ამ მექანიზმის გამოყენებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმებულთა რაოდენობა, კერძოდ, სტატისტიკური ინფორმაციით, აღნიშნული პროგრამით 2014 წელს დასაქმდა 12 (თორმეტი), 2015 წელს 9 (ცხრა), 2016 წელს 11 (თერთმეტი) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.<sup>cclvii</sup>
177. სახელმწიფოს მხრიდან დაბალია დასაქმების მაძიებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხილვადობის რაოდენობრივი მაჩვენებელი, შესაბამისად, სახელმწიფოს არ აქვს სრული სურათი დასაქმების მსურველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შესახებ, მათ შორის მათი შემდგომი განათლებისა თუ პროფესიული გადამზადების მიზნით დასაგეგმი ღონისძიებების მასშტაბის განსაზღვრისათვის.<sup>cclviii</sup>

## რეკომენდაციები:

- სახელმწიფომ შრომისა და დასაქმების მარეგულირებელ კანონმდებლობაში ასახოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გარანტირების ვალდებულება, მათი შემდგომი დასაქმებისა და დასაქმების ადგილებზე სამუშაო გარემოს ადაპტირების კუთხით;
- კანონმდებლობამ გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების წამახალისებელი პოზიტიური მექანიზმები, მათ შორის ადეკვატური და გრძელვადიანი სახელფასო სუბსიდირება, სამუშაო გარემოს ადაპტირების პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა, დამსაქმებელთა საგადასახადო შეღავათებით წახალისება და სხვა რელევანტური ღონისძიებები;
- კანონმდებლობამ ასევე გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სავალდებულო დასაქმების მექანიზმი ე.წ. კვოტირების სისტემა, უპირველესად საჯარო სექტორში.
- საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობიდან მოიხსნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ბლანკეტური და სტატუსზე დაფუძნებული შეზღუდვა; ასევე, საჯარო სამსახურში დასაქმებისას, სოციალური პაკეტის შეზღუდვის თაობაზე დისკრიმინაციული რეგულირება;
- შრომისა და დასაქმების ხელშემწყობი მოქმედი სახელმწიფო პროგრამები დაეფუძნოს კვლევით მონაცემებს და არსებული საჭიროებების ანალიზს. გაიზარდოს მათი მოქმედების მასშტაბი და უზრუნველყოფილი იყოს მიღწეული შედეგების მდგრადობა;
- შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობი გრძელვადიანი პროგრამები, რომელიც გაითვალისწინებს ბენეფიციარების მომზადებისა და პერიოდული გადამზადების, ასევე სამუშაო პროცესში მხარდაჭერის კომპონენტებს.

## მუხლი 28. ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი და სოციალური დაცვა

178. ქვეყანაში არსებული სოციალური დაცვის პოლიტიკა ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეალურ საჭიროებებს, რამდენადაც იგი არ ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს და ნაცვლად ამისა, დაფუძნებულია შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხზე, რომელიც უმთავრეს საყრდენ ინსტრუმენტად პირის სამედიცინო დიაგნოზს იყენებს. ამასთან, სიდატაკის წინააღმდეგ ბრძოლის არსებულ პროგრამებში ვერ ხდება მათი საჭიროებების ადეკვატური გათვალისწინება. სახელმწიფოს არ გააჩნია გრძელვადიანი მხარდაჭერითი პროგრამები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების, მათი გადარიბებისა და სოციალური იზოლაციის წინააღმდეგ.
179. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის პროცესში ქვეყანაში არსებითად არ შეცვლილა სოციალური პოლიტიკა. მეთოდოლოგიური ცვლილებები, რომელიც განხორციელდა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირების ერთიან სახელმწიფო პროგრამაში, საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს და არსებითად მათი ინტერესების დაზიანების პრაქტიკას აჩვენებს.<sup>cclix</sup>
180. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვისაკენ მიმართული კანონმდებლობა დეკლარაციული და მოძველებულია, იმის მიუხედავად, რომ იგი 1997 წლიდან მოქმედებს, მისი სრულყოფილი პრაქტიკული იმპლემენტაცია ამ დრომდე არ მომხდარა.<sup>cclx</sup> ამასთან, კანონმდებლობა არ ასახავს სოციალური დაცვის კონვენციისეული სტანდარტის შესაბამის კომპლექსურ ხედვას, რამდენადაც სოციალური დაცვის საშუალებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსზე არის დაფუძნებული<sup>cclxi</sup> და რეალურად ვერ პასუხობს მათი ინდივიდუალური სოციალური დაცვის მიზანს.
181. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის დღეს მოქმედი პოლიტიკა გულისხმობს სპეციალურ რეგულირებას ფულადი ბენეფიტის - სოციალური პაკეტის სახით. ასევე, ქვეყანაში მოქმედებს სახელმწიფო პროგრამა, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებისათვის, რომლის მოქმედება ასევე ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე.
182. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არსებული - სოციალური პაკეტის,<sup>cclxii</sup> მიღება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსს უკავშირდება და არ არის ინდივიდუალურ შეფასებაზე და საჭიროებებზე დაფუძნებული. ფულადი გასაცემლის ოდენობა წინასწარაა განსაზღვრული პირის ინდივიდუალური საჭიროების მიუხედავად, რაც მის ადეკვატურობას თავისთავად აყენებს ეჭვის ქვეშ.<sup>cclxiii</sup> არსებულ მოდელში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის სტატუსის გადამოწმება გარკვეული პერიოდულობით ხდება. პროცესს პრაქტიკაში ხშირად თან სდევს სოციალური პაკეტის წყვეტა, რაც მძიმედ აისახება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ მდგომარეობაზე.<sup>cclxiv</sup>
183. ამასთან, დისკრიმინაციულადაა განსაზღვრული სოციალური პაკეტის მიმღებთა წრე, რამდენადაც, იგი არ მოიცავს ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის კატეგორიის მქონე ყველა პირს.<sup>cclxv</sup> ასევე დისკრიმინაციულია სოციალური პაკეტის შეწყვეტის წესი და იგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჯარო სამსახურში

დასაქმების ფაქტს უკავშირდება<sup>cclxvi</sup> და წყდება პირის საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდის მანძილზე,<sup>cclxvii</sup> განსხვავებით კერძო სექტორისაგან, სადაც დასაქმების შემთხვევაში პირებს უნარჩუნდებათ სოციალური პაკეტი. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ საკითხზე სახალხო დამცველმა დასაქმების სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა.<sup>cclxviii</sup> ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა კრძალავს ასაკისა და სტატუსის საფუძველზე ფულადი ბენეფიტის ერთდროულად მიღების შესაძლებლობას, მიუხედავად საჭიროების არსებობისა.<sup>cclxix</sup>

184. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის უფლების რეალიზების მიზნით არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და შესაბამისი სპეციალური პროგრამები, შესაბამისად, არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიღარიბის დამძლველი პოზიტიური მექანიზმები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ისევე როგორც სხვა პირები, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას ხვდებიან სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირების ერთიან სახელმწიფო პროგრამაში.<sup>cclxxx</sup> თუმცა, თავად პროგრამა არ არის ადეკვატური ღარიბი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების მიმართ, რამდენადაც მის ფარგლებში განსაზღვრული ფინანსური ბენეფიტები მხოლოდ ლატაკ და უკიდურესად ლატაკ ოჯახებს ფარავს.<sup>cclxxxi</sup> თავად მეთოდოლოგია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების ადეკვატურად გათვალისწინების კუთხით, წლების მანძილზე წარმოადგენდა სახალხო დამცველის კრიტიკის საგანს.<sup>cclxxii</sup>

185. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველი თავის ყოველწლიურ ანგარიშში პრობლემად სვამს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულყოფილ მონაწილეობას სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მიზნობრივი დახმარების პროგრამაში.<sup>cclxxiii</sup> მიუხედავად მეთოდოლოგიის ცვლილებისა,<sup>cclxxiv</sup> სახალხო დამცველი კვალავ უთითებს შეფასების დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საჭიროებების გათვალისწინების პრობლემის არსებობაზე.<sup>cclxxv</sup> მათ შორის, მისი მხრიდან შესწავლილი საქმეების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთს ზოგად ტენდენციას, რომლის მიხედვითაც, ის ოჯახები, რომელთა წევრები არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, მეთოდოლოგიის ცვლილებების შემდგომ შემოწმების საფუძველზე კარგავდნენ საარსებო შემწეობას და მხოლოდ ნაწილი მათგანისათვის ხდება შემწეობის აღდგენა.<sup>cclxxvi</sup> საკითხთან დაკავშირებით პროგრამის მეთოდოლოგიაში ცვლილების შეტანის შესახებ რეკომენდაცია მოამზადა სახალხო დამცველმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ.<sup>cclxxvii</sup>

186. თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობრივი ზრდის მიუხედავად სიღარიბის წინააღმდეგ მიმართულ პროგრამაში მათი ჩართულობის კლებადი ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ 2012-2016 წლიდან ყოველწლიურად იმატებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მქონე ადამიანების რიცხვი,<sup>cclxxviii</sup> პარალელურად მცირდება ქვეყანაში სიღატაკის წინააღმდეგ მიმართულ ერთადერთ სახელმწიფო პროგრამაში იმ ოჯახების რაოდენობა, რომელთა ერთი წევრი მაინც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.<sup>cclxxix</sup> ასევე, მცირდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის გაცემის მაჩვენებელი. კერძოდ: სახელმწიფო უწყებებიდან მოწოდებული სტატისტიკა აჩვენებს, რომ ახალი მეთოდოლოგიით

შემოწმებული 52,008 ოჯახიდან, რომელთა ერთი წევრი მაინც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მხოლოდ 26,490 ოჯახი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირით არის საარსებო შემწეობის მიმღები. მათ შორის ამ სტატისტიკაში საარსებო შემწეობას იღებდა და ახალი მეთოდოლოგიის ფარგლებში შემწეობა შეუწყდა 4,852 ოჯახს, ხოლო არ დაენიშნა 20,666 ოჯახს.<sup>cclxxx</sup>

187. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შეტანა და სათანადო ასახვა თავიანთ დღის წესრიგში. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს არ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერითი და მათ გაძლიერებაზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის ხედვა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის ღონისძიებები ძირითადად მხოლოდ ერთჯერადი ფულადი ბენეფიტის გაცემით შემოიფარგლება, რომელიც მუნიციპალიტეტების ბიუჯეტით არის გათვალისწინებული.<sup>cclxxxi</sup>

188. საცხოვრისის სერვისების და საცხოვრისის პოლიტიკის არარსებობა, წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის უფლების რეალიზების კუთხით. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მიემართებათ იმ პირებს, რომლებიც იმყოფებოდნენ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ და სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ ტოვებენ დაწესებულებას.<sup>cclxxxii</sup> ამასთან, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სამკურნალო დაწესებულებებში ბენეფიციართა განუსაზღვრელი ვადით ცხოვრების პრაქტიკამკურნალობის ვადის ამოწურვის შემდგომ. კვლევები ცხადყოფს, რომ მკურნალობის საჭიროების არარსებობის მიუხედავად, ალტერნატიული სათემო სერვისების არარსებობის გამო ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა დიდი ნაწილი მუდმივად ცხოვრობს, რაც მათი უფლებების უხეშ შელახვას წარმოადგენს.<sup>cclxxxiii</sup> ამას გარდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის პრობლემურია გადაუდებელი თავშესაფრის სერვისით სარგებლობა. არსებული რეგულაციით, კერძოდ დედაქალაქის ერთადერთი თავშესაფრის შინაგანაწესით მომსახურების მიღების უფლება არ აქვთ გადაუდებელი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ თვითმოვლის უნარი.<sup>cclxxxiv</sup>

#### რეკომენდაციები:

- სახელმწიფომ გადახედოს სოციალური პაკეტის გაცემის სამედიცინო და ბლანკეტურ მიდგომას და იგი დაუქვემდებაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და სოციალური მოდელის პრინციპებს;
- სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის (პროგრამების) შემუშავება დაეფუძნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებთან კვლევით მონაცემებს;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის მიზნით შემუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები და პროგრამები, რომელიც მიზნად დაისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ იზოლაციასთან ბრძოლას;



- არსებული სილატაკესთან ბრძოლის პროგრამაში ადეკვატურად მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება.
- შემუშავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიღარიბის პრევენციის კომპლექსური პოლიტიკა და დაინერგოს სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამები, რომელიც დაეფუძნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს;

## მუხლი 29. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა

189. საქართველოს კონსტიტუციის<sup>cclxxxv</sup> 28-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ამასთან, უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენა. 29-ე მუხლი კი უზრუნველყოფს პასიურ საარჩევნო ხმის უფლებას, რომლის საფუძველზეც მოქალაქეებს აქვთ უფლება იყვნენ არჩეულნი. ამავე დროს, საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“<sup>cclxxxvi</sup> მე-3 მუხლით აღიარებულია საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორი საარჩევნო უფლება, მათ შორის შშმ პირთა არჩევნებში/რეფერენდუმში/პლებისციტში მონაწილეობის საყოველთაო უფლება. ამის მიუხედავად, რეალურ ცხოვრებაში, როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო ხმის რეალიზება შშმ პირთათვის დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული, უპირატესად გარემოს ხელმიუწვდომლობის გამო, რაც მოქალაქეთა ამ დიდ ნაწილს არასრულფასოვანი მონაწილეობის არჩევანს უტოვებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.<sup>cclxxxvii</sup>
190. წინასაარჩევნო პროცესების შესახებ ინფორმაციის მისაწვდომობა პრობლემად რჩება სენსორული დარღვევების მქონე ამომრჩეველთათვის. ინფორმაციას ნაწილობრივ ახლავს სურდოთარგმანი, ხოლო ელექტრონული სახით ინფორმაციის მიღება ნაწილობრივ არის შესაძლებელი უსინათლო და მცირემხედველი ამომრჩევლისთვის.
191. კანონმდებლობით, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს სხვა პირი.<sup>cclxxxviii</sup> თუმცა, პირის მიერ არჩევანის დაფიქსირების ვერშეძლება დგინდება არა პირის შესაძლებლობების შეფასებით, არამედ იმ შემთხვევებშიც, როდესაც საარჩევნო გარემო ნაწილობრივ ან ბოლომდე არ არის მისაწვდომი შშმ პირისათვის და პირს უწევს კონფიდენციალობისა და არჩევანის დამოუკიდებლად გაკეთების სურვილის საწინააღმდეგოდ, სხვისი თანდასწრებით ან დახმარებით აღასრულოს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.
192. კანონმდებლობით, უზრუნველყოფილია გადასატანი საარჩევნო ყუთით სარგებლობა, რაც გულისხმობს, რომ ამომრჩეველს, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა, ხმის მისაცემად საშუალება აქვს მოითხოვოს გადასატანი საარჩევნო ყუთი.<sup>cclxxxix</sup> შშმ პირი, ხშირად, არა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არამედ გარემოში მისი ინტერესების გაუთვალისწინებლობის გამო აკეთებს იძლებით არჩევანს ხმა მისცეს სახლში გადასატანი ყუთის საშუალებით.
193. საარჩევნო უბნების საჭიროებისამებრ სრულად ადაპტირება, რაც თანაბრად მისაწვდომი იქნებოდა ყველა შშმ პირისათვის და არ იქნებოდა დაკავშირებული უბნებზე ცალკეული პასუხისმგებელი პირების კომპეტენციებთან და უნარ-ჩვევებთან არჩევნების მიმდინარეობის პროცესში შშმ პირთა ინტერესების სრულად გათვალისწინებისათვის, ჯერ კიდევ პრობლემად რჩება.
194. 2012 წლიდან შესაძლებელი გახდა მობილური ჯგუფებისა და ადაპტირებული ტრანსპორტის საშუალებით მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანის გადაადგილება

საარჩევნო უზნაშედეგად, რაც, ერთი მხრივ, ზრდის მათ არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ ამ პრინციპის დანერგვა, პრობლემის გადაჭრად მიჩნევა, მეორე მხრივ, ართმევს თავისუფლებას ამომრჩეველს მისთვის სასურველ და მოსახერხებელ დროს მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა და არა სპეციალურად, სპეციალურ დროს გამოყოფილი საშუალებით სხვა შუამდგომლობით ერთად, რაც ახდენს თემის სეგრეგაციას.

195. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჩართულობისათვის, ამოცანებად დასახულია: მათი ჩართულობა თემთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებისა და სამუშაო პროცესში; შუამდგომლობით პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნა/ამოქმედება რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე, თემის წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობით. ამოცანები გაწერილია 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში.<sup>ccxc</sup> მიუხედავად ამისა, ჩანს, რომ საბჭოები შექმნილია მუნიციპალიტეტების მხოლოდ ნაწილში (22-ში 75-დან და არაერთგვაროვანი წესით), საბჭოების არსებობა და ფუნქციონირება რიგ შემთხვევებში ვერ დასტურდება დოკუმენტაციით. რიგ შემთხვევებში, საბჭოს სხდომა შექმნიდან ერთი წლის თავზეც არ ჩატარებულა. დანარჩენგან სხდომების სიხშირე მერყეობს ერთიდან ოთხ თვემდე. არ ჩანს და არც ფორმალურად დასტურდება კანონმდებლობითა და სამოქმედო გეგმით გაწერილი ამოცანების შესრულება. ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება თემის წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა და ჩართულობა (საერთოდ ან სათანადო მასშტაბით) საბჭოების შემადგენლობასა და მუშაობაში. კითხვის ნიშნის ქვეშ დგება რიგ შემთხვევებში ჩართული ორგანიზაციების ლეგიტიმაცია. თვითმმართველობებს არ აქვთ ვალდებულება საქმიანობის ანგარიში წარუდგინონ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რომელიც მთავარი პასუხისმგებელი უწყებაა აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად. შესაბამისად, სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას, როგორ სრულდება სამოქმედო გეგმით მასზე დაკისრებული ამოცანები. აღნიშნულ პრობლემებს ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული მონიტორინგი და 2015 წლის თემატური ანგარიში შუამდგომლობით პირთა უფლებების შესახებ,<sup>ccxcii</sup> ისევე როგორც საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში.<sup>ccxciii</sup>

196. შუამდგომლობით პირებს კონსტიტუციით აქვთ მინიჭებული უფლება, უშუალოდ და თანაბრად ჩართულნი იყვნენ თვითმმართველობების საქმიანობაში. თუმცა, შუამდგომლობით პირებისათვის უპირატესად გარემოს მიუწვდომლობის (მაგალითად, საკრებულოს, გამგეობებისა და მერიის შენობების, სხდომათა დარბაზების არაადაპტირებულობა), ასევე, სხდომებისა და მიმდინარე სამუშაო პროცესის შესახებ ინფორმაციის მიუწვდომლობის გამო (რაც გამოიხატება ინფორმაციის დაგვიანებით, ან საერთოდ არგავრცელებით, არგავრცელებით ყველა შუამდგომლობით პირისათვის მისაწვდომი საშუალებებით), შუამდგომლობით პირები მეტწილად მოწყვეტილნი არიან შესაძლებლობას, სხვა მოქალაქეებთან თანაბარი შესაძლებლობით ისარგებლონ და სხვადასხვა, მათთვის სასურველი და საჭირო ფორმით ჩაერთონ თვითმმართველობების საქმიანობაში.

197. სახელმწიფოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ პროცესებში ჩართვის ფრაგმენტული ეპიზოდები, როგორცაა ცალკეული პირების მიწვევა სხვადასხვა საბჭოების სხდომებსა თუ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და სტრუქტურებში, ფასდება, როგორც ტოკენიზმი<sup>cxciiii</sup>, რამდენადაც ცალკეული პრივილეგირებული პირების ფორმალური ჩართვა ხდება პროცესებში, როდესაც მათი აზრის მოსმენა, გაზიარება, გათვალისწინება არ ხდება და ადგილი აქვს ამ გზით თემის ჩართულობის შესახებ ილუზიის შექმნას.

198. შშმ პირთა პოლიტიკურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩასართავად გამიზნული პოლიტიკა არ არის გენდერულად მგრძობიარე და არ მოიცავს შშმ ქალთა ჩართულობის ამაღლების ამოცანას. ცხადად ჩანს შშმ ქალთათვის პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის მნიშვნელოვნად დაბალი შესაძლებლობა შშმ მამაკაცებთან შედარებით.

#### რეკომენდაციები:

- საქართველოს მთავრობის მიერ შეიქმნას ერთიანი ხედვა/სახელმძღვანელო პრინციპები შშმ პირთა არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით;
- ინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდებში, არჩევნების პროცესში და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესახებ თანაბრად მისაწვდომი გახდეს ყველა ტიპის შეზღუდვის მქონე მოქალაქისთვის;
- დაიხვეწოს არჩევნებში მონაწილეობის სისტემა და მისაწვდომი გახდეს ყველა ტიპის შეზღუდვის მქონე მოქალაქისთვის;
- უნივერსალურობის პრინციპით მისაწვდომი გახდეს ყველა უბანი მოქალაქეებისთვის და უბანზე მისასვლელი საშუალებები შშმ პირთა სეგრეგაციისგარეშე;
- სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს შშმ პირთა ჩართულობისა და მონაწილეობისათვის ყველა საშუალება, როგორც შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის, აღსრულებისა და მონიტორინგის პროცესში, ისე, ზოგადად თვითმმართველობების საქმიანობაში ჩართულობის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციისთვის;
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შშმ ქალთა პოლიტიკური უფლებების რეალიზაციისათვის არსებულ ბარიერებსა და მათ სათანადოდ წარმოჩენას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი ვებ-გვერდებისა და საარჩევნო პროგრამების მისაწვდომობა ყველა შშმ პირისთვის.

### მუხლი 30. მონაწილეობა კულტურულ, სპორტულ, გასართობ და რეკრეაციულ ღონისძიებებში

199. კულტურისა და სპორტის სფეროში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართვის მიზნით მართალია ცალკეული აქტივობები ხორციელდება, თუმცა, კონვენციის მიერ მოცემული არაერთი საკითხის სრულად გაუთვალისწინებლობა არ იძლევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების სათანადო რეალიზაციის შესაძლებლობას.<sup>ccxciv</sup>
200. მიუხედავად 2014 წელს დამტკიცებული “სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტისა,<sup>ccxcv</sup> განხორციელებულ ღონისძიებათა ერთჯერადი ხასიათი და მცირე მასშტაბი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოს სისტემური მიდგომა ამ მიმართულებით.<sup>ccxcvi</sup>
201. აღსანიშნავია ისიც, რომ არც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და არც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო შშმ პირებისთვის სრულად ადაპტირებული არ არის.<sup>ccxcvii</sup> საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 86 უწყების შენობებიდან შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად მთლიანად ან ნაწილობრივ ადაპტირებულია მხოლოდ 21 შენობა (პანდუსებით - 13; პანდუსებითა და სველი წერტილებით - 8),<sup>ccxcviii</sup> რაც ყველა არსებული უწყების მესამედს წარმოადგენს. შესაბამისად, მისაწვდომობის საკითხი აქაც პრობლემურად იკვეთება, რაც ასევე ამცირებს შშმ პირთა უფლებების სათანადო რეალიზაციის შესაძლებლობას.

#### რეკომენდაციები:

- სპორტული და კულტურული გადაწყვეტილებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი დაეფუძნოს სისტემურ, შედეგზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც გაითვალისწინებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინდივიდუალურ ინტერესებსა და შესაძლებლობებს;
- მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებისა და მონაწილეობის ხელშეწყობა, მათ შორის რეგიონებში, მათთვის მისაღები ფორმატით;
- მოხდეს კულტურული, სპორტული ცენტრების სათანადო ფორმით ადაპტირება, რაც შესაძლებელს გახდის მათით თავისუფალ სარგებლობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს კულტურული და სპორტული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მისაღები ფორმატით მიწოდება.

### მუხლი 31. სტატისტიკა და მონაცემთა შეგროვება

202. შშმ პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის<sup>cxix</sup> თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, გააუმჯობესოს შშმ პირებთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია და სრულყოს შშმ პირთა მონაცემთა ბაზა. აღნიშნულის მიუხედავად, მუდმივმოქმედ პრობლემად რჩება იმის დადგენაც კი, რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ჰყავს ქვეყანას და ამოცანა შეუსრულებელი რჩება ერთი სამოქმედო გეგმიდან მომდევნო სამოქმედო გეგმამდე.
203. საქართველოში შშმ პირებთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოება ხორციელდება, „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>ccc</sup> და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციების საფუძველზე მინიჭებული სტატუსებიდან შესაბამისად, მხოლოდ სოციალური პაკეტის მიმღები შშმ პირთა რაოდენობის მიხედვით. შესაბამისად, არსებული სტატისტიკური მონაცემები სრულად არ ასახავს შშმ პირთა რაოდენობრივ მაჩვენებლს. არ ასახავს თემის ინდივიდუალურ საჭიროებებს. რასაც, წესით, უნდა ეყრდნობოდეს ქვეყნის პოლიტიკა შშმ პირთა მიმართ. არსებული სტატისტიკით, შშმ პირთა თემი 3,34%-ს შეადგენს, რაც ძალიან ჩამორჩება სავარაუდო მაჩვენებლს. უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკის წარმოებისა და მონაცემთა შეგროვებისას არ არის გათვალისწინებული გენდერული ასპექტები, თითქმის არცერთი უწყების მიერ.
204. სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშის თანახმად<sup>ccii</sup>, მოქალაქეთა ნაწილს ბარიერები ექმნება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის დროს. ხშირად საკამათო ხდება აღნიშნული პროცედურისთვის ფინანსური ანაზღაურება. მართალია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში არსებობს დათქმა იმის თაობაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ექსპერტიზისათვის, კერძოდ, შშმ სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა, ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, თუმცა სადავო თემა სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზის გავლის დროს გადასახდელი თანხის ანაზღაურება. ნაწილობრივ ამ მიზეზით, ზოგ შემთხვევაში ინფორმაციის უქონლობის გამო, ზოგშიც კი სახელმწიფოში შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი ბენეფიტებით არდანიტერესების გამო, რამდენადაც, საერთო ჯამში, ისინი არ ერგებიან და მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებენ შშმ პირთა საჭიროებებს, შშმ პირები და/ან მათი ოჯახები რიგ შემთხვევებში თავს არიდებენ მოთხოვნას სტატუსის დადგენის თაობაზე.

#### რეკომენდაციები:

- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შშმ პირთა მონაცემთა ბაზის სრულყოფა;
- გადაიდგას პროაქტიული ნაბიჯები სისტემის გარეთ მყოფი შშმ პირების იდენტიფიცირებისათვის;

- შშმ პირთა შესახებ სტატისტიკა უნდა აღრიცხავდეს არა მხოლოდ შეზღუდვის სიმკვეთრეს, დიაგნოზებს, ზრდასრულთა და ბავშვთა პოპულაციას, არამედ იმ ბარიერებს, რაც ზღუდავს მოქალაქეების შესაძლებლობებს ინდივიდუალურ დონეზე;
- შშმ პირთა შესახებ სტატისტიკა უნდა აწარმოოს ყველა პასუხისმგებელმა უწყებამ, რასაც უნდა მოსდევდეს ანალიზი და კოორდინირებული მუშაობა იდენტიფიცირებული ბარიერების ურთიერთშეთანხმებული და მხარდაჭერილი აღმოფხვრისათვის;
- სტატისტიკის წარმოებისას, შესაძლებლობის შეზღუდვის სიმკვეთრესთან, ტიპთან და ასაკთან ერთად, შესაბამისი ყურადღება დაეთმოს სქესსა და ყველა სხვა შესაბამის ფაქტორს, რა ნიშნითაც შესაძლოა ვარიირებდეს შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა ქვეყანაში.

**მუხლი 33. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის  
აღსრულების მექანიზმი**

205. კონვენციის რატიფიცირების შემდგომ მისი დანერგვის მიზნით მთავრობის მიერ განისაზღვრა კონვენციის იმპლემენტაციის, კოორდინაციისა და მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოები. თუმცა, კონვენციის იმპლემენტაციისა და კოორდინაციის ორგანოების განსაზღვრას ფორმალური ხასიათი ქონდა.
206. შედეგად, საქართველოს მთავრობამ ვერ უზრუნველყო კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად კონვენციის დანერგვისათვის აუცილებელი ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბება და მათი სათანადო ფუნქციონირება. არსებული მექანიზმები არსებით რეფორმირებას საჭიროებენ.
207. კონვენციის 33-ე მუხლის აღსრულების მიზნით კონვენციის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ უწყებად განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო, კოორდინაციის მექანიზმად კი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო, ხოლო კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის ორგანოდ დასახელდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი,<sup>ccci</sup> თუმცა, აღნიშნული ორგანოების დასახელებული ფუნქციები განისაზღვრა საკოორდინაციო საბჭოს 2014 წლის 27 ოქტომბრის სხდომის ოქმით და სხვა სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტი ამ მიმართულებით სახელმწიფოს არ მიუღია.
208. კონვენციის იმპლემენტაციის ორგანო - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს მთავრობის მუდმივმოქმედ სათათბირო ორგანოს წარმოადგენს,<sup>ccciii</sup> რომლის ფუნქცია ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაციაა.<sup>ccciv</sup> თუმცა, საბჭოს შემადგენლობა საჭიროების მიუხედავად არ განახლებულა და დღეის მდგომარეობით ის ფუნქციონირებად ორგანოს არ წარმოადგენს. ამასთან, საბჭოს მანდატის გათვალისწინებით იგი არ შეიძლება იქნას მიჩნეული კონვენციის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ ორგანოდ, რამდენადაც იგი არ იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო პოლიტიკაზე და მხოლოდ სათათბირო ფუნქცია აქვს. ამდენად, იგი თავისი ფუნქციებისა და სამართლებრივი ფორმის გათვალისწინებით ვერ აკმაყოფილებს გაეროს კონვენციის მოთხოვნებს. საბჭოს უფლებამოსილების, ფუნქციებისა და შემადგენლობის გათვალისწინებით ამგვარ გადაწყვეტას უარყოფითად აფასებს საქართველოს სახალხო დამცველი,<sup>cccv</sup> და ორგანოს არ მიიჩნევს ქმედითი და ეფექტურ მექანიზმად, რომელიც აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს.<sup>cccvi</sup> წლების მანძილზე პრობლემურია საკოორდინაციო საბჭოს არაეფექტური ფუნქციონირების საკითხი პრაქტიკაში. მაგალითად, საბჭო საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად 2015 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა.<sup>cccvii</sup>
209. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში განისაზღვრა საკოორდინაციო მექანიზმად. სამდივნო საქართველოს მთავრობის სტრუქტურული ერთეულია, რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმების იმპლემენტაციის პროცესის ზედამხედველობა.<sup>cccviii</sup> მნიშვნელოვანია, რომ სამდივნოს ძირითადი ფუნქცია სამოქმედო



გეგმის აღსრულების პროცესების ლოჯისტიკური ზედამხედველობაა და ის არ არის გარკვეული პოლიტიკური ლეგიტიმაციის და მნიშვნელობის მქონე ორგანო. შესაბამისად, სამდივნოს არსებული ბუნება გამორიცხავს მისთვის იმ ფუნქციის შეთავსებას, რასაც კონვენცია საკოორდინაციო ორგანოს ქვეშ მოიაზრებს. ამასთან, სამდივნო არ არის აღჭურვილი სათანადო ფინანსური და ადამიანური რესურსებით, რაც ასევე შეუძლებელს ხდის მის სათანადო ფუნქციონირებას.<sup>cccix</sup>

210. კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის ორგანოს - საქართველოს სახალხო დამცველის ეფექტურ ფუნქციონირებას მნიშვნელოვნად აბრკოლებს შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსის სიმცირე. კონვენციის მონიტორინგის ფუნქციის განხორციელებაზე, კანონით დადგენილი მისი არსებითი მანდატის პარალელურად, პასუხისმგებელია საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტი, რომელიც მხოლოდ 4 თანამშრომლით არის დაკომპლექტებული.<sup>cccx</sup> გარდა ადამიანური რესურსისა, მნიშვნელოვანია ფინანსური სახსრების სიმწირე, რამდენადაც ამ მიზნებისათვის სახალხო დამცველის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა<sup>cccxii</sup> მისი წლიური ბიუჯეტის 1%-საც ვერ აღწევს.<sup>cccxiii</sup>

#### რეკომენდაციები:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის 33-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით მოხდეს კონვენციის იმპლემენტაციისა და კოორდინაციის მექანიზმების შექმნა და განსაზღვრა, მათთვის სათანადო უფლებამოსილების მინიჭება და მათი აღჭურვა ფუნქციონირების ეფექტიანი, ქმედითი მექანიზმებით.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის იმპლემენტაციის, კოორდინაციისა და მონიტორინგის მექანიზმები უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსით, მათი დამოუკიდებელი და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

## References

- <sup>i</sup> საქართველოს კანონი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“, მუხლი 10.1. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15772>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016.
- <sup>ii</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2186893>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016.
- <sup>iii</sup> „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე – აფხაზური“, საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 8. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016.
- <sup>iv</sup> „სახელმწიფო ცნობს ქესტების ენას პიროვნებათაშორისი ურთიერთობის საშუალებად და უზრუნველყოფს აუცილებელი პირობების შექმნას მისი გამოყენებისა და განვითარებისათვის“, საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“, მუხლი 5. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30316>, ბოლოს ნანახია 10.09.2016.
- <sup>v</sup> მაგ: საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 27.1.ა. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016.
- <sup>vi</sup> დაწვრილებით იხილეთ თავში: მუხლი 5 - თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა.
- <sup>vii</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის N76 განკარგულება, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ: [http://gov.ge/files/381\\_40157\\_501181\\_76200114.pdf](http://gov.ge/files/381_40157_501181_76200114.pdf), ბოლოს ნანახია: 22.01.2017
- <sup>viii</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 13 იანვრის ბრძანება N1/ნ „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/55024>, ბოლოს ნანახია: 26.01.2017.
- ასევე იხ: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებზე ცნობიერების ამაღლების კამპანია ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის, 2014 წელი. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2368.pdf>, ბოლოს ნანახია: 27.01.2017
- UNICEF, “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები საქართველოში. ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი ბავშვთა უფლებების კონვენციის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის მიხედვით“, მაისი, 2015 წელი, გვ.30-31. ხელმისაწვდომია აქ: [http://unicef.ge/uploads/UNICEF\\_CRPD\\_GEO\\_edit.pdf](http://unicef.ge/uploads/UNICEF_CRPD_GEO_edit.pdf), ბოლოს ნანახია: 27.01.2017
- <sup>ix</sup> საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 11 დეკემბრის დადგენილება „ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2157098>, ბოლოს ნანახია: 23.01.2017;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №762 „ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტისა და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2667876>, ბოლოს ნანახია: 23.01.2017;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N68 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2198173>, ბოლოს ნანახია: 23.01.2017
- <sup>x</sup> აღნიშნული საკითხები დეტალურადაა განხილული 25-ე მუხლის მიმოხილვაში.
- <sup>xi</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის №445 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) და საქართველოს ადამიანის უფლებების

დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, თავი 20. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2391005>, ბოლოს ნანახია: 12.01.2017;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №338 გადაგენილება „ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ“, თავი 19. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315211>, ბოლოს ნანახია: 12.01.2017

<sup>xii</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის #41-ე დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, [http://gov.ge/files/382\\_39899\\_472368\\_41060114.pdf](http://gov.ge/files/382_39899_472368_41060114.pdf)

<sup>xiii</sup> მაგალითისთვის, მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს თბილისის მერიამ შშმ პირებზე მომუშავე საბჭო შექმნა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის დადგენილება N3-9 „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2735391>, ბოლოს ნანახია: 12.01.2017), საბჭომ მხოლოდ რამდენიმე სხდომა ჩაატარა და 2015 წლის აგვისტოდან მოყოლებული დღემდე სხდომა არ ჩანიშნულა. (კორესპონდენცია N 133335/11)

ასევე იხილეთ: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების კვლევა“, PHR, 2016 წელი, გვ.33-35. ხელმისაწვდომია აქ: [http://phr.ge/home/content?content\\_id=363](http://phr.ge/home/content?content_id=363), ბოლოს ნანახია: 13.01.2017

<sup>xiv</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ.134, 2015 წელი; <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3651.pdf>;

<sup>xv</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016 წელი, გვ.467, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf>, ბოლოს ნანახია: 11.07.2017.

<sup>xvi</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016.

<sup>xvii</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2549051>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016

<sup>xviii</sup> შრომის კოდექსი, მუხლი 2.3.

<sup>xix</sup> „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) იმპლემენტაციის სარეკომენდაციო კონცეფცია“; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC); თბილისი, 2014 წელი; გვ. 25. ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2014/08/18/uncrpd-is-imlementaciis-gaidlaini/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016.

<sup>xx</sup> „რეკომენდაციის გამოცემის შემდეგ შპს „ა.კ.“-მა სახალხო დამცველის 2 მიმართვა უპასუხოდ დატოვა. კომპანია მოწვეული იყო პრეზენტაციაზე, რომელზედაც განიხილებოდა შეუსრულებელი რეკომენდაციები, თუმცა კომპანიის წარმომადგენელი არ მოვიდა. რაც შეეხება ფიზიკური პირის წინააღმდეგ მომზადებულ რეკომენდაციას, მისი გამოცემის შემდგომ მომჩივანმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში და დავა მოიგო“, საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 15 ივლისის N05-1/7731 კორესპოდენცია.

<sup>xxi</sup> „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმი“, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2016 წელი, გვ.59.

<sup>xxii</sup> საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 6.2, „ზ“ ქვეპუნქტი.

<sup>xxiii</sup> საქართველოს კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, მუხლი 24.

<sup>xxiv</sup> „სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან არიდებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, საქართველოს სახალხო დამცველი, გვ. 11-12. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3966.pdf> , ბოლოს ნანახია: 15.12.2016.

<sup>xxv</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016 წელი, გვ.468, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> , ბოლოს ნანახია: 11.07.2017.

<sup>xxvi</sup> საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 9. „საქართველოს სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო: ა) დავას სასამართლო განიხილავს; ბ) მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება; გ) მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687> , ბოლოს ნანახია: 10.09.2016.

<sup>xxvii</sup> „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმი“, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2016 წელი, გვ.65.

<sup>xxviii</sup> შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017 წელი, გვ. 137. ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2017/01/16/emc-202/> , ბოლოს ნანახია: 13.07.2017.

<sup>xxix</sup> „სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმოებაში არსებული საქმეებიდან, 2014 წლის 20 ნოემბრიდან 2016 წლის 15 ივლისამდე 17 საქმე შეეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტს. 15 საქმეზე წარმოება დაიწყო განცხადების/საჩივრის საფუძველზე; 2 საქმის შესწავლა დაიწყო სახალხო დამცველის ინიციატივით. ამ საქმეთაგან მხოლოდ 2 საქმეზე დადგინდა დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით და გამოიცა შესაბამისი რეკომენდაცია“, საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 15 ივლისის N05-1/7731 კორესპოდენცია.

<sup>xxx</sup> „დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა რაიონულ სასამართლოებში შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით მოხდა 2 შემთხვევაში“, „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმი“, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2016 წელი, გვ.8-12.

<sup>xxxi</sup> „სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან არიდებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, საქართველოს სახალხო დამცველი, გვ. 23. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3966.pdf> , ბოლოს ნანახია: 15.12.2016.

<sup>xxxii</sup> „სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან არიდებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, საქართველოს სახალხო დამცველი, გვ. 32. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3966.pdf> , ბოლოს ნანახია: 15.12.2016.

<sup>xxxiii</sup> „დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა რაიონულ სასამართლოებში შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით მოხდა 2 შემთხვევაში“, „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმი“, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2016 წელი, გვ.8-12.

<sup>xxxiv</sup> სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები“, 2014, გვ. 20-21, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3727.pdf>;

<sup>xxxv</sup> საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624>;

<sup>xxxvi</sup> კვლევა „გენდერი და სამართალი-საქართველოს კანონმდებლობის ფემინისტური ანალიზი“, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2016, გვ. 135;

<sup>xxxvii</sup> საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 6, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980>;

<sup>xxxviii</sup> საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხლი 12, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624>;

<sup>xxxix</sup> საქართველოს პარლამენტი, 2016 წლის 10 ოქტომბრის წერილი №8382/1-2;

<sup>xl</sup> საქართველოს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მუხლი 30, პუნქტი 7<sup>1</sup>, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324>;

<sup>xii</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის №76 განკარგულება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა“, [http://gov.ge/files/381\\_40157\\_501181\\_76200114.pdf](http://gov.ge/files/381_40157_501181_76200114.pdf); საქართველოს მთავრობის დადგენილება №762 „ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტისა და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2667876>; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის დადგენილება № 445 „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2348314>;

<sup>xiii</sup> „კვლევა-სამოქმედო გეგმების ანალიზი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ჯანმრთელობის უფლების დაცვის პერსპექტივიდან, ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის, 2016, თბილისი;

<sup>xiii</sup> საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში“, 2015, გვ. 984, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf>;

<sup>xiv</sup> კვლევა-სამოქმედო გეგმების ანალიზი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ჯანმრთელობის უფლების დაცვის პერსპექტივიდან, 2016, თბილისი;

<sup>xv</sup> კვლევა-„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა წინაშე არსებული ბარიერები მართლმსაჯულების მისაწვდომობის კუთხით“, ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის, თბილისი, 2016, გვ. 12;

<sup>xvi</sup> ადმიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის - თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესი, მუხლი 5, მუხლი 6;

„გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები“, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2014, გვ. 35, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3288.pdf>;

<sup>xvii</sup> კვლევა „გენდერი და სამართალი-საქართველოს კანონმდებლობის ფემინისტური ანალიზი“, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2016, გვ. 204;

<sup>xviii</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 5, მანქანი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567>;

<sup>xix</sup> კვლევა „გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში“, კონსტატაციის 42-ე მუხლი, 2014;

<sup>i</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი, „საქართველოში ბავშვთა სიღარიბის შემცირება, სამომავლო გზა“, 2014, [http://unicef.ge/uploads/UNICEF\\_Poverty\\_Paper\\_2015\\_GEO\\_FINAL.pdf](http://unicef.ge/uploads/UNICEF_Poverty_Paper_2015_GEO_FINAL.pdf);

<sup>ii</sup> „შედარებისთვის, თუ მთელ მსოფლიოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსახლეობა შეადგენს 15%-ს, საქართველოში რეგისტრირებულია მხოლოდ 131 000 პირი, რაც მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 4%-ია. ანალოგიურად, 2015 წლის თებერვლის მონაცემებით, დაფიქსირებულია დახმარების მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სულ 9 010 ბავშვი, რაც ბავშვთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 1%-ია (მაშინ, როდესაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში შშმ ბავშვთა რაოდენობა 6%-ს აღწევს)“ - „ასოცირების დღის წესრიგის პოლიტიკური ნაწილის შესრულება-პირველი ნაწილის შეფასება“, ანა აბაშიძე, ანა არგანაშვილი, ბავშვთა უფლებები, გვ. 130-131, [http://www.osgf.ge/files/2015/2015/publication/Book\\_GEO\\_WEB.pdf](http://www.osgf.ge/files/2015/2015/publication/Book_GEO_WEB.pdf);

<sup>iii</sup> „ასოცირების დღის წესრიგის პოლიტიკური ნაწილის შესრულება-პირველი ნაწილის შეფასება“, ანა აბაშიძე, ანა არგანაშვილი, ბავშვთა უფლებები, გვ. 130-131, [http://www.osgf.ge/files/2015/2015/publication/Book\\_GEO\\_WEB.pdf](http://www.osgf.ge/files/2015/2015/publication/Book_GEO_WEB.pdf);

<sup>iiii</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის №445 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, თავი 13, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2391005>;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №1138 განკარგულება „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017) პროექტისა და „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2014-2015 წლების შესრულების ანგარიშის“ მოწონების თაობაზე, თავი 12, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315211>;

<sup>liv</sup> საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №102 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, დანართი 1.1., მუხლი 4, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „თ“ – „სააგენტო უზრუნველყოფს ბავშვების მშობლებზე ან კანონიერ წარმომადგენლებზე კვების ვაუჩერის გაცემასა და მათ ინფორმირებას რეგისტრირებული მიმწოდებლის, მათ მიერ შეთავაზებული საქონლისა და სარეალიზაციო პუნქტების ადგილმდებარეობის შესახებ, არაუგვიანეს რეგიონული საბჭოს მიერ ვაუჩერის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან მომდევნო თვის 5 რიცხვის ჩათვლით“, დანართი 1.2. - ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, მუხლი 3, პუნქტი 5, დანართი 1.3. - ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა, მუხლი 3, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ბ.ბ.“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3206217>;

<sup>lv</sup> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-129 [დადგენილება](#), დანართი 4, მუხლი 2, პუნქტი 1.

<sup>lvi</sup> საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილება „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“, დანართი 1, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი.

<sup>lvii</sup> საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №102 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, დანართი 1.13, მუხლი 3, პუნქტი 1.

<sup>lviii</sup> საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის განკარგულება „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017წწ.) პროექტისა და „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წწ.) შესრულების ანგარიში“;

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315211>;

<sup>lix</sup> საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის განკარგულება „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017წწ.) პროექტისა და „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წწ.) შესრულების ანგარიში“, თავი 12-ბავშვთა უფლებების დაცვა, ამოცანა 12.1.1.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315211>;

<sup>lx</sup> „ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2015, გვ. 9-13, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3703.pdf>;

<sup>lxi</sup> ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში - საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2015, გვ. 20, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3362.pdf>;

<sup>lxii</sup> სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „მცირე საოჯახო სახლების მონიტორინგის შესახებ“, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3374.pdf>, 2015 წელი, გვ. 32;

<sup>lxiii</sup> 2015 წლის მდგომარეობით საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ზოგად საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული ბავშვების რაოდენობა ასე გამოიყურება: მესტია-3 ბავშვი, ახმეტა-55 ბავშვი, ხულო-28 ბავშვი, შუახევი-9 ბავშვი, ქედა-19 ბავშვი, ონი-12 ბავშვი, ამბროლაური-18 ბავშვი, ყაზბეგი-0 ბავშვი. მაშინ, როდესაც ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 7 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი ფიქსირდება, ხოლო მესტიაში -22. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“, 2015 წელი;

<sup>lxiv</sup> ასოცირების დღის წესრიგის პოლიტიკური ნაწილის შესრულება-პირველი ნაწილის შეფასება“, ანა აბაშიძე, ანა არგანაშვილი, ბავშვთა უფლებები, გვ. 132, [http://www.osgf.ge/files/2015/2015/publication/Book\\_GEO\\_WEB.pdf](http://www.osgf.ge/files/2015/2015/publication/Book_GEO_WEB.pdf);

<sup>lxv</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების 55%, საჭიროების შემთხვევაში, ვერ იღებს სრულყოფილ სამედიცინო კონსულტაციას, გამოკვლევებსა და მედიკამენტურ მკურნალობას“ - ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2015, გვ. 62, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3703.pdf>;

<sup>lxvi</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების 55%, საჭიროების შემთხვევაში, ვერ იღებს სრულყოფილ სამედიცინო კონსულტაციას, გამოკვლევებსა და მედიკამენტურ მკურნალობას“ - ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2015, გვ. 17, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3703.pdf>;

„დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ბავშვებს გააჩნდათ მნიშვნელოვანად გამოხატული ჯანმრთელობის პრობლემები, თუმცა მათ, მინდობით აღმზრდელთა განცხადებით, საჭირო სამედიცინო გამოკვლევები არ ჩატარებიათ. ასევე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მინდობით აღმზრდელთა ნაწილი ექიმის დანიშნულების გარეშე აძლევდა მედიკამენტებს აღსაზრდელებს. მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართული ბავშვების 45% საჭიროების შემთხვევაში ვერ იღებს სრულყოფილ სამედიცინო კონსულტაციას, გამოკვლევებსა და მედიკამენტურ მკურნალობას შესაბამისი ფინანსების არარსებობის გამო. პრობლემებია გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის კუთხით“ - მინდობით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამის მონიტორინგის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2016, გვ.39, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3823.pdf>,

<sup>lxvii</sup> მინდობით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამის მონიტორინგის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2016, გვ.36-37, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3823.pdf>,

<sup>lxviii</sup> 2016 წლის ივნისის მონაცემებით, მინდობით აღზრდის სერვისში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა არის 1403, მათგან მხოლოდ 198 არის ბავშვი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე-სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური გვერდი, <http://ssa.gov.ge/>;

<sup>lxix</sup> „რეინტეგრირებული ბენეფიციარების კანონიერი წარმომადგენლების 60%-ს არა აქვს ინფორმაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გაწერილი ძირითადი მიმართულებების შესახებ, ხოლო 45%, მიუხედავად ბავშვის სპეციალური საჭიროებებისა, მისი ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართვის წინააღმდეგია - სპეციალური ანგარიში რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამის მონიტორინგის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი, 2016, გვ. 34, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3822.pdf>;

<sup>lxx</sup> სპეციალური ანგარიში რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამის მონიტორინგის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი, 2016, გვ. 37, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3822.pdf>;

<sup>lxxi</sup> საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“, მუხლი 10, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30316>.

<sup>lxxii</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 15 ნოემბრის წერილი №2853998;

<sup>lxxiii</sup> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილების 2016 წლის 27 ოქტომბრის №17/283144 წერილი.

<sup>lxxiv</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2016 წლის 21 ოქტომბრის წერილი №02/91-16; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს 2016 წლის 11 ოქტომბრის წერილი №01/760 .

<sup>lxxv</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტოს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2016 წლის 17 ოქტომბრის წერილი №01/1895;

<sup>lxxvi</sup> სს. „საქართველოს რკინიგზა“ 2016 წლის 24 ოქტომბრის წერილი №5899;

<sup>lxxvii</sup> „საარჩევნო ხმის უფლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის“ - პოლიტიკის დოკუმენტი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED); 2016, გვ. 6-8, 13;

<sup>lxxviii</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 26 სექტემბრის წერილი №03-07/2455;

<sup>lxxix</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 24, მუხლი 41; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თავი III;

<sup>lxxx</sup> საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2015, გვ. 1063-1064

<sup>lxxxi</sup> საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 26 დეკემბრის დადგენილება „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ თანდართული დეკლარაციის გათვალისწინებით რატიფიცირების შესახებ. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2164946> , ბოლოს ნანახია: 10.09.2016

<sup>lxxxii</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2549051> , ბოლოს ნანახია: 10.09.2016.

<sup>lxxxiii</sup> „ახალი რეგულაციის თანახმად, მხარდაჭერის მიმღები პირის სტატუსი, ერთი მხრივ, წარმოადგენს საჯარო სამსახურში დასაქმების ხელისშემშლელ გარემოებას და მეორე მხრივ, საჯარო მოხელეების, მათ შორის, ცალკეული პოლიტიკური თანამდებობის პირების, საქმიანობის შეწყვეტის უპირობო და სავალდებულო საფუძველს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ აღნიშნული საკითხი განსხვავებულად მოაწესრიგა...ქმედუნარიანობის მოქმედი მოდელი, შრომის უფლების რეალიზების ნაწილში, უარს ამბობს იმ ზოგად მიდგომაზე, რომლის მიხედვითაც, პირს მხარდაჭერა მხოლოდ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროებში დგინდება და ინდივიდუალური შეფასების გარეშე, აღნიშნული სტატუსი არ შეიძლება ავტომატურად გავრცელდეს სხვა სფეროებზე. კერძოდ, კანონმდებლობა საჯარო სამსახურში პირის დასაქმებას ან საქმიანობის გაგრძელებას ბლანკეტურად მიემართება და მხარდაჭერის მიმღები პირის სტატუსს ამგვარი ურთიერთობის შეწყვეტისათვის საკმარის სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნევს, იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლოს არ უმსჯელია შრომის უფლების რეალიზების სფეროში მხარდაჭერის საჭიროებაზე და პირი მხარდაჭერის მიმღებად სხვა სფეროებში მიიჩნია“; ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ. 24-25. ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016

<sup>lxxxiv</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 3.ა.ა.გ) ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016

<sup>lxxxv</sup> „იმ პირთა მიმართ, რომლებიც გადიან მკურნალობას სტაციონალურ დაწესებულებებში, საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში მოცემული ჩანაწერები საარჩევნო უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, წინააღმდეგობაში მოდის გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ხედვასთან და უკიდურესად რეგრესულია, მისი ბლანკეტური და დისკრიმინაციული ბუნებიდან გამომდინარე“. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ. 24-25. ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016

<sup>lxxxvi</sup> საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, მუხლი 7.1.ა , ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1529579>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016.

<sup>lxxxvii</sup> „მხარდაჭერის მიმღები პირის ქორწინების უფლების სტანდარტი ქორწინების განსხვავებული რეგულაციის დადგენით არათუ ვერ აღწევს მის მიზანს, დაიცვას მხარდაჭერის მიმღები პირი, არამედ ეჭვქვეშ აყენებს მისი ინტერესების სათანადო დაცვის შესაძლებლობას. მოქმედი მოწესრიგება პრობლემურია ასევე ბლანკეტური შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ქორწინების უფლების რეალიზებისას, გამორიცხავს პირის ინდივიდუალური საჭიროების განსაზღვრასა და მხარდაჭერის ადეკვატური ფარგლების დადგენას“, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ. 31, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016

<sup>lxxxviii</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1120.1.ე , ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>, ბოლოს ნანახია 10.09.2016

<sup>lxxxix</sup> ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ. 34-37, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016

